

F 171
1948

F



საქართველოს სსრ განათლების
სამინისტროს ბრძანებითა
და განკარგულებათა

პრებული

წელიწადი მეთერთმეტე

№ 11—12	Сборник приказов и распоряжений Министерства Просвещения Груз. ССР	1948 წ.
---------	-----------------------------------------------------------------------	---------

შ ი ნ ა ა რ ს ი

F1054

	83-
1. მითითებანი საშუალო სკოლაში ბიოლოგიის სწავლების გარდაქმნის შესახებ მიჩურინული მოძღვრების საფუძველზე	2
2. Указания о перестройке преподавания биологии в средней школе на основе Мичуринского учения	18
3. ბრძანება № 2317—საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი	33
4. ბრძანება № 3320—ტექნიკური ცოდნის გავრცელებისა და დანერგვის ღონისძიებათა შესახებ სკოლებსა და სკოლის გარეშე საბავშვო დაწესებულებებში	40
5. ბრძანება № 3781—ფიზიკის, ქიმიის და ბიოლოგიის სწავლების მდგომარეობის შესახებ ამ როლაურის, ონისა და ტყიბულის რაიონების ზოგ სკოლაში	44
6. ბრძანება № 3549—საბავშვო ლიტერატურის გამომცემლობის მუშაობის გარდაქმნის შესახებ	51
7. ბრძანება № 3558—სკოლებში სახამთრო არადადეგებისა და მასწავლებელთა საქალაქო და რაიონული მეთოდური თათბირების ჩატარების შესახებ	54
8. ბრძანება № 3501—დაწყებით, რვაწლიან და საშუალო სკოლებში სასკოლო ბიბლიოთეკების მოწესრიგების შესახებ	57
9. დებულება დაწყებითი, რვაწლიანი და საშუალო სკოლის სასკოლო ბიბლიოთეკისა	61
10. სასკოლო ბიბლიოთეკების საბიბლიოთეკო-ტექნიკის მინიმუმი (ინსტრუქცია და აღრიცხვის ფორმები).	65
11. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი	77

მ ი თ ი თ ე ბ ა ნ ი

ბიოლოგიის სწავლების მიზნობრივი მოქმედების საფუ-
ძველზე გაკლავისათვის საშუალო სკოლაში

დამტკიცებულია საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს
კოლეგიის მიერ

ლენინის სახელობის სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო
აკადემიის მიმდინარე წლის აგვისტოს სესიამ საბჭოთა ბიოლოგი-
ური მეცნიერების განვითარებას ახალი ამოცანები და გზები დაუსახა.
ის ხანგრძლივი ბრძოლა, რომელიც ბიოლოგიაში ორ მიმართულუ-
ბას შორის წარმოებდა, მიჩურინული ბიოლოგიის ბრწყინვალე გა-
მარჯვებით დაგვირგვინდა.

სესიაზე აკადემიკოს ლისენკოს მოხსენებას და სესიის მთელ მუშა-
ობას უშუალო კავშირი აქვს სკოლაში ბიოლოგიის სწავლებასთან.
სკოლის წინაშე სდგას მეტად საპასუხისმგებლო ამოცანები, რომელ-
თა წარმატებით გადაწყვეტაზე დიდად არის დამოკიდებული მიჩუ-
რინული ბიოლოგიის თეორიითა და პრაქტიკით აღჭურვილი და დია-
ლექტიკურ-მატერიალისტური მსოფლმხედველობით შეიარაღებული
თაობის აღზრდა. ბუნებისმეტყველების სწავლება გადაჭრით უნდა
განთავისუფლდეს სქოლასტიკისა და უსიცოცხლო დოგმატიზმის ელე-
მენტებისაგან და მიჩურინული ბიოლოგიის სწავლება სკოლაში
მკვიდრ საფუძველზე უნდა დადგეს.

ამეზად მოქმედი საშუალო სკოლის პროგრამები და სახელმძღვა-
ნელოები საფუძვლიან შესწორებასა და გადაკეთებას მოითხოვს, რად-
გან მათში მთელი სისრულით არ არის ასახული მოწინავე საბჭოთა
ბიოლოგიური მეცნიერების თეორიული და პრაქტიკული მიღწევები
და არ სჩანს საბჭოთა მეცნიერების წამყვანი როლი ბიოლოგიური
მეცნიერების განვითარებაში.

ახალი პროგრამებისა და სახელმძღვანელოების გამოცემამდე სკო-
ლებმა ბუნებისმეტყველების ახლებურად სწავლებისათვის ამ მიზი-
თებით უნდა იხელმძღვანელონ.

დაწყებითი ხკოლის პირველ სამ კლასში ბუნებისმეტყველება მშობლიურ ენასთან ერთად ისწავლება. აქ ბავშვები ეცნობიან ბუნებას იმ საგნებსა და მოვლენებს, რომლებზეც უმთავრესად სახელმძღვანელოს მასალებშია ლაპარაკი. საგნები და მოვლენები, მარტივად, მაგრამ მეცნიერულ მონაცემებისა და საბჭოთა ბიოლოგიური მეცნიერების ისწავლების თვალსაზრისით უნდა იქნას განხილული. ორგანიზმის გარეგნული ნიშნები და აგებულება მის სასიცოცხლო ფუნქციასთან და გარემო საცხოვრებელ პირობებთან შვიდრო კავშირში და მთლიანობაში უნდა განიხილებოდეს.

ამ კლასების მშობლიური ენის სახელმძღვანელოები ყოველთვის როდი იძლევიან საჭირო მასალას ბუნებისმეტყველების პროგრამისათანადო საკითხების დამუშავებისათვის. მართალია მეორე კლასის სახელმძღვანელოში შეტანილი ლექსები და მოთხრობები საკმაო მასალას იძლევა „ტყის“ პროგრამული თემის დამუშავებისათვის, მაგრამ იგივე არ შეიძლება ითქვას სხვა მასალების შესახებ, რომლებიც ბოსტანსა და ბილ-ვენახს შეეხება. ეს მასალა არასაკმაოა. ასევე სუსტად არის წარმოდგენილი მესამე კლასის სახელმძღვანელოში მასალები, რომლებიც ტექნიკურ მცენარეებსა და ადამიანის ჯანმრთელობის საკითხებს ეხებიან. სახელმძღვანელოების ეს ნაკლი მასწავლებელმა უნდა შეავსოს პროგრამით მითითებულ ექსკურსიულ და პრაქტიკული მუშაობის გაძლიერებით, ბუნების საგნებსა და მოვლენებზე უშუალოდ დაკვირვებების ჩატარებით და სხვ.

მეორე კლასში ბაღის კულტურების გაცნობისას მოსწავლეებს მოკლედ უნდა ვუამბოთ ი. ვ. მიჩურინის ცხოვრების შეახებ. მესამე კლასში მოსწავლეები უნდა გავაცნოთ აკადემიკოს ლისენკოს ცხოვრებას და მოღვაწეობას.

მეოთხე კლასის ბუნებისმეტყველების პროგრამის შესაბამისი თემების გავლისას საბჭოთა სელექციონერების მუშაობის შესწავლა კიდევ უფრო ღრმადდება. პურიული მცენარეების შესწავლისას მოსწავლეებს უნდა ვუამბოთ ლისენკოს მიღწევების შესახებ, ვახისა და ბაღის მცენარეების შესწავლისას—მიჩურინის, ჩაის კულტურის გაცნობისას—ზახტაძის, ცხვრის ჯიშების გაცნობისას მოვიხსენიოთ აკადემიკოსი ივანოვი და ქართული ცხვრის ჯიშის გამოკვანია—ა. ნატროშვილი და სხვ. ყველგან, სადაც კი ლაპარაკია ჩვენს მიღწევებსა და სოციალისტური მეურნეობის წარმატებებზე, უნდა სჩანდეს საბჭოთა მეცნიერების წაშყენი როლი. უნდა გვახსოვდეს, რომ საბჭოთა სელექციონერები და მათი მუშაობა საშუალო სკოლის შესაბამის კლასებში უფრო ღრმად და დეტალურად შეისწავლება. მასწავლებელი ვალდებულია, ეს მასალა მოთხრობის, ლექ-

სებისა ან საუბრის სახით მიაწოდოს ამ კლასების მოსწავლეს მისი
ასაკისა და მომზადების დონისათვის შესაბამის ფორმებში. საქართველოს
საგარეო ურთიერთობების
მინისტროს

ბოტანიკის მოქმედი პროგრამისა და სახელმძღვანელოს (პ. მუც-
რეველი და შ. ჩუბინიძე „ბოტანიკა“, 1948 წ.) ძირითად ნაკლად ის-
უნდა ჩაითვალოს, რომ მათში მცენარეული ორგანიზმები ხშირად
განიხილებიან გარემო პირობებისაგან მოწყვეტილად, რის გამო სუს-
ტად არის წარმოდგენილი ამ ორგანიზმების ბიოლოგია, არასაკმარის
არის ასახული ბოტანიკის სწავლების კავშირი სოციალისტური მშე-
ნებლობის პრაქტიკასთან და საბჭოთა აგრობიოლოგიური მეცნი-
ერების მიღწევები ყველგან დამაკმაყოფილებლად და მეცნიერული
სიზუსტით არ არის გაშუქებული, ბევრგან მცენარეული ორგანიზმე-
ბი აღწერილია მშრალად, სტემატურად, მოსწავლეთათვის არასაინ-
ტერესოდ და სხვ.

„ყვავილრენი მცენარეების ზოგადი განხილვის“ თემაში უნდა დაე-
კმაყოფილდეთ მცენარეული ორგანიზმის, როგორც მთლიანის, ზოგა-
დი დახასიათებით. ამიტომ ამ თემასთან დაკავშირებით სახელმძღვა-
ნელოში უნდა დიდი ყურადღება იქნას გათმობილი ტიპებზე ლაპარაკი, რადგან ეს საკითხი
მომდევნო თემაში დეტალურად განიხილება.

ნიადაგის წყალტევადობის, წყალგამტარობის, ჰაეროვანი თვისებე-
ბი და სტრუქტურა, რაზეც ფესვების განვითარება და მუშაობა არის
დამოკიდებული, უფრო სრულად უნდა განემარტოს მოსწავლეებს,
ვიდრე ეს სახელმძღვანელოშია. ამასთან მოსწავლეებს უნდა მიეცეთ
ელემენტარული წარმოდგენა ნიადაგის ზოგიერთ სახეზე (როგორიცაა
ქვიშაჩარი, თიხნარი, შავმიწა ნიადაგები და სხვ.) და მათ ვარგისო-
ბაზე მცენარეებისათვის.

სახელმძღვანელოში საკმარის არის გაშუქებული ნიადაგის დამუშა-
ვების მნიშვნელობა და ამოცანები (მე-7 თავი), მაგრამ არაუფერია ნათ-
ქვამი ნიადაგის დამუშავების წესებსა და ვადებზე, როგორც მოსავ-
ლიანობის ზრდის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორზე. საჭიროა გაღრ-
მავდეს საკითხი ორგანული და არაორგანული სასუქების შესახებ
და სახელმძღვანელოს მასალას დაემატოს სასუქების შეტანის წესები,
ვადები, სანიმუშო ნორმები, მცენარეთა გამოკვების ცნება და სხვ.

„ფოთლის“ თემის შესწავლასთან დაკავშირებით ყურადღება უნდა
მიექცეს ფოთლის მუშაობასა და ქლოროფილის წარმოქმნაზე გარე-
მო ფაქტორების მოქმედების გავლენას. ხაზი უნდა გაესვას სინათ-
ლის რეჟიმისადმი ფოთლების შეგუებულობას. ამ თვალსაზრისით
ბავშვებს კონკრეტული მაგალითებით უნდა განემარტოთ ღეროზე
ფოთლების განლაგება, ფოთლების მოზაიკა, ფოთლების მოძრაობა
სინათლის მიმართულებით, მიეცეთ წარმოდგენა ჩრდილის ამტან და

სინათლისმოყვარულ მცენარეებზე და სხვ. მოსწავლეები უნდა იცნობდნენ იმ გარემო ფაქტორებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ფოტოსინთეზის მიერ წყლის აორთქლებაზე.

სახელმძღვანელოში არაფერია ნათქვამი ფოთლის ადამიანის საკვებად გამოყენებაზე; პროგრამაში არ არის შეტანილი, ხოლო სახელმძღვანელოში არისასაკმაოდ არის გაშუქებული საკითხი მწვანე ნარგავობის მნიშვნელობისა და საზოგადოება „ტყის მეგობრის“ შესახებ.

ამასთან დაკავშირებით, ქლოროფილის შესწავლისას, უნდა მოვიხსენიოთ დიდი რუსი მეცნიერი კ. ა. ტიმირიაზევი და მისი მუშაობის მნიშვნელობა ქლოროფილის შესწავლის საქმეში.

თემა „ღეროს“ შესწავლისას უფრო სრულად, ვინემ ეს სახელმძღვანელოშია მოცემული, მოსწავლეებს უნდა განემატოთ საკითხი ადამიანისათვის ღეროს მნიშვნელობის (გამოყენების) შესახებ. სახელმძღვანელოში არაფერია ნათქვამი ღეროს სახეების (მხვიარა, მცოცავი, სწორმდგომი, მხოხავი და სხვ.) შესახებ, რაც შეგუბულობის საკითხების გასაშუქებლად დამაჯერებელ მასალას იძლევა. ამავე მოსახრებით აღდგენილ იქნას საკითხი ღეროს მიწისზედა სახეცვლილებათა (ეკალი, უღვაში, ბუჩალი) შესახებ, რომლებიც ამოღებული იყო გასული წლის მითითებით.

„ყვავილოვან მცენარეთა გამრავლების“ თემაში მცნობის საკითხი ისე ფორმულირებული, რომ იგი გამორიცხავს ვეგეტატიური ჰიბრიდიზაციის შესაძლებლობას. სახელმძღვანელოს ნ.ვ. გვერდზე წერია: „მცნობის შემდეგ კალამი იზრდება და ინარჩუნებს ყველა იმ თვისებას, რომლებიც იმ დედა-მცენარეს ჰქონდა, საიდანაც კალამი ან კვირტი იყო აქრილი“. აქ უნდა დაეკმაყოფილდეთ მოსწავლეებისადმი იმაზე მითითებით, რომ დამყნილი კალამისაგან ან კვირტებისაგან განვითარებული მცენარე იცვლება, მაგრამ ძირითადად მაინც ინარჩუნებს დედამცენარის ნიშანთვისებებს. ხოლო ამ ცვლილების ნამდვილ მიზეზებზე უნდა ვთქვათ და ვეგეტატიური ჰიბრიდიზაციის მიჩურინული განპარტება მოსწავლეებს უნდა მივცეთ სახელმძღვანელოს მე-7 თავში („მცენარეთა ახალი ჯიშების გამოყვანას“).

არ უნდა აგურიოთ ერთმანეთში ვეგეტატიური გამრავლებისა და ვეგეტატიური ჰიბრიდიზაციის საკითხი. სწორია, როდესაც სახელმძღვანელოს „ვეგეტატიური გამრავლების მნიშვნელობის“ ქვეთავში (გვ. 65) ნათქვამია, რომ ვეგეტატიური წესით გამრავლებული მცენარე თითქმის ყოველთვის ემსგავსება დედა-მცენარეს და მუდმივად ინარჩუნებს ყველა იმ თვისებას, რომელიც დედას ახასიათებდა და სხვ.

ამ თემაში მოსწავლეთა ყურადღება უნდა გავამახვილოთ ყველი-
ლის დამტვერვის ქართან და მწერებთან შეგუების საკითხზე, ნაყოფისა და თესლის შეგუებასა და მათ გავრცელებაზე. ამ საკითხებზე
გასაშუქებლად სახელმძღვანელოში მოცემული ცნობები არ არის
საკმარისი და ის უნდა გამდიდრდეს ბუნებიდან აღებული კონკრეტული
მაგალითების გამოყენებით. უეჭველად უნდა გავსვას ხაზი ფუტკრის
როლს, არა მხოლოდ დახურული გრუნტის ბოსტნეულის ნაყოფიერე-
ბის ზრდაში, როგორც ეს სახელმძღვანელოს 74-ე გვერდზეა აღნიშნუ-
ლი, არამედ ზეხილისა და სხვა კულტურების მოსავლიანობის ზრდა-
შიც. აქ დაგროვილი კონკრეტული ფაქტები დაგვეხმარება დარვი-
ნიზმის საფუძვლების კურსში ევოლუციის მამოძრავებელი ფაქტო-
რების გასაშუქებლად.

მცენარეთა ახალი ჯიშების გამოყვანის საკითხის განხილვისას სა-
ხელმძღვანელოში (თავი მე-7) ლაპარაკია მხოლოდ სქესობრივი ჰიბრი-
დიზაციის გზით ახალი ჯიშების მიღებაზე. ვეგეტატიური ჰიბრიდი-
ზაციის შესახებ, რაც მიწურინული ბიოლოგიის ერთ-ერთ ძირითად
დებულებას წარმოადგენს, სრულიად არაფერია ნათქვამი. აქ ვეგე-
ტატიური ჰიბრიდიზაციის საკითხი უნდა გაშუქდეს აკადემიკოს ლი-
სენკოს მოხსენებისა (აკადემიის აგვისტოს სესიაზე) და მიწურინის
შეხედულებების მიხედვით. აქვე უნდა მოვიხსენიოთ ქართველ სელექ-
ციონერთა მიღწევები, რომლებიც მიწურინული მეთოდით მუშაობენ
მცენარეთა ახალი ჯიშების გამოყვანაზე (ქ. ბახტაძე, რომელმაც ჩაის
ახალი ჯიშები გამოიყვანა, ბესტავაშვილი, რომელმაც ატმისა და
ვაზის ახალი ჯიშები მიიღო, სასოფლო-სამეურნეო მეცნიერების კან-
დიდატი მამფორია, რომელიც ლიმონის ახალი ფორმების გამოყვა-
ნაზე მუშაობს და სხვ.)

მე-9 კლასში შესაბამისი კულტურების შესწავლისას ამ სელექცი-
ონერების მუშაობა უფრო ფართოდ უნდა გავაშუქოთ. ცდები ვეგე-
ტატიური ჰიბრიდიზაციის შესახებ უნდა ჩატარდეს გოგორასებრთა
და ძაღლყურძენასებრთა ოჯახიდან აღებულ მცენარეებზე.

„მცენარეთა ზრდა-განვითარების“ თემის გავლისას საშუალება
გვეძლევა მოსწავლეს ვუჩვენოთ სავეგეტაციო ფაქტორების (საკვების,
ტემპერატურის, ტენიანობისა და სინათლის) გავლენა მცენარეულ
ორგანიზმზე. ამ საკითხის შესწავლას პროგრამაც ითვალისწინებს და
სახელმძღვანელოშიც არის გაშუქებული, მაგრამ არასაკმარის. ამ
ფაქტორების შესწავლას განსაკუთრებული ყურადღებით უნდა მო-
ვეკიდოთ. ისინი განსაზღვრავენ ორგანიზმის დამოკიდებულებას გარე-
მოსთან, მათი რეგულირებით შეიძლება ორგანიზმის სიცოცხლის
შართვა და მისი ნაყოფიერების ზრდა. მოსწავლეს უნდა გავაგებინოთ,

რომ ეს ფაქტორები მცენარესათვის ტოლფასოვანნი არიან, რომ მცენარე და ეს ფაქტორები მთლიანობას წარმოადგენენ და ერთ-ერთის გამორიცხვა მცენარის დაღუპვას იწვევს.

მცენარისათვის საკვებ ნივთიერებათა როლის განხილვისას მოსწავლეებს უნდა გავაქწოთ ჩვენი სახელოვანი მეცნიერი ვ. რ. ვილიამსი, ვუამბოთ მისი მოკლე ბიოგრაფია და მნიშვნელობა აგრობიოლოგიური მეცნიერების განვითარებისათვის.

როდესაც მცენარეზე სინათლის გავლენას შევისწავლით მოსწავლეებს მოკლედ უნდა გავაცნოთ კ. ა. ტიმირიაზევის ბიოგრაფია და მისი მუშაობა მცენარეთა ფიზიოლოგიაში, კერძოდ, ქლოროფილის როლის შესწავლის საქმეში.

საკითხი მცენარეთა სტადიურობის შესახებ პროგრამაში ასეა ფორმულირებული: „გაზაფხულის და შემოდგომის მცენარეები, იაროვიზაციის მნიშვნელობა“. პროგრამა არ მოითხოვს აკადემიკოს ლისენკოს ბიოგრაფიისა და მისი მუშაობის გაცნობას. ეს პროგრამის დიდი ნაკლია. მოსწავლეს უნდა ვასწავლოთ ლისენკოს ბიოგრაფია და გავაცნოთ მისი თეორიული და პრაქტიკული მუშაობის მიღწევები (ხორბლის ახალი ჯიშების მიღება, იაროვიზაცია, კარტოფილის საზაფხულო რგვა, ბაჰბის მოსაკლის გადოდება და სხვ.).

მასალები მიჩურინის, ვილიამსის, ტიმირიაზევისა და ლისენკოს მიღწევების შესახებ უფრო ღრმად და ფართოდ მე-9 კლასში განიხილება.

ვილიამსის, ტიმირიაზევის, მიჩურინისა და ლისენკოს შესწავლას მე-5 და მე-6 კლასების ბოტანიკის პროგრამაში და სახელმძღვანელოში შესაფერისი ადგილი უნდა მიეუჩინოთ, რადგან რეაწლიანი სკოლის სხვა კლასებში შესაბამისი მასალა აღარ ისწავლება.

მცენარეთა ანისტემატიკის პროგრამით მე 6 კლასში გათვალისწინებულია ცხრა ოჯახის შესწავლა. ამ ოჯახებში შედიან ისეთი კულტურები, რომელთაც ჩვენი სახალხო მეურნეობისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს. მაგრამ არიან ისეთი კულტურები, რომლებიც ამ ოჯახებს არ ეკუთვნიან, მაგრამ უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვთ ჩვენთვის. ასეთია—შაქრის ქარხალი, გერანი და სხვ. მასწავლებელი ვალდებულია მოსწავლეებს გააცნოს მათი ბიოლოგია, მოშენებისა და მოვლა-პატრონობის ელემენტარული წესები.

სახელმძღვანელოში ოჯახებისა და ამ ოჯახებში შემავალი მცენარეების განხილვის ერთნაირი წესი და გეგმა არ არის დაცული. ზერგან მათი აღწერა არის მშრალი, სქემატური, მოსწავლეთათვის არასაინტერესო. ზოგან ნაკლებმნიშვნელოვანი კულტურა უფრო დეტალურად არის განხილული, ვინემ წამყვანი კულტურა, ხშირად

არ არის მოცემული კულტურების ბიოლოგია, მათი მოთხოვნა
სასიცოცხლო ფაქტორებისადმი, წამყვანი კულტურების მოშენებისა
და მოვლა-პატრონობის ელემენტარული წესები, მათი ადგილი
სახალხო მეურნეობაში, ისტორია და განვითარება მეოთხე სტალი-
ნური ხუთწლიანი გეგმით, ჩვენი სოფლის მოწინავე ადამიანების
მიღწევები ამა თუ იმ კულტურის მოსავლიანობის ზრდის საქმეში,
მათი მუშაობის მეთოდები და სხვ. სახელმძღვანელო ამ კითხვებზე
დამაკმაყოფილებელ პასუხს ვერ იძლევა და იქ მოცემული მასალა
ამ ცხრივ აშკარად არადამაკმაყოფილებელია.

მითითებული ოჯახებისა და ოჯახში შემავალი ტიპიური (როგორც
კულტურული, ისე ველური) და მთავარი მცენარეების შესწავლა
შემდეგი გეგმით უნდა წარმოებდეს: 1. შესწავლილი ოჯახისათვის
ტიპიურად მიჩნეული და ეკონომიურად მნიშვნელოვანი მცენარის
ბოტანიკური აღწერა (მორფოლოგია ყვავილის, ნაყოფის, ფესვის,
ფოთლისა და ლეროსი); 2. კულტურის მოთხოვნილება სასიცოცხლო
პირობებისადმი (ბიოლოგია) და აქედან გამომდინარე მისი მოშენე-
ბისა და მოვლა-პატრონობის უმთავრესი წესები; 3. ჩვენი სოფლის
(რაიონის, რესპუბლიკის) მოწინავე ადამიანები (სოციალისტური
შრომის გმირები), რომლებმაც ამ კულტურის სარეკორდო მოსავალი
მიიღეს და მათი მუშაობის მეთოდების გაცნობა; 4. კულტურის უმ-
ნიშვნელოვანესი ჯიშები და საბჭოთა სელექციის მაღლეები ამ კულ-
ტურის ჯიშთა მიღების საქმეში; 5. კულტურის ადგილი სოფლის
მეურნეობაში: ეკონომიური მნიშვნელობა და გავრცელების რაიონები,
მისი განვითარების წარსული და პერსპექტივა ბუნებრივ-ისტორიუ-
ლი პირობებისა და სახელმწიფო გეგმების მიხედვით.

სპოროვან მცენარეთა ჯგუფების შესწავლისას მთავარი ყურად-
ღება უნდა მიექცეს ეკოლოგიის საკითხებს, შეგუებას საცხოვრებელ
გარემოსთან და ფილოგენიას პროგრამის მოცულობით. თითოეული
ჯგუფის დამუშავება უნდა სწარმოებდეს ერთნაირი გეგმით და იგი
შემდეგ საკითხებს უნდა შეიცავდეს:

1. ჯგუფის ან მისი ტიპიური წარმომადგენლის გარეგანი და შინა-
განი აგებულება;
2. გარემო საცხოვრებელი პირობები;
3. გამრავ-
ლება და განვითარება;
4. გავრცელება ბუნებაში;
5. ჯგუფში შემა-
ვალი, სკოლაში შესასწავლი სხვა მცენარეები;
6. მისი მნიშვნელობა
ადამიანისათვის;
7. წარმოშობა (სადაც აქვს პროგრამა მოითხოვს).

რადგან სახელმძღვანელო უმეტეს შემთხვევაში მითითებულ საკით-
ხებზე დამაკმაყოფილებელ პასუხს ვერ იძლევა, მასწავლებელი ვალ-
დებულია შეავსოს ეს ნაკლი და ამისათვის გამოიყენოს ამ საკითხებ-
ზე არსებული მიწერილი ბიოლოგების შრომები, მეცნიერულ-

პოპულარული და მეთოდური ლიტერატურა, მთავრობის დადგენილ ბანი, რომლებიც შესასწავლ საკითხებს შეეხება და სხვ. მხოლოდ ამ გზით გადაჭრის მასწავლებელი საშუალო სკოლაში ბოტანიკის ლეხის წინაშე მდგომ ამოცანებს.

ზოოლოგიის არც პროგრამასა და არც სახელმძღვანელოში (პ. მეტრეველი და მ. ფაქუაშვილი „ზოოლოგია“, 1948) სრულიად არაფერია ნათქვამი მიჩურინზე. ამავე დროს მიჩურინის მუშაობის მეთოდები ფართოდ არის გამოყენებული ცხოველთა სელექციის საქმეში. ბოტანიკის კურსის გავლისას მოსწავლეები საკმაოდ გაეცნენ მიჩურინსა და მის მუშაობას, მაგრამ ბიოლოგიის კურსშიც უნდა გავამახვილოთ მოსწავლეთა ყურადღება, რამდენადაც მიჩურინული ბიოლოგია საფუძვლად უდევს ცხოველთა ახალი ჯიშების გამოყვანას.

მეცხოველეობისათვის მიჩურინის მუშაობის მნიშვნელობის შესახებ მოკლე ცნობები მოსწავლეებს უნდა მიეცეს ზოოლოგიის კურსის შესავალშივე, სადაც ლაპარაკია ზოოლოგიის ცოდნის მნიშვნელობაზე ჩვენი ქვეყნის ბუნებრივ სიმდიდრეთა დაუფლებისათვის.

მაგრამ არ კმარა მხოლოდ შესავალში აღინიშნოს მიჩურინული აგრობიოლოგიურა მეცნიერების მიღწევები. საჭიროა ზოოლოგიის მთელ კურსში წითელ ზოლად იყოს გავლებული ის მიღწევები, რაც მოპოვებული აქვს საბჭოთა მეცხოველეობას მიჩურინული მეთოდების მომარჯვების შედეგად. განსაკუთრებით კი ამ საკითხზე მე-7 კლასში უნდა შეეჩერდეთ და მიჩურინული მეთოდით ცხოველთა მოშენებისა და ახალი ჯიშების გამოყვანა მოსწავლეებს უფრო ღრმად გავაცნოთ ძეუძმწვორების თემასთან დაკავშირებით.

ზოოლოგიის სახელმძღვანელოში აქა-იქ მოცემულია მოკლე ცნობები აღამიანის მიერ ცხოველთა სხვადასხვა ჯიშებისა და ბევრი ახალი ჯიშის გამოყვანის შესახებ. მაგრამ ეს დღეს საკმარისი არ არის. მასწავლებელი ვალდებულია სახელმძღვანელოში მიმოფანტული ეს მასალა წინ წამოსწიოს, უფრო გააღრმავოს და გააფართოოს. ამ თემით მოსწავლეები, მათთვის დასაძლევ ფარგლებში, უნდა გავაცნოთ იმ ინტენსიურ მუშაობას, რასაც მიჩურინული თეორიითა და პრაქტიკით შეიარაღებული აკად. ივანოვი აწარმოებდა ცხოველთა ახალი ჯიშების გამოყვანის მიმართულებით. აქვე უნდა აღინიშნოს ქართველ მიჩურინელთა მუშაობა ცხოველთა გაუმჯობესებული ჯიშების მიღების საქმეში. მოსწავლეები მოკლედ უნდა გაეცნონ იმ მიღწევებს, რომელიც ქართველმა მიჩურინელმა ა. ნატროშვილმა მოიპოვა ახალი ქართული ცხვრის ჯიშის მიღებით.

მიჩურინული ხერხების მომარჯვებით—შეჯვარებით, შერჩევითა და გონივრული მოვლა-პატრონობით სოფ. მეორე სვირის (ხესტაფონის

რაიონი) კოლმეურნობაში მიღწეულია ღორის ნაყოფიანობის უმაღ-
ლესი მაჩვენებლები: ღორი წლიურად იძლევა საშუალოდ 25,6 გოქს.
სილნალის კოლმეურნობა „შრომის“ და წითელწყაროს სტალინის
სახელობის კოლმეურნობაშია მუშაკებმა მეცხენეობის დარგში მო-
პოვებული მაღალი მაჩვენებლებისათვის მიიღეს შრომის გმირობა.
ცხენის ჯიშის გაუმჯობესების მხრივ დიდ მუშაობას აწარმოებს აგ-
რეთვე მუხროვანის ცხენსაშენი. მასწავლებელი ვალდებულება გააცნოს
მოსწავლეებს საბჭოთა სელექციის ამგვარი მიღწევები, რომლებიც
მოპოვებულია მიჩურინული ბიოლოგიის მომარჯვების საფუძველზე.

სახელმძღვანელოს იმ თავებში, სადაც ლაპარაკია საბჭოთა კავ-
შირში მეცხოველეობის ზრდაზე (გვ. 199) და შინაური საქონლის
მოვლაზე (გვ. 198), არასაკმაოდაა გაშუქებული რაციონალური
მოვლა პატრონობის მნიშვნელობა მეცხოველეობის განვითარე-
ბისა და გაუმჯობესებისათვის. სახელმძღვანელოში ცხოველ-
თა ჯიშების ფორმირებასა და გაუმჯობესებაზე გარეშო პირო-
ბების მნიშვნელობის შესახებ არაფერია ნათქვამი. არაფერია ნათ-
ქვამი აგრეთვე შეჯვარების და შერჩევის გზით, ცხოველთა ჯიშების
გამოყვანაზე. მასწავლებელი ვალდებულია შეაქოს სახელმძღვანელოს
ეს ნაკლი და მოსწავლეებს მისცეს წარმოდგენა ცხოველთა ჯიშების
გამოყვანის იმ საშუალებებზე, რომელთაც თავის მუშაობაში მიმარ-
თავენ აკადემიკოსი ივანოვი და რომელთაც წარმატებით იყენებს
ა. ნატროშვილი.

მასწავლებელმა ზოოლოგიის ამ ნაწილის სწავლება განსაკუთრე-
ბით მჭიდროდ უნდა დაუკავშიროს ადგილობრივი ან მახლობელი
კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის შემოქმედებით მუშაობას,
უთუოდ გააცნოს სახალაჯიშო შეჯვარების პრაქტიკას (სადაც ეს შე-
საძლებელია), არ დაკმაყოფილდეს საარსებო პირობების ზოგადი
დახასიათებით, პრაქტიკულად გააცნოს ახალი ბოსლის ტიპი, საქონ-
ლის მოვლის ძირითადი მომენტები, განსაკუთრებით კი კვების ნორ-
მები და მათი დახასიათება.

სახელმძღვანელოს ზემოთ მოყვანილ თავებში ზოგადად არის ნათ-
ქვამი დაავადებულ ცხოველთა მკურნალობის აუცილებლობაზე, ხოლო
თვით დაავადების მიზეზებსა და მკურნალობის წესებზე არაფერია
ნათქვამი. სახელმძღვანელოში თითქმის არაფერია აგრეთვე ცხოველთა
გარეგან პარაზიტოზებზე, რომელთაც ესოდენ დიდი მნიშვნელობა აქვთ
მეფრინველობაში, მეცხენეობაში და, საერთოდ, მეცხოველეობაში.

შინაურ ცხოველთა ჯიშების წარმოშობისა და მათი გაუმჯობესების
გზების შესწავლის თვალსაზრისით გაუმართლებელია ზოგი მასალის
ისეთი განლაგება, როგორც სახელმძღვანელოშია მოცემული. ამ მხრივ

აღსანიშნავია მასალა ადამიანის წარმოშობაზე. მასწავლებელმა ეს საკითხი უნდა განიხილოს პრიმატების რაზმის შესწავლის შემდეგ. მომდევნო მასალა, რომელიც ეხება ცხოველთა მოშინაურობას, შინაარსი საჭიონლის მოვლას, მეცხოველეობის ზრდას საბჭოთა კავშირში და სხვ.

ადამიანის ანატომიისა და ფიზიოლოგიის სახელმძღვანელოში (ა. ნ. კაბანოვი, „ადამიანის ანატომია და ფიზიოლოგია“, 1948) ხშირად არ არის, ან სუსტად არის წარმოდგენილი ამ კურსის სწავლების კავშირი ცხოველებთან და ჩვენი მშენებლობის პრაქტიკულ საკითხებთან. „სისხლის მიმოქცევის“ თემის განხილვის დროს სახელმძღვანელოში არაფერია ნათქვამი სისხლის გადასხმის მნიშვნელობასა და წესებზე. ამავე თემაში სახელმძღვანელო პასუხს არ იძლევა იმ პირველადი დახმარების აღმოჩენაზე, რომელიც უნდა გაეწიოს კრილობამიყენებულ ადამიანს სისხლის დენის დროს, თუმცა პროგრამა ამ საკითხის გაშუქების საჭიროებაზე გარკვევით მიუთითებს. სახელმძღვანელოს მე-20 თავში ლაპარაკია სალი ჰაერისათვის ბრძოლის მნიშვნელობაზე, მაგრამ აქ არაფერია ნათქვამი მწვანე ნარგავებისა და საზოგადოება „ტყის მეკობრის“ მნიშვნელობაზე ჯანსაღი ჰაერისათვის ბრძოლის საქმეში. 31-ე თავის დამუშავებასთან დაკავშირებით, რომელიც ძვლის შედგენილობასა და აგებულებას ეხება, პროგრამის მოთხოვნების შესაბამისად, მოსწავლეებს უნდა მიეცეთ წარმოდგენა და პრაქტიკული ჩვევები ძვლის მოტეხილობისა და ღრძობის შემთხვევაში პირველი დახმარების ღონისძიებათა შესახებ. ხოლო სახელმძღვანელოში ამაზე არაფერია ნათქვამი. სახელმძღვანელოში არაფერია ნათქვამი აგრეთვე პირობითი რეფლექსების გამომუშავების პრაქტიკულ მნიშვნელობაზე (პირობითი რეფლექსების გამომუშავება ძაღლებში, მტრედებში და მისი პრაქტიკული მნიშვნელობა). სახელმძღვანელოში პროგრამის მოთხოვნის მიუხედავად, სეკრეციის ჯირკვლების მნიშვნელობის განხილვისას სრულიად არასაკმაოდაა გაშუქებული საკითხი სასქესო ჯირკვლების ამოცლის (კასტრაცია) ან გადანერგვის მნიშვნელობის შესახებ ჩვენი სოციალისტური მეცხოველეობისა და წედიცინისათვის. მოზარდი ორგანიზმის ფიზიოლოგიის შესწავლასთან დაკავშირებით არც პროგრამა და არც სახელმძღვანელო არ იხილავს ბავშვთა ჰიგიენის ძირითად საკითხებს. აღსანიშნავია ისიც, რომ სახელმძღვანელო სრულიად გვერდს უვლის მეოთხე სტაღინური ხუთწლედინიდან გამომდინარე ჯანმრთელობის დაცვა-განვითარების ამსახველ მასალებს, ჯანმრთელობის ხაზით დასახულ ამოცანებსა და ღონისძიებებს და სხვ. სახელმძღვანელოს ეს ნაკლი თვით მასწავლებელმა უნდა შეაყოს სათანადო ლიტერატურის გამოყენებით.

საკითხი უჯრედის არაპირდაპირი გაყოფის შესახებ შესწავლილი უნდა იქნეს გასული წლის მითითებების შესაბამისად (იხ. განათლების სამინისტროს მითითებანი საშუალო სკოლის პროგრამებზე). სახელმძღვანელოებში შეტანილი ზოგიერთი ცვლილების შესახებ). ამასთან დაკავშირებით სახელმძღვანელოდან ამოღებულ იქნეს ცნება ქრომოსომა რიცხვის მუდმივობაზე (გვ. 16).

სახელმძღვანელოს 63-ე თავიდან (გვ. 203) ამოღებულ იქნეს „სასქესო უჯრედების მომწიფების“ ქვეთავი, სადაც ლაპარაკია ქრომოსომების რიცხვის მუდმივობაზე სასქესო უჯრედებში და მათს მემკვიდრეობით ბუნებაზე. ამავე გვერდზე „ჩანასახის განვითარების“ თავში ამოღებულ იქნას მასალა, რომელიც იწყება სიტყვებით: „დედრობითი და მამრობითი სასქესო უჯრედების შეერთების დროს აღდგინდება“ და სხვ. სიტყვებამდე „განაყოფიერებული კვერცხ-უჯრედი სწრაფად იწყებს განვითარებას“.

სახელმძღვანელოს 84-ე გვერდზე „კვების მნიშვნელობის“ საკითხის განხილვისას ნათქვამია: „დიდი ხანია გამოირკვა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მესაქონლეობაში სასოფლო-სამეურნეო ცხოველების წესიერ და რაციონალურ კვებას. სხვადასხვა ქვეყნებში მესაქონლეობის შემოსავლიანობის აღმავლობისათვის ყოველმხრივ უწყობენ ხელს ცხოველთა კვების შესახებ მეცნიერების განვითარებას“ და ა. შ. აქ საქმე გვაქვს უცხოური პრაქტიკის გადაქარბებულ შეფასებასა და ერთგვარ ქედისმოხრილობის გამოვლინებასთან. მოსწავლეებს მოკლედ უნდა განემარტოთ, თუ რა მიღწევები აქვს ჩვენს სოციალისტურ მესაქონლეობას პროდუქტიულობის ზრდის საქმეში, რაციონალური კვებისა და წესიერი მოვლა-პატრონობის შედეგად.

არც პროგრამა და არც სახელმძღვანელო არ ითვალისწინებს ცნობილი მეცნიერის, აკადემიკოს პავლოვის ცხოვრების გაცნობას, თუმცა მისი მუშაობის მეთოდებზე მომწიფებელი ჯირკვლების ფიზიოლოგიის შესასწავლად და პირობითი რეფლექსების მოძღვრებაზე სახელმძღვანელოში საკმაო მასალა არის მოცემული და პროგრამაც ითვალისწინებს ამ საკითხების დამუშავებას. პირობითი რეფლექსების საკითხის დამუშავებისას მასწავლებელმა უნდა გააცნოს მოსწავლეებს ამ დიდი რუსი მეცნიერის მოკლე ბიოგრაფია.

დარვინიზმის საფუძვლები. უახლოესი ცვლილებანი ბიოლოგიურ მეცნიერებაში ყველაზე მეტად დარვინიზმის პროგრამასა და სახელმძღვანელოს (ა. ა. შიბანოვი და სხვ. „დარვინიზმის საფუძვლები“, 1948) ეხება.

სახელმძღვანელოზე მუშაობისას მასწავლებელს ხშირად მოუხდება იქ მოცემული დებულებანი გადაადსოს მიჩურინული ბიოლოგიის



პრინციპების თვალსაზრისით. ამიტომ, როდესაც მასწავლებელს შესა-
ვალში ამ საგნის შესწავლის ამოცანებზე ექნება ლაპარაკი, ის ვალ-
დებულაა მოსწავლეებს გააცნოს ის დაძაბული ბრძოლა, რომელზე-
საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა განვითარების ისტორიის მან-
ძილზე ორ მიმართულებას შორის წარმოებდა, ერთი მხრივ იდეა-
ლისტურ მეტაფიზიკურსა და, მეორე მხრივ, დიალექტიკურ-მატე-
რიალისტურ და ევოლუციურ მიმართულებათა შორის. ამასთან
დაკავშირებით მასწავლებელმა, ჯერ კიდევ მოკლედ, ზოგადად უნდა
უამბოს მოსწავლეებს ლენინის სახელობის საკავშირო სასოფლო-სა-
მეურნეო აკადემიის სესიის ისტორიული მნიშვნელობის შესახებ,
ხოლო შემდეგ მუშაობაში, გზა და გზა, კურსის შესაბამის ადგილას
ეს საკითხები უფრო უნდა გააღრმავოს და გაათავსოს.

ჩვენ აქ მასწავლებელს მივუთითებთ მხოლოდ იმ ძირითად საკით-
ხებზე, რომლებიც სახელმძღვანელოში არასწორად არის გაშუქებული
საბჭოთა ბიოლოგიის თვალსაზრისით და რომელთა მიმართ მასწავ-
ლებელს ყურადღების გამახვილება დასჭირდება.

სახელმძღვანელოს პირველ თავში (გვ. 26) და დარვინის მოძღვრე-
ბის შესწავლის დასასრულს 107-ე გვერდზე (თავი „ლამარკი და
დარვინი“) ლაპარაკია ლამარკის მოძღვრებაზე, აქ ლამარკის შესა-
ხებ მოცემულია არა მხოლოდ ძუნწი ცნობები, არამედ მისი მოძ-
ღვრების არასწორი შეფასებაც. ეს შეფასება ხელაღებით უარყოფს
ლამარკის სწავლებას მთლიანად. მოსწავლეებს უნდა განუშარტოთ
საერთოდ ლამარკის სწავლების იდეალისტური არსი, მაგრამ უნდა
ფუჩვენოთ მისი მოძღვრების პროგრესიული მხარეც, რომელიც აღი-
არებს ორგანიზმების ბუნების ცვლადობას გარემოს პირობების
ზეგავლენით და ამ ცვლილებების მემკვიდრეობითობას. ლამარკის
მოძღვრების შეფასებისას მასწავლებელმა უნდა იხელმძღვანელოს
ლისენკოს სიტყვებით: „ლამარკის ცნობილი დებულებანი, რომლე-
ბიც აღიარებენ გარემო პირობების აქტიურ როლს ცოცხალი სხეუ-
ლის ფორმირებაში და შეძენილ თვისებათა მემკვიდრეობას, წინააღ-
მდეგ ნეოდარვინიზმის (ვეისმანიზმის) მეტაფიზიკისა, სრულიადაც
არ არის მანკიერი, არამედ პირიქით, სავსებით სწორი და სავსებით
მეცნიერული არიან“ (იხ. აკად. ლისენკოს მოხსენება „მღვამარეობა
ბიოლოგიურ მეცნიერებაში“, გვ. 15).

შემდეგ თემაში, რომელიც დარვინის მოძღვრების ძირითად დებუ-
ლებებს შეისწავლის, მთელი რიგი დებულებები სახელმძღვანელოში
არასწორად არის გაშუქებული. ამ თემის დამუშავების შედეგად
მოსწავლეებისათვის ნათელი უნდა გახდეს მთავარი საკითხები—
სწავლება ხელოვნური და ბუნებრივი შერჩევის შესახებ, აქვე მოს-

წივლებს უნდა გავაგებინოთ დარვინის შეცდომები და განსაკუთრებით ის შეცდომები, რომლებიც არსებობისათვის ბრძოლის საკითხში შეეხება.

დარვინმა, როგორც ამას ფ. ენგელსი აღნიშნავდა, პირველმა მოგვცა ბუნებაში მრავალფეროვნების, ერთიანობისა და სუბტელულობის საკითხების მატერიალისტური ახსნა, მაგრამ მას ჰქონდა აგრეთვე მცდარი დებულებები, რომლებიც ვეისმანისტ-მორგანისტ-მენდელისტებმა გამოიყენეს დარვინის მოძღვრების დასამახინჯებლად.

მასწავლებელი განსაკუთრებით უნდა შეჩერდეს დარვინის მოძღვრების მცდარი დებულებების ახსნა-განმარტებაზე და უჩვენოს მოსწავლეებს, რომ საბჭოთა მეცნიერებმა და პირველ რიგში აკად. ლისენკომ, სწორად და მეცნიერულად გადაკრეს სახეობათა შორის და შინასახეობითი ბრძოლის საკითხი, რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენი სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის.

საკითხი სახეობათა წარმოქმნის შესახებ უნდა ისწავლებოდეს ახლებურად, ლისენკოს მოძღვრების თვალსაზრისით. ამ გაშუქებას საფუძვლად უნდა დაედვას ბუნებაში ორგანიზმების ურთიერთობის საკითხის ახალი გაგება. არა შინასახეობითი კონკურენცია, არა საკვების უკმარისობა მცენარეებისა და ცხოველებისათვის, დრომოქმული მცდარი კონცეფცია, რასაც ასე მაგრად ებლაუქებიან მორგანისტები, უნდა დაედვას საფუძვლად ნიშან-თვისებათა დაშორებას, არამედ სხვადასხვა სახეობის ორგანიზმების დამოკიდებულება ერთმანეთთან და გარემო პირობებთან. მხოლოდ სახეობათა შორის ბრძოლა და გარემომცველი პირობების გავლენა იწვევს ორგანიზმების ამოწყვეტას ან გადარჩენას.

აკად. ტ. დ. ლისენკო სახეობის წარმოქმნას განიხილავს, როგორც ისტორიის პროცესში რაოდენობითი ცვლილებების თვისებრივ ცვლილებებში გადასვლას. ორგანიზმები საცხოვრებელ პირობებთან ერთიანობაში იმყოფებიან და აგროვებენ ცვლილებებს, რომლებიც მათ მიერ ასიმილირებულია გარემოს განსახლებრული პირობების ზეგავლენით. ბოლოს და ბოლოს ხდება ნახტომი და ერთი სახეობა გარდაიქმნება მეორე სახეობად. ტ. დ. ლისენკოს მოჰყავს მაგალითი ხორბლის ერთი სახეობის მეორე სახეობად ასეთი ნახტომისებური გარდაქმნის შესახებ. ამავე დროს ამ ახალ სახეობათა შორის გარდასვალთი ფორმები ნახული არ არის. ამრიგად, სახეობათა წარმოქმნის პროცესის გაგებას საფუძვლად ედება სრულიად ახალი განმარტება. ამასთანავე მოსწავლეებს უნდა ვუჩვენოთ, რომ ტ. დ. ლისენკომ ამ თეორიული საკითხების გადაწყვეტით გადასჭრა დიდი მნიშვნელობის პრაქტიკული საკითხები, როგორცაა მემცენარეობაში სარეველებთან

პრობლემა, ტყეების სწრაფად გაშენება ჩვენი ქვეყნის მშრალ რაიონებში, ნარევაბალახეულის შედგენა და სხვ.

ამასთან დაკავშირებით მოსწავლეებს უნდა გავაცნოთ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „სსრ კავშირის ევროპული ნაწილის ველიან და ტყეველიან რაიონებში უხვი და მყარი მოსავლის უზრუნველსაყოფად მინდორსაცავი ტყის ნარგავების, გუბურებისა და წყალსატევების მშენებლობის გეგმის შესახებ“. მოსწავლეები უნდა იცნობდნენ ბუნების გარდაქმნის ამ გრანდიოზულ პროგრამას, რასაც ვილიამს-მიჩურინის და ლისენკოს მოძღვრება უდევს საფუძვლად.

სახელმძღვანელოს 47-ე გვერდზე ლაპარაკია განუსაზღვრელ (გაურკვეველ) ცვალებადობაზე. ვეისმანის ტ-მორგანის ტებმა ხელი ჩაჭიდეს დარვინის ამ დებულებას და დარვინის სახელით აღიარებენ, რომ თითქოს ცვალებადობისა და მემკვიდრეობის ბუნება შეუცნობელი იყოს. ნამდვილად კი დარვინი სცნობდა ამ ცვალებადობის მიზეზების შეცნობის შეუძლებლობას თავისი დროისათვის, მაგრამ მას არ უთქვამს, რომ ადამიანი მათ ვერასდროს ვერ შეიცნობს. ასეთია მიჩურინული ბიოლოგიის თვალსაზრისით ამ საკითხის ახსნა. ამასვე ამბობდა დარვინიც.

მემკვიდრეობის ცნების განსაზღვრისას მასწავლებელმა უნდა გამოიყენოს სახელმძღვანელოში მოცემული მასალა, დაეყრდნოს აკად. ლისენკოს მიერ ამ საკითხზე მოცემულ განსაზღვრას და გასაგებად განუმარტოს ის მოსწავლეებს.

დარვინის ზემოხსენებული შეცდომების შესახებ არც პროგრამა მიუთითებს და არც სახელმძღვანელოშია ნათქვანი. დარვინის მოძღვრების მცდარი დებულების განმარტებისას უნდა დავეყრდნოთ მარქსიზმის კლასიკოსების აზრს დარვინის შეცდომების შესახებ და ლისენკოს იმ მითითებებს, რომელიც მოცემულია მის ცნობილ მოხსენებაში.

სახელმძღვანელოში ისეთი მნიშვნელოვანი თემა, როგორცაა „დარვინიზმისათვის მებრძოლი რუსი მეცნიერები“ მეტად სქემატურად, პრიმიტიულად არის დამუშავებული, ამ თემით მოსწავლეებმა კარგად უნდა შეითვისონ ის განსაკუთრებული დამსახურება, რომელიც მიჩურინსა და ლისენკოს მიუძღვით ცვალებადობისა და მემკვიდრეობის კანონების დადგენაში.

ამოცანა ის არის, რომ მოსწავლეები მიჩურინისა და ლისენკოს მოძღვრების შინაარსის სწავლებისას მტკიცედ მივიყვანოთ იმის შეგნებამდე, რომ მიჩურინული მოძღვრება ახალი, მაღალი ეტაპი მატერიალისტური ბიოლოგიის განვითარებაში, რომ ეს ახალი, საბჭოთა შემოქმედებითი დარვინიზმია, რომელიც გვასწავლის—არ

ვუცადოთ ბუნების მოწყალებას და აქტიურად ჩავებათ ბუნებას მართვის საქმეში. მთელი კურსის მანძილზე ფართოდ უნდა იქნეს ნაჩვენები რუს მეცნიერთა პრძორიტეტი, მოსწავლეები უნდა იქნებოდნენ აგრეთვე ქართველ სელექციონერებს, რომლებსაც მუშაობის მიზრინული მეთოდების გამოყენების შედეგად, გარკვეული მიღწევები აქვთ მცენარეთა და ცხოველთა ჯიშების გაუმჯობესებისა და ახალი ჯიშების გამოყენების საქმეში.

ამ თემასთან დაკავშირებით მასწავლებელმა უნდა გააცნოს მოსწავლეებს ვ. რ. ვილიამსის ცხოვრება და მოღვაწეობა, რომელიც ჩვენი აგრობიოლოგიური მეცნიერების ერთ-ერთი ფუძემდებელია. ვილიამსის გაცნობა მიზანშეწონილია ტიმირიაზევის შესწავლის შემდეგ.

„სიცოცხლის წარმოშობის“ თემაში მხოლოდ მოიხსენიება ბუტლეროვის, ბახისა და აკად. ოპარინის შრომები. ამავე დროს ცნობილია, რა დიდი დამსახურება მიუძღვის ამ მეცნიერთა შრომებს მეცნიერებისა და ჩვენი სახალხო მეურნეობის განვითარების საქმეში. ამიტომ მათ შესახებ მოსწავლეებს უნდა ვუთხრათ უფრო სრულად, დაწაჯერებლად და გასაგებად.

საბჭოთა ქმედით დარვინიზმს მარტო წიგნებით ვერ ვასწავლით. მოსწავლეებმა თვითონ უნდა მიიღონ მონაწილეობა მცენარეთა ბუნების გარდაქნაში. მოსწავლეებმა ფართოდ უნდა გამოიყენონ სკოლის ს. სწავლო ბაზა (კაბინეტი, ცოცხალი კუთხე, სასკოლო ნაკვეთი) დარვინიზმის საფუძვლების პრაქტიკულად შესწავლისათვის. ნიჟრინისა და ლისენკოს დებულებათა სისწორის საილუსტრაციოდ ჩატარებული უნდა იქნას ცდები სქესობრივი და ვეგეტატიური ჰიბრიდიზაციის შესახებ, მოეწყოს ექსკურსიები, გაიშალოს ნორჩ-მიჩურინელთა მუშაობა და სხვ.

საბჭოთა ბიოლოგიის წინაშე მდგომი ახალი ამოცანები დიდ მუშაობას მოითხოვს თვით მასწავლებლისაგან. მასწავლებელი გულდასმით უნდა ემხადებოდეს ყოველი გაკვეთილისათვის, ზედმიწევნით გაიაზროს თითოეული გაკვეთილის მიზანი, შეაჩიოს მასალა, გაკვეთილის გეგმაში დაწვრილებით გაითვალისწინოს დასამუშავებელი საკითხები და სხვ. ამისათვის კი საჭირო იქნება მასწავლებელმა მაქსიმალურად გამოიყენოს ის ლიტერატურა, რომელიც ამ საკითხზე არსებობს. სახელდობრ: 1. ტ. დ. ლისენკოს „მდგომარეობა ბიოლოგიურ მეცნიერებაში“ — გაზეთ „კომუნისტის“ გამოცემა 1948 წ.; 2. ვ. რ. ვილიამსის, მიწათმოქმედების საფუძვლები, 1948 წ.; 3. ი. ვ. მიჩურინი, რჩეული თხზულებანი, ერთ ტომად, 1948 წ. (რუს. ენაზე); 4. დარვინიზმის საფუძვლები (ქრესტომათია) საქართველოს პედა-

გოგოყურ მეცნიერებათა ინსტიტუტის გამოცემა, 1948 წ.; 5. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მეთოდური წერილებს კრებული „ბიოლოგია სკოლაში“ № 1. 1948 წ.

საქართველოს
სამეცნიერო
სამსახური

* * *

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის დადგენილებით აღნიშნული მითითებანი ა. წ. 15 ნომბრამდე განხილული უნდა იქნას ბიოლოგიის მასწავლებელთა რაიონულ (საქალაქო) შეკრებებსა და ყველა დაწყებითი, რვაწლიანი და საშუალო სკოლის პედაგოგიურ საბჭოს სხდომაზე.

F1054

У К А З А Н И Я

о перестройке преподавания биологии в средней школе на основе Мичуринского учения

Утверждены коллегией Министерства просвещения Груз. ССР

Сессия Всесоюзной Академии с-хозяйственных наук имени Ленина, проведенная в августе текущего года, наметила новые задачи и пути развития Советской биологической науки. Продолжительная борьба, которая велась между двумя направлениями в биологии, увенчалась блестящей победой Мичуринской биологии.

Доклад академика Лысенко, сделанный на сессии, и вся работа сессии имеют непосредственную связь с обучением биологии в школе. Перед школой стоят ответственные задачи, от успешного разрешения которых зависит воспитание подрастающего поколения, вооруженного теорией и практикой Мичуринской биологии и диалектико-материалистическим мировоззрением. Обучение естествознанию решительно должно быть освобождено от элементов схоластики и безжизненного догматизма, и обучение Мичуринской биологии должно быть поставлено на твердую основу.

Наши действующие программы и учебники требуют коренных исправлений и переделки, так как в них недостаточно отражены теоретические и практические достижения передовой советской биологической науки и не видно ведущей роли советских ученых в ее развитии.

До издания новых программ и учебников школы должны пользоваться настоящими указаниями для того, чтобы по новому обучать естествознанию.

В первых трех классах начальной школы естествознание изучается вместе с родным языком. Здесь учащиеся знакомятся с теми предметами и явлениями природы, о которых идет речь в материале учебника. Предметы и явле-

зия должны быть рассматриваемы просто, но в соответствии с данными советской биологии. Внешние признаки и строение должны рассматриваться в связи и единстве с жизненными функциями и со средой обитания.

Учебники родного языка этих классов не всегда содержат нужный материал для проработки соответствующих вопросов программы по естествознанию. Правда, стихотворения и рассказы, помещенные в учебнике для второго класса, дают достаточно материала для проработки темы „леса“, но нельзя сказать то же самое и про материал, касающийся огорода, виноградника и сада. Материал в этом отношении недостаточен. Также слабо представлены в учебнике III класса материалы, касающиеся вопросов технических растений и здоровья человека. Эту недостаточность материала учитель должен восполнить усилением экскурсионных и практических работ, предусмотренных программами, проведением непосредственных наблюдений над предметами и явлениями природы и пр.

Во втором классе, при ознакомлении с садовыми культурами надо учащимся кратко рассказать о жизни И. В. Мичурина. Учащихся III класса надо познакомить с жизнью и деятельностью Академика Лысенко.

При проработке соответствующих тем программ по естествознанию для IV класса изучение работы Советских селекционеров еще больше углубляется. При изучении злаков учащимся надо рассказать о достижениях Лысенко, при изучении садовых растений—Мичурина, при ознакомлении с культурой чая—о достижениях Бахтадзе, при ознакомлении же с породами овец надо упомянуть об академике Иванове и получившем новую породу грузинской овцы А. Натрошвили и др.

Везде, где речь идет о наших достижениях и успехах социалистического хозяйства, должна быть видна ведущая роль советских ученых. Надо помнить, что советские селекционеры и их работа в соответствующих классах будут изучены более углубленно и детально. Преподаватель обязан этот материал в виде рассказов, стихотворений и бесед дать учащимся этих классов в формах, соответствующих их возрасту и подготовке.

За основной недостаток действующих программ и учебника ботаники (П. Метревели и Ш. Чубинидзе „Ботаника“ 1948 г.) надо считать то, что в нем растительные организмы часто рассматриваются в отрыве от среды обитания, вследствие чего слабо представлена биология этих организмов, недостаточно увязано изучение ботаники с практикой социалистического строительства, достижения советской агробиологии освещены не всегда удовлетворительно и с научной точностью, во многих случаях растительные организмы описаны сухо, схематично, неинтересно для учащихся и т. д.

В теме об „общем изучении цветкового растения“ должны удовлетвориться характеристикой растения, как цельного организма. Поэтому излишне в связи с этой темой говорить о типах корней, так как этот вопрос детально будет рассмотрен в последующей теме.

Водопроницаемость, влагоемкость, воздушные свойства и структура почвы, обуславливающие развитие и работу корней, должны быть пояснены учащимся полнее, чем это дано в учебнике. При этом учащимся надо дать элементарное представление о некоторых видах почвы (как-то песчаные, глинистые, черноземные почвы и др.) и об их пригодности для растений.

В учебнике достаточно освещен вопрос об обработке почвы и ее задачах (7-ая глава), но ничего не говорится о способах и сроках обработки почвы, как об одном из факторов поднятия урожайности. Надо углубить вопрос об органических и неорганических удобрениях и материал учебника дополнить сведениями о способах внесения удобрений, сроках, примерных нормах, подкормке растений и т. д.

В связи с изучением темы „лист“ должно быть обращено внимание на влияние действия факторов среды на работу листа и образование хлорофилла. Должна быть подчеркнута приспособленность листа к режиму света. С этой точки зрения учащимся на конкретных примерах должно быть дано понятие о расположении листьев на ветках, мозаикой листьев, движении листьев к свету, должно быть дано представление о теневыносливых и светотребовательных

растениях и др. Учащиеся должны знать о тех факторах среды, которые влияют на испарение воды листьями.

В учебнике ничего не говорится об использовании листьев; в программе отсутствует, а в учебнике недостаточно освещен вопрос о значении зеленых насаждений и об обществе — „Друг леса“.

В связи с этим, при изучении хлорофилла, должен быть упомянут великий русский ученый В. А. Тимирязев и выяснено значение его работы в деле изучения хлорофилла.

При проработке темы „стебель“ следует полнее, чем это дано в учебнике, разъяснить учащимся о значении для человека стебля (его использование). В учебнике ничего не говорится о видах стебля (вьющиеся, ползучие и др.), что дает убедительный материал для освещения вопросов приспособляемости. По этим соображениям должны быть вновь введены сведения о наземных видоизменениях стебля, которые были изъяты указаниями прошлого года.

В теме „о размножении цветковых растений“ вопрос о прививке формулирован так, что он исключает возможность вегетативной гибридизации. На 63-ой странице учебника читаем: — „После прививки черенок растет и сохраняет все те качества, которые были присущи тому растению, с которой была взята почка или черенок“. Здесь мы должны удовлетвориться указанием учащимся на то, что растение, развитое от привитой почки или черенка, изменяется, но в основном все-таки сохраняет признаки материнского растения. Сведения о настоящих причинах этих изменений равно как и определение мичуринской вегетативной гибридизации должны дать учащимся в 7-ой главе учебника („выведение новых сортов растений“).

Не следует смешивать вегетативное размножение с вегетативной гибридизацией. Правильно, что в материале учебника, касающемся „значения вегетативного размножения“ (65 стр.) говорится, что при вегетативном размножении растение почти всегда походит на материнское растение и всегда сохраняет все те свойства, которые характерны для материнского растения и др.

В этой теме внимание учащихся должно быть заострено на вопросе приспособления цветка к опылению ветром и посредством насекомых, приспособления плодов и семян на их распространении. Для освещения этих вопросов недостаточно того материала, который дан в учебнике, он должен быть обогащен применением конкретных примеров, добытых из природы. Безусловно должна быть подчеркнута роль пчелы не только в деле роста плодовитости огородных растений в условиях закрытого грунта, как это отмечается на 74-ой странице учебника, но и в росте урожайности фруктовых деревьев и других культур. Здесь накопленные конкретные факты будут использованы для освещения вопроса о факторах эволюции в курсе основ Дарвинизма.

При рассмотрении вопроса о выведении новых сортов растений в учебнике (7-ая глава) говорится о получении новых сортов растений только путем половой гибридизации. О вегетативной гибридизации, что представляет одно из основных положений Мичуринской биологии, не говорится ничего. Здесь вопрос о вегетативной гибридизации должен быть освещен по докладу Лысенко (на августовской сессии) и по взглядам Мичурина. Тут же надо упомянуть достижения грузин-мичуринцев, которые применяли мичуринские методы в деле выведения сортов растений (Бахтадзе—получившая новые сорта чая, Беставашвили—добившийся новых сортов персика и винограда, кандидат с-х наук Мампория, работающий над выведением новых форм лимона и др.).

В 6-ом классе при изучении соответствующих культур работу этих селекционеров надо осветить полнее. Опыты по вегетативной гибридизации должны быть проведены по отношению тыквенных и пасленовых.

При прохождении темы „Рост и развитие растений“ получаем возможность показать учащимся влияние вегетационных факторов (пищи, температуры, влажности, света) на растительный организм. Изучение этого вопроса предусмотрено программой, он освещен и в учебнике, но недостаточно. К изучению этих факторов надо отнестись с исключительным вниманием. Они определяют зависимость

организма от среды, их регулированием возможно управление жизнью организма и увеличение его плодовитости.

Учащимся надо дать понять, что эти факторы для растений полноценны, что растения и эти факторы представляют единство и исключение одного из них вызывает гибель растения.

При ознакомлении учащихся с ролью питательных веществ для растений должны познакомить учащихся с нашим славным ученым В. Р. Вильямсом, рассказать его краткую биографию и отметить его значение для развития агробиологической науки.

При ознакомлении учащихся с влиянием света на растение должны познакомить их с биографией К. А. Тимирязева и его работой в области физиологии растений, в частности в выяснении роли хлорофилла.

Вопрос о стадийности растений в программе сформулирован так: „Весенние и осенние растения. Значение яровизации“. Программа не требует ознакомления с биографией Лысенко и с его работой. Это—большой недостаток программы. Надо ознакомить учащихся с биографией Лысенко и с достижениями его теоретических и практических работ. (Получение новых сортов пшеницы, яровизация, летняя посадка картофеля, увеличение урожая хлопка и т. д.)

Материалы о достижениях Мичурина, Вильямса, Тимирязева и Лысенко глубже будут освещены в 9-м классе.

Изучению Вильямса, Тимирязева, Мичурина и Лысенко в программах и учебнике 5-6 классов должно быть отведено соответствующее место, так как в остальных классах восьмилетней школы соответствующий материал не изучается.

Программой систематики растений в 6-ом классе предусмотрено изучение 9-ти семейств. В эти семейства входят такие культуры, которые имеют большое значение для нашего народного хозяйства. Но есть и такие культуры, которые не относятся к этим семействам, однако их значение для нас огромно. Таковы—сахарная свекла, герань и др. Учитель обязан ознакомить учащихся с их биологией, с элементарными правилами их разведения и ухода за ними.

В учебнике не соблюден единый порядок и план рассмотрения семейств и входящих в них растений. Часто их

описание сухо, схематично и неинтересно для учащихся. Иногда менее важная культура рассмотрена детальнее, чем ведущие культуры, часто не дана биология культур, их требования к жизненным факторам, элементарные правила разведения и ухода за ведущими культурами, их место в нашем народном хозяйстве, история и развитие по четвертому Сталинскому пятилетнему плану, достижения наших передовиков в поднятии урожайности той или иной культуры, методы их работы и т. д. Учебник на эти вопросы не дает удовлетворительного ответа и данный в нем материал явно неудовлетворителен.

Названные семейства и входящие в них типовые растения (как культурные, так и дикие) должны изучаться по следующему плану: 1) ботаническое описание растения (морфология цветка, плода, корня, листа и стебля); 2) требования культуры к жизненным условиям (биология) и вытекающие отсюда главнейшие правила выведения и ухода за ними; 3) передовики нашего села (района, республики), получившие рекордные урожаи и ознакомление с их методами (герои социалистического труда); 4) важнейшие сорта культуры и достижения советской селекции в выведении этих сортов; 5) место культуры в сельском хозяйстве: экономическое значение и районы распространения, прошлое ее развития и перспективы по естественным историческим условиям и государственному плану.

При изучении групп споровых растений главное внимание должно обращаться на вопросы экологии, приспособления к жизненным условиям и физиологии в объеме программы. Изучение групп должно вестись по единому плану и должно включать в себя следующие вопросы:

1. Внешнее и внутреннее строение группы или ее типичного представителя;
2. жизненные условия среды;
3. размножение и развитие;
4. распространение в природе;
5. другие растения этой группы, подлежащие изучению в школе;
6. значение для человека;
7. происхождение (где это требуется по программе).

В виду того, что на указанные вопросы учебник в большинстве случаев удовлетворительных ответов не дает, учитель обязан восполнить этот недостаток и использовать

УДК 37.01:37.08:37.09
37.01:37.08:37.09

для этого существующие по этим вопросам труды по Мичуринской биологии, популярно-научную и методическую литературу, постановления правительства, касающиеся вопросов и др. Только таким путем и решит учитель задачи, стоящие перед обучением ботанике в средней школе.

Ни в программах, ни в учебнике зоологии (П. Метревели и М. Пачуашвили «Зоология», 1948 г.) ничего не сказано о Мичурине. Между тем методы работы Мичурина широко применены в деле селекции животных. При прохождении курса ботаники учащиеся в достаточной мере познакомились с Мичуриным и его работой, но и в курсе зоологии должны заострить внимание на этом вопросе, поскольку в основе выведения новых пород животных лежит Мичуринская биология.

Краткие сведения о значении работ Мичурина для животноводства учащимся должны быть даны в введении курса, где речь идет о значении знания зоологии для овладения природными богатствами нашей страны.

Однако недостаточно отметить достижения Мичуринской биологии только в введении. Во всем курсе зоологии красной нитью должны проходить те достижения, которые имеются у советского животноводства в результате применения Мичуринских методов. На этом вопросе особо надо остановиться в 7-ом классе и углубленно ознакомить учащихся с разведением животных, а также с выведением новых пород в связи с темой о млекопитающих.

В учебнике по зоологии кое-где даны краткие сведения о выведении человеком многих новых пород животных. Но этого недостаточно. Преподаватель обязан выпятить этот материал, углубить и расширить его. Должны ознакомить учащихся с той работой, которую вел академик Иванов, вооруженный Мичуринской теорией и практикой. Тут же должны быть отмечены достижения грузинских мичуринцев в деле выведения новых пород животных. Учащиеся кратко должны ознакомиться с достижениями А. Натрошвили, получившим новую породу грузинской овцы.

В результате применения Мичуринских способов скрещивания, отбора и рационального ухода в Сви́рском (зестафонский р-н) колхозе достигнуты наивысшие показатели

ли плодovitости свиных: Свиная за год дает в среднем 25,6 поросят. Работники Сигнахского колхоза «Прометей» и Цительцаройского колхоза имени Сталина за высокие показатели по коневодству получили звание героя социалистического труда.

В деле улучшения пород лошадей большие достижения имеются у мухроманского коневодства. Учитель обязан ознакомить учащихся с этими достижениями, полученными на основе Мичуринской биологии.

В тех главах учебника, где говорится о росте животноводства в Советском союзе (стр. 199) и уходе за домашними животными (стр. 118) недостаточно освещен вопрос о значении рационального ухода в деле развития и улучшения животноводства. В учебнике ничего не сказано о значении условий среды в деле формирования и улучшения пород животных. Ничего не сказано также о выведении пород животных посредством скрещивания и подбора. Учитель

обязан восполнить этот недостаток учебника и дать учащимся представление о тех способах выведения пород животных, к которым прибегал в своей работе академик Иванов и которые с успехом применяет и А. Папрусвилл.

Учитель проработку этого раздела зоологии должен увязывать с ознакомлением с творческой работой местного или ближайшего колхоза или совхоза, познакомить с практикой скрещивания (где это возможно), не удовлетворяясь общей характеристикой условий среды, практически ознакомить с основными моментами ухода за животными, особенно — за нормами корма и их характеристикой.

В учебнике вообще сказано о необходимости лечения больных животных, но ничего не говорится о причинах заболевания и правилах лечения. В учебнике почти ничего не сказано также о внешних паразитах животных, имеющих столь большое значение в птицеводстве, в овцеводстве и вообще в животноводстве.

С точки зрения изучения происхождения домашних животных и путей улучшения их пород не может быть оправдано в некоторых случаях такое расположение материала, которое дано в учебнике. В этом отношении должен быть отмечен материал о происхождении человека. Этот вопрос должен быть изучен после изучения приматов.

В учебнике анатомии и физиологии человека (А. Н. Кабанов „Анатомия и физиология человека“, 1948 г.) часто не представлена или крайне слабо представлена связь работы этого курса с жизнью и с вопросами нашего строительства. В главе „Кровообращение“ ничего не сказано о переливании крови и его правилах. В этой же главе учебник не дает ответа на вопрос об оказании первой помощи при ранении, хотя программа требует этого.

В 20-ой главе учебника речь идет о значении борьбы за чистый воздух, но ничего не говорится о зеленых насаждениях и об обществе „Друг леса“. В связи с изучением 31-ой главы, которая касается состава и строения кости, согласно программы учащимся должно быть дано представление и практические навыки об оказании первой помощи, при переломе кости и вывихе. В учебнике об этом ничего не сказано. В учебнике также ничего не сказано о практическом значении выработки условных рефлексов (выработка условных рефлексов в собаке, в голубе и ее практическое значение). Несмотря на требование программы при изучении значения желез секреции недостаточно освещен вопрос об удалении половых желез (кастрация) и его значении для нашего социалистического животноводства и медицины. В связи с изучением физиологии растущего организма ни программа, ни учебник не рассматривает основных вопросов детской гигиены. Надо отметить и то, что учебник совершенно обходит материалы, касающиеся здравоохранения, предусмотренные четвертой Сталинской пятилеткой. Этот недостаток должен восполнить учитель школы использованием соответствующей литературы.

Вопрос о непрямом делении клетки должен быть изучен подобно с указаниями прошлого года (см. указания Министерства просвещения о внесении некоторых изменений в программы и учебники).

В связи с этим из учебника должно быть изъято понятие о постоянстве числа хромосом (стр. 16).

Из 63-ой главы учебника (стр. 203) должен быть изъят материал о „созревании половых желез“, где речь идет о постоянстве числа хромосом в половых клетках и об их наследственной природе.

На этой же странице в главе „Развитие зародыша“ должен быть изъят материал, который начинается словами: „при слиянии женской и мужской половой клетки в яйце навливается и т. д.“ до слов: „оплодотворенная яйцеклетка начинает быстро развиваться“.

На 69-ой странице учебника при рассмотрении вопроса о „значении питания“ сказано: „давно уже выяснено, насколько большое значение имеет для животноводства правильное, рациональное кормление. Во всех странах в целях повышения доходности животноводческого хозяйства всеячески поощряется развитие науки о кормлении животных“. Здесь мы имеем дело с выявлением переоценки иностранной практики и низкопоклонством перед нею. Учащимся кратко должно быть разъяснено, какие достижения имеет наше социалистическое животноводство в отношении роста продуктивности в результате рационального кормления и правильного ухода.

Ни программа, ни учебник не предусматривают ознакомления жизни известного ученого академика Павлова, хотя в учебнике имеется достаточно материала о методах его работы для изучения физиологии пищеварительных желез и учения об условных рефлексах. При прохождении условных рефлексов учитель должен ознакомить учащихся с краткой биографией этого великого ученого.

Основы Дарвинизма. Изменения в биологической науке больше всего касаются программы и учебника по основам Дарвинизма (А. Л. Шибанов и др. „Основы Дарвинизма“, 1948 г.). При работе над учебником учителю часто придется переоценивать с точки зрения Мичуринских принципов материал учебника. Поэтому, когда преподаватель в введении поведет беседу об этом предмете, он обязан ознакомить учащихся с той напряженной борьбой, которая велась на протяжении истории развития естественных наук между двумя направлениями, с одной стороны идеалистическо-метафизическим, с другой стороны диалектико-материалистическим и эволюционистским. В связи с этим преподаватель пока еще кратко, обще должен рассказать учащимся об историческом значении сессии всесоюзной академии с-хоз. наук им. Ленина,

далее же попутно, в соответствующих местах курса эти вопросы должен углублять и расширять.

Мы здесь даем указания учителю только в отношении тех вопросов, которые в учебнике освещены неправильно с точки зрения советской биологии и в отношении которых учителю следует заострить внимание.

В первой главе учебника (20 стр.) и в заключении изучения Дарвинова учения, на 107 странице (глава—„Ламарк и Дарвин“) речь идет об учении Ламарка. Здесь о Ламарке даны сведения не только скупо, но дава и неправильная оценка его учения. Эта оценка совершенно отвергает учение Ламарка в целом. Учащимся надо раз'яснить вообще идеалистическую сущность учения Ламарка, но надо показать и прогрессивные стороны этого учения, которые признают изменчивость организмов под влиянием условий среды и наследственность этих явлений. При оценке учения Ламарка преподаватель должен руководствоваться словами Лысенко „Известные положения ламаркизма, которыми признается активная роль условий внешней среды в формировании живого тела и наследственность приобретаемых свойств, в противоположность метафизике неodarвинизма (вейсманизма), отнюдь не порочны, а наоборот, совершенно верны и вполне научны“. (см. доклад акад. Лысенко „О положении в биологической науке“, стр 15).

В последующей теме, которая изучает основные положения Дарвинова учения, в учебнике целый ряд положений освещен неправильно. В результате проработки этой темы для учащихся должны стать ясны основные вопросы—учение об искусственном и естественном отборе, здесь же учащимся надо раз'яснить ошибки Дарвина, особенно те ошибки, которые касаются вопросов борьбы за существование.

Дарвин, как это отмечает Ф. Энгельс, первым дал материалистическое об'яснение многообразия, единства и приспособляемости, однако у него были и ошибочные положения, которые использовали вейсманисты—морганисты—менделисты для искажения учения Дарвина.

Преподаватель особо должен остановиться на раз'яснениях ошибочных положений Дарвина и показать учащим-

ся, что советские ученые, а в первую очередь акад. Лысенко, правильно и научно решили вопрос о межвидовой и внутривидовой борьбе, что имеет большое значение для развития нашего сельского хозяйства.

Вопрос о происхождении видов должна разъясниться поновому, с точки зрения Лысенко. В основу этого разъяснения должно быть положено новое понимание вопроса и взаимоотношениях организмов в природе. В основу расхождения признаков должны быть положены не недостаточность пищи, не внутривидовая конкуренция, отжившая ошибочная концепция, за что так усиленно хватаются морганисты, а взаимная связь организмов разных видов и их связь с условиями среды обитания. Вымирание или выживание организмов вызывается только межвидовой борьбой и влиянием условий среды.

Академик Т. Д. Лысенко рассматривает образование видов, как переход количественных изменений в качественные изменения в ходе исторического процесса. Организмы находятся в единстве с условиями обитания и накапливают изменения, которые ассимилированы ими под воздействием определенных условий среды. В конце концов происходит скачок, и один вид превращается в другой. Т. Д. Лысенко приводит пример относительно такого скачкообразного превращения одного вида пшеницы в другой вид. В это же время переходные формы между этими новыми формами не найдены.

Таким образом, в основу процесса образования видов кладется совершенно новое определение. Вместе с этим надо показать учащимся, что Лысенко этими теоретическими вопросами решил практические вопросы важного значения, какими являются вопросы борьбы с сорняками, быстрого разведения лесов в засушливых районах нашей страны и др.

Вместе с этим учащиеся должны ознакомиться с постановлением Совета Министров СССР и Центрального Комитета Всесоюзной КП (б) „О плане защитных лесонасаждений, внедрения травопольных севооборотов, строительства прудов и водоемов для обеспечения высоких и устойчивых урожаев в степных и лесостепных районах Европейской части СССР“.

Учащиеся должны знать эту грандиозную программу переделки природы, в основе которой лежит учение Вильямса—Мичурина.

На 47-ой странице говорится о неопределенной изменчивости. Вейсманисты—морганисты ухватились за это положение и заявляют от имени Дарвина будто-бы природа изменчивости и наследственности непознаваема. На самом же деле Дарвин признавал невозможность познания причин этой изменчивости для своего времени, но он не говорил, что человеку никогда не удастся познать их. Такого объяснение этого вопроса с точки зрения мичуринской биологии. Это же говорил и Дарвин.

При определении понятия наследственности учитель должен использовать данный в учебнике материал, опереться на давнее по этому вопросу определение Лысенко и разъяснить его учащимся.

О вышеприведенных ошибках Дарвина не говорится ни в программе, ни в учебнике. При определении ошибочных пониманий Дарвина должны опираться на мысли классиков марксизма об ошибках Дарвина и на указания Лысенко, которые даны в его докладе.

Такая важная тема, как „Русские ученые—борцы за дарвинизм“ разработана крайне схематически и примитивно. Из этой темы учащиеся хорошо должны понять ту исключительную заслугу, которую имеют Мичурин и Лысенко в установлении законов изменчивости и наследственности.

Задача заключается в том, чтобы при ознакомлении с содержанием учения Мичурина и Лысенко учащихся довести до понимания того, что мичуринское учение является новым этапом развития материалистической биологии, что это есть новый творческий дарвинизм, который учит нас не ждать милостей природы, активно вмешаться в управление природой.

На протяжении всего курса должен быть показан приоритет русских ученых. Учащиеся должны знать и грузинских мичуринцев, которые имеют определенные достижения в области растениеводства и животноводства в результате применения мичуринских методов.

В связи с этой темой учитель должен ознакомить учащихся с жизнью и деятельностью Вильямса, который яв-

ляется одним из основоположников нашей агробиологической науки. Ознакомление с Вильямсом целесообразно после ознакомления с Тимирязевым.

УЧЕБНИК
БИОЛОГИИ

В теме о „происхождение человека“ будут только упомянуты труды Бутлерова, Баха и академика Опарина. В то же время известно, каковы заслуги трудов этих ученых в деле развития нашей науки и народного хозяйства. Поэтому о них надо сказать учащимся полнее, убедительнее и понятнее.

Нельзя обучать учащихся советскому действительному дарвинизму только лишь по книгам. Учащиеся сами должны принять участие в переделке природы растений. Учащиеся широко должны использовать учебную базу школы (кабинет, уголок живой природы, школьный участок) для практического изучения дарвинизма.

Для иллюстрации правильности положений Мичурина и Лысенко должны быть проведены опыты по половой и вегетативной гибридизации, устроены экскурсии, должна быть развернута работа юных мичурицев.

Новые задачи перед советской биологией требуют большой работы преподавателя. Учитель тщательно должен готовиться к каждому уроку. осознать цель каждого урока, подобрать материал, в плане предусмотреть подлежащие переработке вопросы и т. д. Для этого нужно, чтобы учитель использовал существующую по этому вопросу литературу, именно: 1. „О положении в биологической науке“ Т. Д. Лысенко; 2. „Основы земледелия“ В. Р. Вильямса, 1948 г.; 3. Однотомник—избранные произведения И. В. Мичурина, 1948 г.; 4. Основы дарвинизма (хрестоматия), издание Грузинского Института педагогических наук, 1948 г.; 5. Сборник методических писем Министерства просвещения Грузинской ССР „Биология в школе“ № 1, 1948 г.

* * *

Постановлением коллегии Министерства просвещения Грузинской ССР означенные указания должны быть рассмотрены на районных (городских) собраниях преподавателей биологии и на заседаниях педагогических советов всех начальных, восьмилетних и средних учебных заведений.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 3317

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1948 წლის 20 ოქტომბერი

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის სასკოლო განყოფილებაში საქართველოს სსრ სახალხო განათლების მდგომარეობის შესახებ მოსმენილ მოხსენებასთან დაკავშირებით მიღებულ მითითებათა შესრულების უზრუნველსაყოფად,

მ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლებისა და საბავშვო დაწესებულებების 1948-49 სასწავლო წლისათვის მზადებისა და ამ საქმეში სახალხო დახმარების მიზნით ჩატარებულ სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შესაჯამებლად გამოიყოს რესპუბლიკური კომისია შემდეგი შემადგენლობით: მარიამ ბუჩქულაძე (თავმჯდომარე), ნინო უვანია (ალკ ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენელი), სიმონ ნაციაშვილი (საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოდან), დავით მელიქაძე, ვალერიან ბიწაძე და შოთა იაშვილი.

დაევალოს კომისიას პირველ დეკემბრამდე შეაჯამოს და წარმოადგინოს მასალები განათლების განყოფილებათა გამგეებისა, სკოლის დირექტორებისა (გამგეებისა), მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეებისა, კოლმეურნეობათა გამგეობის თავმჯდომარეებისა, წარმოების დირექტორებისა და დაწესებულებათა ხელმძღვანელების შესახებ, რომლებმაც თავი გამოიჩინეს სკოლების და საბავშვო დაწესებულებების ახალი სასწავლო წლისათვის საუკეთესოდ მომზადების საქმეში. კომისიამ შეიმუშაოს აგრეთვე და წარმოადგინოს შემდგომში ამ მუშაობის უფრო ორგანიზებულად გაშლისათვის სათანადო ღონისძიებანი.

2. დაევალოს გაზეთ „სახალხო განათლების“ რედაქციას ფართოდ გააშუქოს მასალები სკოლებზე სახალხო დახმარების შესახებ.

3. დაევალოს საგეგმო-საფინანსო განყოფილების უფროსს ანზ. ვ. ბიწაძეს:



ა) პირველ დეკემბრამდე დააზუსტოს და წარმოადგინოს 1948-49 სასწავლო წლისათვის დაწყებითი, რვაწლიანი და საშუალო სკოლების ქსელი, და კონტინგენტი და ღონისძიებანი 1948-49 სასწავლო წელში სკოლების ქსელის საბოლოოდ მოწესრიგების უზრუნველსაყოფად, იმგვარად, რომ საესებით დაცული იქნეს კლასების და ტვირთის დადგენილი ნორმები;

ბ) დაევალოს მასვე, დაწყებითი და საშუალო სკოლების სამმართველოსთან ერთად, 1949 წლის პირველ იანვრისათვის წარმოადგინოს გეგმა და ღონისძიებანი სოფლად რვაწლიან სკოლისა და ქალაქად კი—საშუალო სკოლის ფარგლებში საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის გატარების შესახებ 1949-50 სასწავლო წლიდან;

გ) უზრუნველჰყოს 1949-50 სასწავლო წელში სკოლების პასპორტიზაციის ჩატარება;

დ) დაამუშაოს სტატისტიკური მისაღები 1936 წლიდან საქართველოში საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის გატარების შესახებ და გაიმზადოს 1949-50 სასწავლო წელში კრებულის სახით გამოსაცემად.

5. დაევალოს დაწყებითი და საშუალო სკოლების სამმართველოს:

ა) ნოემბრის თვეში შეისწავლოს საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის გატარების მდგომარეობა ათ რაიონში და გამოკვლევის შედეგებთან ერთად 10 დეკემბრამდე მოსმენილი იქნას რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეების მოხსენებანი ამ საკითხზე;

ბ) შეიმუშაოს ინსტრუქცია სხვადასხვა დროს სკოლიდან გასულ მოსწავლეთა სკოლაში ჩარიცხვისა და მოსწავლეთა მოძრაობის მოწესრიგების შესახებ და 1949 წლის პირველ იანვრამდე წარმოადგინოს კოლეგიის სხდომაზე განსახილველად;

გ) პირველ იანვრამდე შეამოწმოს ქართული ენისა და ლიტერატურის, რუსული ენისა და ლიტერატურის, ისტორიისა და გეოგრაფიის სწავლების შესახებ საქართველოს განათლების სამინისტროს ბრძანებითა და კოლეგიის დადგენილებათა შესრულების მდგომარეობა იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად დაუფლებულნი არიან ამ საგნების მასწავლებლები სწავლების ხერხებსა და მეთოდებს, რამდენად იყენებენ სწავლებაში თვალსაზიროებას და რამდენად უკავშირებენ საპროგრამო მისაღის დამუშავებას მოსწავლეთა იდეურ-პოლიტიკური აღზრდის ამოცანებს. შემოწმების შედეგები და ამ საგნების სწავლების შემდგომ გაუმჯობესების ღონისძიებანი წარმოადგინოს კოლეგიაზე განსახილველად;

დ) პედაგოგიურ მეცნიერებათა ინსტიტუტთან ერთად გადასინჯოს რვაწლიანი და საშუალო სკოლების ზოოლოგიის პროგრამები და



სახელმძღვანელოები და ბიოლოგიის მასწავლებლებს 15 ნოემბრამდე მისცეს კონკრეტული მითითებანი ბიოლოგიურ მეცნიერებათა მასწავლებლის გარდაქმნის შესახებ მიჩურინული ბიოლოგიის საფუძველზე. აგრეთვე დაავალოს განათლების განყოფილებებსა და სკოლებს, რათა უზრუნველყოთ მასწავლებელთა მიერ აკად. ლისენკოს მოხსენების „მდგომარეობა ბიოლოგიურ მეცნიერებაში“ და აკადემიის სესიის შედეგების ღრმა და საფუძვლიანი შესწავლა;

ვ) მიმდინარე წლის 15 დეკემბრამდე შეამოწმოს რვაწლიან და საშუალო სკოლებში ბიოლოგიურ დისციპლინათა სწავლების მდგომარეობა, შეისწავლოს სასკოლო ნაკვეთებისა და ნორჩ-მიჩურინელთა წრეების მუშაობა ბიოლოგიის პროგრამული მასალის დამუშავებასთან დაკავშირებით და შემოწმების შედეგები სათანადო ღონისძიებებით წარმოუდგინოს კოლეგიას განსახილველად.

გ) პედაგოგიურ ინსტიტუტთან ერთად დაამუშაოს და წარმოადგინოს განსახილველად 1949-50 სასწავლო წლისათვის მეთოდური ლიტერატურის გამოცემის გეგმა იმგვარად, რომ მასწავლებლები უზრუნველყოფილი იქნენ ცალკე სასწავლო დისციპლინების სწავლების ძირითად საკითხებზე სათანადო მეთოდური მითითებებით. ამ საქმეში ფართოდ ჩაებას კვალიფიციური მასწავლებლები და ინსტიტუტის მეცნიერული მუშაკები;

ზ) სკოლებში სასწავლო-აღმზრდელი მუშაობის შემოწმებისას, ვულდასმით შეისწავლოს მასწავლებელთა შეღავათებისა და უპირატესობათა შესახებ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს კ. პ. (ბ) ც. კ-ის 1948 წლის 10 თებერვლის დადგენილების შესრულების მიმდინარეობა და ადგილზე მიიღოს გადაწყვეტილი ზომები მასწავლებლების უფასო კომუნალური მომსახურებით (ბინა, ვათობა, განათება) უზრუნველსაყოფად.

5. დაევალოს სახელმძღვანელოების განყოფილების გამგეს აშხ. დ. ჯავახიას:

ა) ა/წ. პირველ ნოემბრისათვის უზრუნველყოთ 1948 წლის სახელმძღვანელოების გამოცემის გეგმის შესრულება;

ბ) პედაგოგიურ მეცნიერებათა ინსტიტუტთან და მეთოდურ განყოფილებასთან ერთად პირველ ნოემბრამდე შეადგინოს და წარმოადგინოს 1949-50 სასწავლო წლისათვის სახელმძღვანელო წიგნების გამოცემის გეგმა იმ ვარაუდით, რომ (I—XI კლ.) ყველა მოსწავლე უზრუნველყოფილი იქნეს როგორც ორიგინალური, ისე თარგმნილი სახელმძღვანელოების სრული კომპლექტით;

გ) 1949 წლის პირველ იანვრამდე გადასინჯოს მოქმედებაში მყოფი სახელმძღვანელოები მათი ვარჯისიანობის თვალსაზრისით. დაა-

მუშაოს მოძველებული სახელმძღვანელოების ნაცვლად ახალი სტა-
ბილური სახელმძღვანელოების შედგენის პერსპექტიული გეგმა და
წარმოადგინოს დასამტკიცებლად;

დ) დაწყებითი და საშუალო სკოლების სამმართველოსთან და
პედაგოგიურ მეცნიერებათა ინსტიტუტთან ერთად მოაწყოს სახელ-
მძღვანელოების რეცენზირება და საქირო განხილვა; ამ საქმეში
ჩააბას გამოცდილი მასწავლებლები, უმაღლესი სასწავლებლებისა და
რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტების სათანადო
კათედრების მუშაკები; განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს მშო-
ბლიური ენისა და ლიტერატურის, რუსულ ენისა და ლიტერატურის,
საქართველოს ისტორიისა და გეოგრაფიის მალაზხარისხოვანი
ორიგინალური სახელმძღვანელოების შექმნის საქმეს.

6. დაევალოს გაზეთ „სახალხო განათლების“ რედაქციას სისტემა-
ტურად გამოაქვეყნოს რეცენზიები და კრიტიკული შენიშვნები
სახელმძღვანელო წიგნების შესახებ.

7. დაევალოს პედაგოგიურ მეცნიერებათა ინსტიტუტის დირექტ-
ორს ამხ. დ. ლორაქიფანიძეს:

ა) 1949 წლის განმავლობაში დაამუშაოს და დასაბუთებლად გაამზა-
დოს მშობლიური ენისა და ლიტერატურის, რუსული ენისა და ლიტე-
რატურის (არარუსულ სკოლებისათვის) და სხვა საგნების სწავლე-
ბის მეთოდთა, მეთოდური წერილები, მეცნიერების დაუფლების
საფუძველზე ბავშვთა კომუნისტური აღზრდის პრინციპები, საქარ-
თველოს რესპუბლიკის სახალხო განათლების ისტორიის საკითხები.
განსაკუთრებული მნიშვნელობის ამოცანად დაისახოს თერთმეტ-
წლიანი სკოლების მუშაობის გამოცდილების შესწავლა, გაანალიზება
და განზოგადება და ამ საქმის უკეთ შესასრულებლად ჩააბას მასში
ინსტიტუტის მუშაკთა საუკეთესო ნაწილი.

ბ) დაწყებითი და საშუალო სკოლების სამმართველოს მეთოდგან-
ყოფილებასთან და სახელმძღვანელოების განყოფილებასთან ერთად
მოაწყოს მოქმედებაში მყოფ სახელმძღვანელოებისა და კერძოდ, ორი-
გინალური სახელმძღვანელოების რეცენზირება და გარჩევა-განხილვა.
ამ საქმეში მიიზიდოს და აქტიურად ჩააბას კვალიფიციური და
გამოცდილი მასწავლებლები და მეცნიერული მუშაკები;

გ) მოაწყოს შემოქმედებითი დისკუსია პედაგოგიკის თეორიისა
და ისტორიის, პედაგოგიური ფსიქოლოგიის, სწავლების მეთოდების,
სასწავლო-აღმზრდელი მუშაობის პრაქტიკის აქტუალურ საკით-
ხებზე და ამხილოს რეაქციონულ-ბურჟუაზიული თეორიები პედა-
გოგიკის, პედაგოგიური ფსიქოლოგიისა და სწავლების მეთოდების
დარგში;

დ) უფრო ახლოს გაეცნოს სკოლების მუშაობის გამოცდილებებს და მეცნიერულ-კვლევითი მუშაობაში ჩაებას ენერგიული და მოწონილი მასწავლებლები და დაეხმაროს მათ პრაქტიკული მუშაობის თეორიულად განზოგადოების საქმეში;

ე) გადაჭრით გააუმჯობესოს მოსახლეობაში პედაგოგიური ცოდნის გავრცელების საქმე და ამ მიზნით ყოველმხრივ შეუწყოს ხელი მშობელთა უნივერსიტეტის მუშაობის სათანადო სიმაღლეზე დაყენებას.

7. დაევალოს მატერიალური ფონდების განყოფილების უფროსს ანხ. დ. მელიქაძეს სკოლების სტანდარტული დგამ ავეჯით უზრუნველყოფის მიზნით 1 ნოემბრამდე დაამუშაოს სასკოლო დგამ-ავეჯის საუბარიკო წარმოების ორგანიზაციის ღონისძიებანი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში წარსადგენად.

8. დაევალოს უმაღლესი სკოლების განყოფილებას:

ა) დაწყებითი სკოლების სიღერისა და ხატვის მასწავლებელთა მომზადების მიზნით, დაამუშაოს და წარმოადგინოს ღონისძიება 1949-50 სასწავლო წელში ამბროლაურის პედსასწავლებლის ქ. ქუთაისში, ხოლო წალკის ქ. თბილისში გადმოტანისა და ამ პედსასწავლებლების სიმღერისა და ხატვის მასწავლებლების მოსამზადებელ პედსასწავლებლებად გადაკეთების შესახებ;

ბ) სათანადო პედაგოგიური განათლების არმქონე მასწავლებელთა დაუსწრებელ სწავლებაში ჩაბმის მიზნით, პირველ ნოემბრამდე დაამუშაოს ღონისძიება ქ. თბილისში დამოუკიდებელი დაუსწრებელი პედაგოგიური ინსტიტუტის ჩამოყალიბების შესახებ და წარმოადგინოს დასამტკიცებლად;

გ) პედაგოგიურ ინსტიტუტებში პედაგოგიური პრაქტიკის უკეთ დაყენების მიზნით, დაწყებითი და საშუალო სკოლების სამმართველოსთან ერთად შეარჩიოს საშუალო სკოლები და მიამატოს ინსტიტუტებს ამ საშუალო სკოლების ინსტიტუტების ბიუჯეტზე გადაყვანით.

9. დაევალოს განათლების განყოფილებათა გამგეებს და სასკოლო ინსპექტორებს:

ა) სკოლებისა და მასწავლებლების მუშაობაზე სახელმწიფო კონტროლისა და ზედმძღვანელობის განხორციელების მიზნით, მტკიცედ იხე ზმძღვანელონ საქართველოს რაიონისა და ქალაქის განათლების განყოფილების სასკოლო ინსპექტორების შესახებ საქ. სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1945 წლის 9 აგვისტოს დადგენილებით დამტკიცებული დებულებით. წლის განმავლობაში ორჯერ მაინც მოახდინონ სკოლებში სასწავლო-აღმზრდელი მუშაობის მთლიანი და ყოველ-



მზრივი შესწავლა და შემჩნეული დეფექტების აღმოსაფხვრელად მასცენ მასწავლებლებს მეთოდურად გამართული წერილობითი მითითებანი და ყველა სკოლაში შემოიღონ საამისოდ საინსპექტორო ჟურნალი. შემოწმებისას ზუსტად აღრიცხონ მოწინავე მასწავლებლების საუკეთესო გამოცდილებანი და გააზოგადონ ისინი მასწავლებელთა თათბირებზე, მეთოდგაერთიანებებში, პედაგოგიურ საბჭოს სხდომებზე;

ბ) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ სკოლებში სასკოლო დოკუმენტების (სასკოლო ჟურნალი, სკოლის დღიური, მოსწავლეთა წარმატებისა და ყოფაქცევის აღრიცხვის ჟურნალი, განათლების სამინისტროს ბრძანებათა და განკარგულებათა კრებულები და სხვ.) მოვლა-შენახვისა და წარმოების საქმეს. სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შესწავლისას, შეამოწმონ ამ დოკუმენტების მდგომარეობა და ამ დარგში დაუდევრობის და უდარდელობის გამოჩენის შემთხვევაში დირექტორების (გამგებების) მიმართ მიიღონ ორგანიზაციული ხასიათის ზომები;

გ) განათლების განყოფილებაში შეინახონ და დაიცვან ამ დოკუმენტების 1-2 ეგზემპლარი, როგორც ძირითადი სახელმძღვანელო დოკუმენტები, სრულ წესრიგში იქონიონ სკოლების გამოკვლევის მასალები და ამ მასალების საფუძველზე სკოლებზე მიცემული დირექტივები და მითითებანი, იმ ანგარიშით, რომ ეს მასალები იძლეოდეს თითოეული სკოლისა და მასწავლებლის მუშაობის ზუსტ და ამომწურავ დასასიათებას;

დ) სისტემატურად გააშუქონ ადგილობრივ პრესის ფურცლებზე მოწინავე სკოლებისა და მასწავლებლების მუშაობის გამოცდილებანი და შემოიღონ პრაქტიკაში აღმზრდელობითი საკითხებზე საუკეთესო დირექტორების, მასწავლებლებისა და მშობლების წერილებისა და საუბრების გამოქვეყნება;

ე) შეადგინონ მშობელთა შორის პედაგოგიური პრობაგანდის თემატიკა და მასცენ სკოლებს მტკიცე დევალება ამ თემატიკას მიხედვით მშობლებში ლექციებისა და საუბრების სისტემატურად ჩატარების უზრუნველსაყოფად;

ვ) შემოიღონ ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში სამ თვეში ერთხელ მშობელთა კომიტეტებისა და მშობელთა აქტივის შეკრების ჩატარების პრაქტიკა და ამ შეკრებაზე გააშუქონ მშობლებისა და ოჯახის როლი მოსწავლეთა სწავლა-აღზრდის საქმეში;

ზ) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მასწავლებლებს შეღავათებისა და უპირატესობათა შესახებ საქართველოს სსრ მინისტრთა

საბჭოს 1948 წლის 10 თებერვლის დადგენილების შესრულებას. მი-
აღწიონ იმას, რომ მასწავლებლები აღნიშნულ დადგენილების მიხედ-
ვით ღებულობდნენ უფასო კომუნალურ მომსახურებას (ბინა, გათბობა,
ბობა, განათება და სხვ.) და მიიღონ გადამჭრელი ზომები სოფლის
ადგილებში მასწავლებელთა ბინების მშენებლობის დასაჩქარებლად.

ი) სისტემატურად გზავნონ ინფორმაცია, როგორც განათლების
სამინისტროში, აგრეთვე საღირებუთივო ორგანოებში 1948 წლის 10
თებერვლის დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

11. ვაეალებ დაწყებითი და საშუალო სკოლების სამმართველოს
უფროსს ამხ. უმ. ობოლაძეს, საგეგმო-საფინანსო და მატერიალური
ფონდების განყოფილებათა გამგეებს თვალყური ადევნონ ამ ბრძა-
ნების შესრულებას და შესრულების მიმდინარეობის შესახებ სისტე-
მატურად მომახსენონ პირადად მე.

ს ა დ უ ძ ე ლ ი : საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1948
წლის 26 ოქტომბრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი ვ. კუპრბაძე

ბ რ ძ ნ ე ბ ა № 3330

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1948 წლის 2 ნოემბერი

ტექნიკური ცოდნის გავრცელებისა და დანერგვის ღონისძიებათა შესახებ სკოლებსა და სკოლისგარეშე საბავშვო დაწესებულებებში

სკოლებსა და სკოლისგარეშე საბავშვო დაწესებულებებში ტექნიკური ცოდნის გავრცელებისა და დანერგვის უზრუნველყოფის მიზნით
ბ რ ძ ნ ე ბ ა:

§ 1

დაევალოს რვაწლიანი და საშუალო სკოლის დირექტორებს გადაჭრელი ზომები მიიღონ ფიზიკისა და ქიმიის სწავლების გაუმჯობესებისათვის, რისთვისაც:

ა) უზრუნველყონ ფიზიკისა და ქიმიის კაბინეტებისათვის სათანადო ბინების გამოყოფა, სისტემატურად აწარმოონ ფიზიკისა და ქიმიის კაბინეტების შევსება ხელსაწყო-იარაღებითა და პრეპარატებით და მტკიცე ზედამხედველობა დააწესონ, რათა თვალსაჩინოება და ცდა სისტემატურად იქნეს გამოყენებული ამ საგნების სწავლების დროს;

ბ) ჩამოაყალიბონ სხვადასხვა სახის საგნობრივი და ტექნიკური წრეები (ფიზიკის, ქიმიის, რადიომოცუვარულთა, ავიომოდელისტთა და სხვ.) და ჩააბან მათ მუშაობაში ტექნიკის შესწავლით დაინტერესებული მოსწავლეები;

გ) პერიოდულად ჩაატარონ მოსწავლეთა შორის ლექციები და საუბრები ჩვენი ქვეყნის მეცნიერებისა და ტექნიკის თანამედროვე მიღწევებისა და ისტორიის შესახებ;

დ) სისტემატურად მოაწყონ ექსკურსიები ადგილობრივ და მახლობელ მსხვილ წარმოებებში წარმოების ტექნიკისა და მრეწველობის სხვადასხვა დარგების გაცნობის მიზნით;

ე) პერიოდულად მოაწყონ მეცნიერულ-ტექნიკური ხასიათის კინო-ფილმების ჩვენება;

ვ) გამოჰყონ ტექნიკური წრეებისათვის საჭირო სამუშაო და უზრუნველჰყონ წრეები სათანადო იარაღ-მოწყობილობებითა და სასწავლო მასალებით, რისთვისაც ფართოდ გამოიყენონ ადგილობრივი შესაძლებლობანი და შეფუარმოებათა დახმარება.

§ 2

დაევალოს ლ. პ. ბერიას სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეს და ნორჩტექნიკოსთა ცენტრალურ სადგურს:

ა) სანიმუშოდ მოაწყონ ფიზიკის, ქიმიის, რადიოს, ფოტოს, ავიომოდელების, საზეინკლო და საღურგლო სახელოსნოები და უზრუნველჰყონ ისინი საჭირო იარაღ-მოწყობილობითა და მასალებით;

ბ) გადასინჯონ კაბინეტ-ლაბორატორიების ხელმძღვანელთა კადრი და მუშაობაში ჩააბან კვალიფიცირებული მასწავლებლები და ინჟინერ-ტექნიკოსები;

გ) მტკიცე კავშირი დაამყარონ სკოლებთან, გაზარდონ ტექნიკის კაბინეტებში ჩაბმულ ბავშვთა რიცხვი და სისტემატიკური ხასიათი მისცენ მათთან საწრეო მუშაობას;

დ) არსებითად გააუმჯობესონ რაიონულსა და საქალაქო ბავშვთა ტექნიკურ სადგურებზე ხელმძღვანელობისა და დახმარების საქმე;

ე) მოამზადონ და 1949 წელში ჩაატარონ რესპუბლიკის სკოლების მოსწავლეთა დაუსწრებელი კონფერენცია ფიზიკაში, მიიღონ ზომები კონფერენციაში ახალგაზრდობის ფართო მასის ჩაბმისათვის და თვითნაკეთ ხელსაწყოთა დამზადება-გამოტანისათვის.

დაევალოს ნორჩ ტექნიკოსთა საქალაქო და სარაიონო სადგურების დირექტორებს:

ა) გააუმჯობესონ საწრეო-ტექნიკური მუშაობა და ტექნიკური პრობაგანდის საქმე, ტექნიკური სადგურები გაამდიდრონ მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში გამოჩენილი ადამიანების ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი მასალებით (მათი ბიოგრაფიები, სურათები, გამოგონებათა აღწერილობანი, სქემები, ნახაზები, მოდელები და სხვ.). ტექნიკური სადგურის მუშაობაში ჩააბან გამოცდილი მასწავლებლები და ინჟინერ-ტექნიკოსები და რაც შეიძლება დიდი რაოდენობით მიიზიდონ სადგურების მუშაობაში ტექნიკით დაინტერესებული ბავშვები;

ბ) მკიდრო კავშირი დაამყარონ სკოლებთან და სისტემატურად გაუწიონ დახმარება სკოლებს ტექნიკური წრეების მუშაობისა და მოსწავლეთა შორის მასობრივ-ტექნიკური პრობაგანდის საქმეში.

დავეალოს დაწყებითი და საშუალო სკოლების სამმართველოს:

ა) სკოლებისა და სკოლისგარეშე დაწესებულებების ტექნიკის უზრუნველყოფის მიზნით, ერთი თვის ვადაში გადასინჯოს, გაამარტივოს და დააზუსტოს არსებული პროგრამები;

ბ) სისტემატური დახმარება აღმოუჩინოს სკოლებსა და ბავშვთა სკოლის გარეშე დაწესებულებებს ტექნიკური პრობაგანდის დარგში და განაზოგადოს ამ მხრივ მოწინავე სკოლების გამოცდილება;

გ) საბლიტგამთან ერთად შეიმუშაოს ტექნიკურ-პოპულარული ლიტერატურის გამომცემლობის გეგმა და ა/წ 15 ნომბრამდე წარმოამიდგინოს განსახილველად;

დ) 1949 წლის იულისში მოაწყოს ნორჩ-ტექნიკოსთა საუკეთესო ნამუშევრების რესპუბლიკური გამოფენა და ნორჩ-ტექნიკოსთა რესპუბლიკური კონფერენცია;

ე) 1949 წლის სექტემბერში ჩაატაროს ნორჩ-ტექნიკოსთა რაიონული და საქალაქო სადგურების ტექნიკური წრეების ხელმძღვანელთა მოკლევადიანი სემინარები.

§ 4

1949 წლის იანვრიდან გაიხსნას ნორჩ-ტექნიკოსთა სარაიონო სადგურები ზუგდიდის, სამტრედიის, სიღნაღის, ახალქალაქის, კასპის, გურჯაანისა და მახარაძის რაიონში.

დავეალოს საგეგმო-საფინანსო განყოფილებას შეადგინოს სათანადო მიმართვა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სახელმწიფო სამტატო კომისიაში წარსადგენად დასახელებულ რაიონებში ნორჩ-ტექნიკოსთა სადგურების შტატების დამტკიცების შესახებ, ხოლო ამ რაიონებისა და ქალაქების განათლების განყოფილებებმა დროულად მიიღონ ზომები, რათა ტექნიკური სადგურები შესაფერის ბინებით იქნენ უზრუნველყოფილნი.

§ 5

საგეგმო-საფინანსო განყოფილებამ 1949 წლის ბიუჯეტით გაითვალისწინოს სათანადო ასიგნობანი ახლად გასახსნელი ტექნიკური სადგურების მოსაწყობად, ნორჩ-ტექნიკოსთა ნამუშევრების გამოფენისა და რესპუბლიკური კონფერენციისათვის, სკოლისგარეშე საბავშვო ტექნიკურ დაწესებულებათა ლაბორატორიების გამგეებისა და შრომითი ოთახების ხელმძღვანელებისათვის ათდღიანი სემინარის

ჩატარებისა და ლ. პ. ბერიას სახელობის ბიონერთა და მოსწავლე-
თა სასახლის ტექნიკის განყოფილების ინვენტარით, იარაღ-მოწყობილობით და მასალებით უზრუნველყოფისათვის.



§ 6

დაევალოს მატერიალური ფონდების განყოფილებას:

ა) აღმოუჩინოს დახმარება ზუგდიდის, მახარაძის, გურჯაანის, სიღნაღის, სამტრედიის, ახალქალაქისა და კასპის რაიონების განათლების განყოფილებებს ახლად გასახსნელ ნორჩ ტექნიკოსთა სადგურების ინვენტარით, იარაღ-მოწყობილობითა და სასწავლო მასალებით უზრუნველყოფის საქმეში;

ბ) ნორჩ-ტექნიკოსთა რაიონული სადგურების ლაბორატორიები და სკოლის ტექნიკური წრეები მოამარაგოს სათანადო ხელსაწყოებითა და სასწავლო მასალებით.

§ 7

დაევალოს აქარისა და აფხაზეთის ასს რესპუბლიკების განათლების მინისტრებს, სამხრეთ-ოსეთის საოლქო განათლების განყოფილებას, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებს:

ა) რაიონის ცენტრში არსებულ საშუალო სკოლებში 1949 წლის განმავლობაში უზრუნველყოფონ ტექნიკის შესწავლით დაინტერესებულ ბავშვთა გამოვლინება და მათთან საგანგებო მუშაობის ორგანიზაცია;

ბ) დახმარება და კონტროლი გაუწიონ სკოლისგარეშე საბავშვო დაწესებულებებს ტექნიკის დარგში მუშაობაში.

§ 8

წინადადება მიეცეს ქ. ფოთის, მახარაძის, გორის, წყალტუბოს, თელავის, სამტრედიის, ქობულეთის და ასპინძის რაიონის განათლების განყოფილებათა გამგეებს მიიღონ გადამტრელი ზოგები სკოლისგარეშე დაწესებულებების შესაფერისი ბინებით უზრუნველყოფისა და მათი მუშაობისათვის ნორმალური პირობების შესაქმნელად და შედეგების შესახებ მომახსენონ მე.

§ 9

დაევალოს დაწყებითი და საშუალო სკოლის სამმართველოს აღნიშნული ბრძანების შესრულების შეპოწმების შედეგები მოახსენოს კოლეგიას 1949 წლის თებერვალში.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 3781

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადგი

1948 წლის 24 ნოემბერი

ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის სწავლების მდგომარეობის
შეხახვებ ამგროლაშკის, ონისა და ტყიბულის რაიონების ზოგ
სკოლაში

აღნიშნავ, რომ ამბროლაურის, ონისა და ტყიბულის რაიონების
ზოგ სკოლაში ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის მასწავლებელთა ერთი
ნაწილი გაკვეთილებს ატარებს შინაარსიანად და მიმზიდველად, მაქსი-
მალურად იყენებს კაბინეტებს, კარგად იცნობს განათლების სამი-
ნისტროს ბრძანებებს და დირექტორებს ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლო-
გიის სწავლების გაუმჯობესების შესახებ, რის გამოც ამ საგნებში მათი
მოსწავლეები დამაკმაყოფილებელ ცოდნას ამჟღავნებენ. ასე, მაგა-
ლითად, ონის ვაჟთა საშუალო სკოლის XI კლასის მოსწავლეებმა
ფიზიკაში სწორად განმარტეს ომის კანონი მთელი წრედისათვის და
წრედის უბნისათვის, შეგნებულად იციან საზომი ერთეულები: ვოლტი,
ამპერი, კულონი; სათანადოდ არიან გარკვეული ძაბვის დაძაბულო-
ბისა და ელექტრომამოძრავებელი ძალის ცნებებში და სხვ.

ონის რაიონის დების საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლეებმა
ქიმიაში კარგად განმარტეს პერიოდული კანონი და მასთან დაკავში-
რებით დაახასიათეს პირველი და მეორე პერიოდის ელემენტები.
იციან ნახშირორგანოს მიღება და თვისებები; სწორად ჩამოწერეს
ნახშირმჟავას მარილები, აღნიშნეს მათი ბუნება და დაუკავშირეს იგი
ჰიდროლიზის მოვლენას, მოსწავლეებს შეგროვილი აქვთ მოლიბდენის,
ანთიმონის, დარიშხანის, ვოლფრამის, სილიციუმის და სხვა მადნეულ-
თა ნიმუშები, რომლებსაც სათანადოდ იყენებენ ელემენტებისა და
მათი ჯგუფების შესასწავლად.

ონის ვაჟთა სკოლის VIII კლასის მოსწავლეებმა ბიოლოგიაში
სწორად განმარტეს „სისხლის წითელი სხეულაკები და მათი მნიშვნე-
ლობა“; იციან სისხლის წარმოქმნელი ორგანოები, კარგად პასუხო-

ბენ სისხლის შედგენილობაზე, მათივე დამზადებულ პრეპარატით გასინჯეს სისხლის წითელი და თეთრი სხეულაკები.

სორის საშუალო სკოლის (ონის რაიონი) V კლ. მოსწავლეებმა სწორად განმარტეს მცენარეთა უჯრედოვანი აგებულება, შეგნებულად პასუხობენ თესლის გაღვივებისათვის საჭირო პირობებზე და სხვ.

ჭრებალოს საშუალო სკოლის (იმბროლაურის რაიონი) VI კლასის მოსწავლეებმა მასალა — „ტევანიებრი“ კარგად დაუკავშირეს სოფლის მეურნეობის აღმავლობას ტექნიკური კულტურების განვითარების საქმეში, ისინი პრაქტიკულად არკვევენ ცალკეულ ყვავილოვან მცენარეთა ოჯახების წარმომადგენლებს, შეგროვილი აქვთ ერთლებნიან და ორლებნიან ყვავილოვან მცენარეების თესლეულთა კოლექციები, შედგენილი აქვთ რაიონში გავრცელებული ყვავილოვან მცენარეთა ჰერბარიუმები და სხვ.

მიუხედავად ამისა, ზემოაღნიშნული რაიონების ზოგიერთი სკოლის ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის მასწავლებელთა მნიშვნელოვანი ნაწილი საპროგრამო მასალის შესწავლის პროცესში ყურადღებას არ აქცევს დიალექტიკურ-მატერიალისტური მსოფლმხედველობის გამოუმუშავებას; ფიზიკური და ქიმიური მოვლენების შესწავლისათვის არ იყენებს თვალსაჩინო სწავლების მეთოდებს (ცდა, ლაბორატორიული მუშაობა, უშუალო დაკვირვება), არ ზრუნავს სასწავლო კაბინეტების მოწესრიგებაზე და მათ გამოყენებაზე, არ იცნობს განათლების სამინისტროს ბრძანებებსა და დირექტივებს საბუნებისმეტყველო დისციპლინების სწავლების გაუმჯობესების შესახებ, არ ემზადება გაკვეთილებისათვის, რის შედეგადაც მოსწავლეთა საგრძნობი ნაწილი ელემენტარული საკითხების სრულ უცოდინარობას ამჟღავნებს. ასე, მაგალითად, იმბროლაურის საშუალო სკოლის მე-7 კლასის მოსწავლეები თარაზოს ბერკეტთან სასწორს უწოდებენ, მათ არ იციან ჰორიზონტალური მდებარეობის თარაზოთი შემოწმება, მოცულობის საზომი ერთეულები და სხვ. ამ კლასის მოსწავლეები უაზროდ, გაზეპირებულად მოყვენ გაკვეთილი მუხლუხა ტრაქტორზე და ტანკზე; ნაცვლად იმისა, რომ მუხლუხა ტრაქტორისა და ტანკის მაგალითებზე გაეშუქებიათ წნევის ცნების შინაარსი, მოსწავლეებმა ეს სრულიად გამოტოვეს და ილაპარაკეს ტანკების სახეებზე და ტანკებზე მოწყობილ ტყვიამფრქვევებისა და ქვემეხების რაოდენობაზე. მასწავლებელი გაკვეთილისათვის სრულიად მოუმზადებელი იყო, მთელი გაკვეთილი მან გამოკითხვას მოანდომა.

ანავე სკოლის მე-9 კლასის მოსწავლეებმა ვერ განმარტეს მყისი ძალა, ვერცერთმა მოსწავლემ ვერ შეძლო დაესაბუთებია, რომ ინერცია არ წარმოადგენს მოძრაობის შეცვლის წინააღმდეგობას; გაკვეთილის



ი ხრობისას მოსწავლეები ზეპირსიტყვიერად, გაუზარებლად აღწერიბ
 ცდას და ცდის შედეგებს ვერ იყენებენ გაკვეთილის თემის დედა-
 დასასაბუთებლად. ამ კლასში ახალი მასალის—ნიუტონის III კანონის
 ახსნისას მასწავლებელმა არქიმედეს კანონის დემონსტრირებით
 ვერ შეძლო ნიუტონის შესამე კანონის ცდით დასურათება, საუბრის
 დროს ნაცვლად არქიმედეს კანონისა ის ლაპარაკობდა პისკალის
 კანონზე.

გურნის საშუალო სკოლის (ტყიბულის რაიონი) ფიზიკის მასწავ-
 ლებელი სათანადოდ ვერ არის გაცნობილი ფიზიკის სწავლების
 მეთოდოდას, არ იცნობს სადემონსტრაციო ცდების ჩატარების ტექ-
 ნიკას, გაკვეთილებს ატარებს ცდების გარეშე, რის გამოც მოსწავ-
 ლეები ფიზიკაში დაბალ ცოდნას ამჟღავნებენ. ამ სკოლის X კლასის
 მოსწავლეებმა ვერ შეძლო ნახაზზე სქემატურად ეჩვენებინათ სირი-
 ნოზის დისკოებში ჰაერის ჰაველის გავლით ბგერის წარმოშობა; ვერ
 განასხვავეს ერთმანეთისაგან ბგერის ძალა და სიმიღლე, არ იცინათ
 სირინოზის დანიშნულება; XI კლასის მოსწავლეებმა განმარტეს ამ-
 პერი, მაგრამ არ იცოდნენ კულონი და მუხტის ელექტროსტატიკური
 ერთეული; მოჰყენენ ელემენტების ბატარიებად შეერთების სამივე
 სახეზე, მაგრამ არ ესმოდათ ელემენტების ბატარიის შეერთების
 მიზანი და სხვ.

ამბროლაურის რაიონის ხოტევის საშუალო სკოლის ფიზიკის მასწავ-
 ლებელი ფიზიკის ზეპირსიტყვიერად და ზერეღედ ასწავლის; XI
 კლასში კათოდურ და ანოდურ სხივებზე და მათ თვისებებზე მასწავ-
 ლებელმა კლასს ისე ესაუბრა, რომ ნახაზიც კი არ გამოუყენებია,
 გაკვეთილის თემას ნაწილობრივ შეეხო და ბევრი საგულისხმო საკით-
 ხი სრულიად გამოტოვა; ამ კლასის ვერცერთმა მოსწავლემ ვერ
 შეძლო გაკვეთილის მოყოლა ბიძგით იონიზაციაზე, ისინი ვერ ერ-
 კვევიან იონების კინეტიკურ ენერჯიის საკითხში და სხვ.

ონის რაიონის უწერის საშუალო სკოლის VIII კლასის მოსწავ-
 ლეებს ქიმიიაში წარმოდგენა არ აქვთ—გარემომცველ ბუნებაში ნივთი-
 ერებათა ცვლილებებისა, გარდაქმნებისა და განუწყვეტელი მოძრა-
 იობის შესახებ, გაგებული არ აქვთ ფიზიკური და ქიმიური მოვლე-
 ნების არსი, არ უნახავთ ცდები დაშლისა და შეერთების რეაქციე-
 ბის შესახებ და სხვ. ახალი მასალა—უანგბადის მიღება და მისი ფი-
 ზიკური და ქიმიური თვისებები—მასწავლებელმა ზეპირად გააცნო
 მოსწავლეებს, არ უჩვენა არაფითარი ცდა, მიუხედავად იმისა, რომ
 კაბინეტი ამის სრულ შესაძლებლობას იძლეოდა.

ამბროლაურის რაიონის ბუგეულის საშუალო სკოლის მე-9 კლასის
 მოსწავლეებს შეთვისებული არ აქვთ ნაერთთა ძირითადი კლასები.

ისინი სწორად ვერ სწერენ მეტალოთა ქანგის ჰიდრატების ფორმულებს. წარმოდგენა არ აქვთ; ფუძეების მიღებისა და გამოყენების შესახებ. კლასში პროგრამული მასალა ნაჩქარევად არის გავლენა პირველ მეოთხედში გასავლელი მასალა მასწავლებელს 10 ოქტომბრისათვის დაუშთავრებია.

ამბროლაურის საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლეებმა არ იციან ვალენტიანობა, ვერ დახაზეს სილიციუმის წყალბადნერთის მოლეკულის აგებულება, ვერ გაარკვიეს ნატრიუმის ქლორიდში, რომელი ატომი კარგავს ან იერთებს ელექტრონებს და როგორ წარმოიქმნება მისი მოლეკული. არ იციან ნახშირბადის ქანგბადოვანი ნერთები, ნახშირმჟავას მარილები, მათი მიღება და თვისებები და სხვ. ამ სკოლის XI კლასის მოსწავლეებმა ვერ განსაზღვრეს მოლეკულური წონა, ვერ გამოიანგარიშეს გაზების გრამ-მოლეკულური მოცულობა, ვერაფერი სთქვეს უნაჯერი ნახშირწყალბადების ქიმიური თვისებების შესახებ, ვერ დაწერეს აცეტილენის მოლეკულის აგებულება, არ იციან ნავთობში პოლიმეთილენიანი ნახშირწყალბადების არსებობა, ნავთობის გავრცელება და ფრაქციები; წარმოდგენა არ აქვთ მეთანის, ფუძის, მოლეკულის, ატომის და იონის ცნებებზე და სხვ.

ამბროლაურის საშუალო სკოლის V კლასის მოსწავლეთა ცოდნა ბოტანიკაში დაბალია. მათ წარმოდგენა არ აქვთ მცენარის უჯრედოვან აგებულებაზე. უჯრედის ნაწილებზე და უჯრედის გამრავლებაზე, ვერ არკვევენ თესლის აგებულებასა და თესლის შედგენილობას, არ იციან გაღვივების დროს თესლში მიმდინარე ცვლილებები. ვერ განმარტეს ნიადაგის შემადგენელი ნაწილები და ნიადაგის მნიშვნელობა მცენარეთა ზრდა-განვითარებისათვის.

ტყიბულის მეორე საშუალო სკოლის VI კლასის მოსწავლეები ერთმანეთისაგან ვერ ანსხვავებენ ორლებნიან და ერთლებნიან ყვავილოვან მცენარეებს. უწერის საშუალო სკოლის IX კლასის მოსწავლეებს არასწორად აქვთ გაგებული ლამარკის მოძღვრება; არ იციან ლამარკის მოძღვრების პროგრესული მხარე, რომელიც აღიარებს ორგანიზმების ბუნების ცვალებადობას გარემოს პირობების ზეგავლენით და ამ ცვლილებების მემკვიდრეობითობას.

ამბროლაურის რაიონის საღმელის საშუალო სკოლის მე-6 კლასის მოსწავლეებმა არ იციან ყვავილოვან მცენარეების ცალკეული ოჯახების ყვავილის აგებულება, ვერ პასუხობენ ტექნიკურ კულტურების განვითარებაზე მეოთხე სტალინურ ხუთწლედში და სხვ.

ვთვლი, რომ ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის სწავლებაში არსებული ეს ნაკლოვანებანი ამბროლაურის, ონისა და ტყიბულის რაიონების ზოგ სკოლაში შედგება იმისა, რომ:

ა) შესწავლილი სკოლების ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის მასწავლებელთა ერთი ნაწილი სუსტად მუშაობს თავისთავზე, არ იცნობს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბრძანებებს და დირექტივებს ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის მასწავლებლების გაუმჯობესების შესახებ.

ბ) კაბინეტებისათვის არაა გამოყოფილი ცალკე ოთახები, კაბინეტების ხელსაწყო-იარაღები და რეაქტივები თაროებზე და მაგიდებზე გამოუყენებელი უწესრიგოთ ყრია. ასე, მაგალითად, უწერის საშუალო სკოლაში, ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის ხელსაწყო-იარაღები და რეაქტივები მოთავსებულია მაგიდებზე ერთ ოთახში; ამბროლაურის საშუალო სკოლაში ფიზიკის ხელსაწყო-იარაღების დიდი რაოდენობა ქიმიის რეაქტივებთან ერთად სამასწავლებლოში დადგმულ ორ კარადაში უწესრიგოდაა შეყრილი; სადმელის საშუალო სკოლაში ორი კარადა ფიზიკის ხელსაწყოებით დადგმულია სკოლის აივანზე უბრალოდ შეფიცრულ 4 კვ. მეტრიან ოთახში, მაშინ როცა ამ სკოლის შენობაში რაინსაბჭოს აღმასკომის დადგენილებით სასოფლო საბჭოს 3 საკლასო ოთახი სასოფლო კლუბად აქვთ გადაკეთებული. ასეთივე მდგომარეობას აქვს ადგილი ამავე რაიონის ხოტევის საშუალო სკოლაში, სადაც სასოფლო კლუბის საქიროებისათვის გამოყოფილია სამი საკლასო ოთახის ოდენა დარბაზი;

გ) შემოწმებულ სკოლებში მასწავლებელთა კადრები არასწორად არის განაწილებული. ხშირად ერთი და იგივე საგნის რამდენიმე სპეციალისტი თავმოყრილია ერთ სკოლაში, რის გამოც ცალკეული დისციპლინის საათები განაწილებულია არასპეციალისტებზე. მაგალითად, ამბროლაურის საშუალო სკოლაში ბიოლოგიის სპეციალობის სამი მასწავლებელია და ბიოლოგიის საათების სიმცირის გამო ერთი მათგანი დამატებით ასწავლის ფიზიკას. უწერის საშუალო სკოლაში ქიმიას ასწავლის გეოგრაფიის სპეციალისტი და ბიოლოგიის საათები კი განაწილებული აქვს გეოგრაფიის სპეციალობის ორ მასწავლებელს. ასევე ბუგეულის საშუალო სკოლაში ბიოლოგიის 13 საათი განაწილებული აქვს სამ მასწავლებელს, რომელთაგან ერთი ისტორიკოსია, ხოლო მეორე გეოგრაფი;

დ) ფიზიკისა და ქიმიის ლაბორანტის თანამდებობაზე დანიშნულია ამ თანამდებობისათვის შეუფერებელი პირები. სადმელის საშუალო სკოლაში ლაბორანტად მუშაობს საშუალო სკოლის კურსდამთავრებული; ონის ვაკეთა საშუალო სკოლაში ამ თანამდებობაზე დროებით თავშეყარებულია ქიმიკოსი—უმადლესი განათლებით, ხოლო ღების და კრებალოს საშუალო სკოლებში ლაბორანტობა შეთავსებული აქვთ ფიზიკისა და ქიმიის მასწავლებლებს;

ე) ამბროლაურის რაიონულ ლაბორატორიას დღემდე არ აქვს გამოყოფილი საჭირო ბანა, იგი მოთავსებულია პედაგოგიური სასწავლებლის შენობის ერთ ოთახში, სადაც მოთავსებულია აგრეთვე ამ სასწავლებლის ყველა სასწავლო კაბინეტი. ეს ლაბორატორია არაერთარ დახმარებას არ უწევს რაიონის სკოლებს ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის სწავლების გაუმჯობესების საქმეში;

ვ) განათლების განყოფილების მუშაკები და სკოლის დირექტორები არ არიან დაინტერესებული სასწავლო კაბინეტებს კეთილმოწყობით და მათი დაინიშნულებისამებრ გამოყენებით, სათანადოდ არ აფასებენ სასწავლო აღნაგობით მუშაობის ამ მეტად მნიშვნელოვან ფაქტორის როლს მოსწავლეთა ტექნიკური განათლების ამაღლების საქმეში. ისინი ზერელედ და ფორმალურად ამოწმებენ სკოლებში ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის სწავლების მდგომარეობას.

მ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ამბროლაურის განათლების განყოფილების გამგემ ვ. მაჭავარიანმა ა/წ 31 დეკემბრამდე აღადგინოს სადმელის საშუალო სკოლაში სასოფლო კლუბად გადაკეთებული სამი საკლასო ოთახი და არ დაუწვას ზოტევის საშუალო სკოლის შენობაში სასოფლო კლუბის მოწყობა.

1949 წლის 15 იანვრამდე უზრუნველჰყოს სარაიონო ლაბორატორია შესაფერი ბინით, საჭირო დგამ-ავეჯით და სასწავლო მოწყობილობით.

უმოკლეს ვადაში მოიყვანოს სისრულეში სსრკ მინისტრთა საბჭოს 1947 წლის 22 სექტემბრის № 3321 და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1947 წლის 28 ოქტომბრის № 1224 დადგენილებები სკოლებსათვის შესაფერი მიწის ნაკვეთების გამოყოფის შესახებ და უზრუნველჰყოს ამ ნაკვეთების მიზნშეწონილად გამოყენება.

2. ამბროლაურისა და ონის რაიონის განათლების განყოფილებათა გამგეებმა ამხ. ამხ. ვ. მაჭავარიანმა და ნ. ჯაუარიძემ ალკვეოონ ფიზიკაში, ქიმიისა და ბიოლოგიაში საათების რაოდენიმე პირზე განაწილების პრაქტიკა და არ დაუშვან არასპეციალისტი მასწავლებლების მიერ ამ საგნების სწავლება, ზუსტად იხელმძღვანელონ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მითითებით ლაბორანტის მუშაობის შესახებ და ლაბორანტების შერჩევა-დანიშვნა აწარმოონ აღნიშნული მითითების შესაბამისად. უზრუნველჰყოს ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბრძანებებისა და განკარგულებების დაყვანა მასწავლებლობამდე და მიიღონ საჭირო ზომები აღნიშნულ ღონისძიებათა გატარებისათვის.

3. დიეველოს აღნიშნული რაიონების სკოლის დირექტორებს: სის-
ტემატურად შეამოწმონ სკოლებში ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლო-
გიის სწავლების მდგომარეობა. სასკოლო კაბინეტები მოამარაგონ
საქირო დვამ-ავეჯით და შეუქმნან სკოლას სათანადო პირობები
სადემონსტრაციო ცდებისა და ლაბორატორიული მუშაობის ჩასა-
ტარებლად. განათლების სამინისტროს დირექტივების შესაბამისად
დასახონ კონკრეტული ღონისძიებები და მიიღონ გადაწყვეტილი ზო-
მები ამ ღონისძიებათა განხორციელებისათვის, ბიოლოგიის სწავ-
ლების გაუმჯობესების მიზნით, მიჩურინული ბიოლოგიის საფუძველ-
ზე გამოაყონ საცდელი მიწის ნაკვეთი და ხელი შეუწყონ მის მიზ-
ნობრივად გამოყენებას.

4. ფიზიკისა და ქიმიის მასწავლებლებმა ზუსტად იხელმძღვანელონ
საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1947 წლის № 476,
№ 505 და 1948 წლის № 1331 ბრძანებებით და უზრუნველყონ ამ
საგნების სწავლების სათანადო სიმაღლეზე დაყენება, ხოლო ბიო-
ლოგიის მასწავლებლებმა მიიღონ ყოველგვარი ზომები ბიოლოგიის
სწავლების გარდაქმნისათვის მიჩურინული ბიოლოგიის საფუძველზე,
რისთვისაც ზუსტად იხელმძღვანელონ ვაზეთ „სახალხო განათლება-
ში“ 1948 წლის ნოემბრის ნომერში მოთავსებულ საქართველოს სსრ
განათლების სამინისტროს სათანადო მითითებით.

5. სასკოლო შენობების არადანიშნულებისამებრ გამოყენების გამო
და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1947 წლის № 476
და № 505 ბრძანებათა შეუსრულებლობისათვის მითითება მიეცეს:
ამბროლაურის რაიონის განათლების განყოფილების გამგეს ვ. მაქა-
ვარიანს და ონის რაიონის განათლების განყოფილების გამგეს ნ.
ჯაფარიძეს.

6. ეს ბრძანება 1948 წლის 5 დეკემბრამდე განხილულ იქნას ყვე-
ლა რეაწლიან და საშუალო სკოლების პედაგოგიური საბჭოების
სხდომებზე და დასახულ იქნას სათანადო ღონისძიებანი.

საქართველოს სსრ განათლების მინისტრი ვ. კუპჩაძე

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 3549

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1948 წლის 1 ნოემბერი

საბავშვო ლიტერატურის გამომცემლობის მუშაობის
გარდაქმნის შესახებ

შემოწმებით დადასტურდა, რომ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საბავშვო ლიტერატურის (საბლიტგამის) გამომცემლობის ძველმა ხელმძღვანელობამ (დირექტორი ვ. კიკნაძე) ვერ მიიზიდა და ვერ ჩააბა გამომცემლობის მუშაობაში კვალიფიციური მწერლები, პოეტები, გამოცდილი პედაგოგები. არ ხდებოდა ნაწარმოებთა წინასწარი გულდასმითი რეცენზირება და რედაქტირება, გამომცემლობაში მიღებული წიგნები ხშირად გაუსწორებლად და შეუპოვებლად იგზავნებოდა სტამბაში, რის გამო საჭირო ხდებოდა უკვე აწყობილი წიგნის შესწორება და ხელახლად აწყობა, რაც სწარმოებდა გამომცემლობის ხარჯზე. წიგნები სათარგმნელად ექლეოდათ ენის უცოდინარ, შემთხვევით პირებს, მხატვრული გაფორმება წიგნებისა ევალებოდათ არაკვალიფიციურ მხატვრებს. ყოველივე ამის შედეგად, ხშირად, გამოცემული ნაწარმოები იყო მდარე ხარისხისა და ვერ აკმაყოფილებდა საბჭოთა ახალგაზრდა მკითხველის გაზრდილ მოახლოვნილებას. ხელმძღვანელობა ავტორებს, მხატვრებს, მთარგმნელებს და სხვებს აძლევდა ჰონორარის მაქსიმუმს, ხელშეკრულებები და დავალიანანი იწერებოდა არასწორად და ზერელედ. ხშირად ირღვეოდა ჰონორარის გაცემის დადგენილი წესი; წარმოდგენილ წიგნებზე ნაცვლად 60%-სა ავტორებს ეძლეოდა ჰონორარის ასი პროცენტი, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში ჰონორარი ეწერებოდა ავტორებს უვარგის და ცუდი ხარისხის ნაშრომებზე, ან და ყოველგვარ ნაშრომის წარმოდგენლად და სამუშაოთა შესრულების გარეშე (კიკნაძე, შენგელია, შარაშიძე). გამოშვებული პროდუქცია საღებოდა არაეგემაზომიერად. გამომცემლობამ ვერ უყო ლიკვიდაცია დებიტორულ-კრედიტორულ დავალიანებებს, ვერ მიაღწია მუშაობაში გარდატეხას და საჭირო რენტაბელობას, რის გამო გამომცემლობა სისტემატურად მძიმე ფინანსიურ მდგომარეობაში იყო.

ყოველივე ხსენებულის გამო შეცვლილ იქნა გამომცემლობის ყოფილი ხელმძღვანელობა.

საბლიტგამის მუშაობის გარდასაქმნელად და შემდგომი საქმიანობის სწორად წარმართვის მიზნით, ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. საბლიტგამის ახალმა ხელმძღვანელობამ (ამხ. თ. აბაშმაძე):

ა) მიიზიდოს და მუშაობაში ჩააბას უფრო კვალიფიციური ავტორები, მთარგმნელები, მხატვრები, რეცენზენტები, რედაქტორები, სტილისტები; მთარგმნელების, რეცენზენტების, მხატვრების შერჩევა აწარმოოს ჩემთან შეთანხმებით;

ბ) აწარმოოს მიღებული წიგნების გულდასმით რეცენზირება, ჩააბას ამ საქმეში მწერლები და გამოცდილი პედაგოგები. არ დაუშვას ცუდი ხარისხის, შეუმოწმებელი და საბოლოოდ დაუდგენელი დედნების ჩაშვება სტამბაში ასაწყობად;

გ) სტამბაში უკვე ჩაშვებულ და აწყობილ წიგნებში ავტორის მიერ შეტანილ შესწორებებზე დამატებით გაწეული ხარჯები დააწეროს თვით ავტორებს;

დ) მტკიცედ დაიცვას რედაქტირებისათვის, რეცენზირებისათვის, ლიტერატურული დამუშავებისა და მხატვრული გაფორმებისათვის მთავრობის მიერ დადგენილი ტარიფები და ჰონორარის გაცემის წესები. აღკვეთოს მხატვრებისათვის ჰონორარის მაქსიმუმის გაცემა. აღკვეთოს გამომცემლობის მუშაკებზე ჰონორარის გაცემა სამსახურის საათებში შესრულებულ ლიტერატურული მუშაობისათვის, როგორც არის: შემოსული ნაწარმოების პირველადი გაცნობა, დასკვნის წარდგენა სარედაქციო საბჭოსათვის და სხვა მიმდინარე სამუშაოები;

ე) განამტკიცოს შრომის დისციპლინა; გადასინჯოს გამომცემლობის მუშაკთა შემადგენლობა და ა/შ 30 ნომებრამდე წარმოადგინოს პროექტი გამომცემლობის კვალიფიციური მუშაკებით განმტკიცების შესახებ;

ვ) სწრაფად და სისტემატურად მოახდინოს გამოშვებული პროდუქციის რეალიზაცია;

ზ) მიმდინარე წლის უახლოეს დროში მოახდინოს დებიტორულ-კრედიტორული დავალიანების სრული ლიკვიდაცია;

თ) ყოველ კვარტალის ბოლოს წარმოადგინოს განათლების სამინისტროში განვლილი მუშაობის გეგმის შესრულებისა და ფინანსური მდგომარეობის შესახებ ამომწურავი ცნობები დადგენილი ფორმებითა და სათანადო ახსნა-განმარტებითი ბარათით.

ი) შეადგინოს 1950 წლის საპერსპექტივო გეგმა და წარმოადგინოს კოლექციაზე დასამტკიცებლად 1949 წლის 30 დეკემბრამდე.

2. გაფართოვდეს „საბლიტგამის“ სარედაქციო-მხატვრული საბჭოს შემადგენლობა, შეიქმნას იგი მწერლებითა და გამოცდილი მხატვრულ-წვლულებით. სამი დღის ვადაში წარდგენილ იქნეს ხელმძღვანელობის ორგანოებში დასამტკიცებლად პროექტი სარედაქციო-სამხატვრო საბჭოს შემადგენლობის შესახებ.

3. საშუალო სკოლების სამპარტოელომ სისტემატურად აწარმოოს საბლიტგამის მუშაობის შემოწმება და გამოკვლევის შედეგები წარმოადგინოს კოლეგიაზე განახილველად.

4. საბლიტგამის სამეურნეო-საფინანსო მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით დაევალოს საგეგმო-საფინანსო განყოფილებას გაუწიოს გამომცემლობას შესაძლებელი დახმარება სხვა სამეურნეო ორგანიზაციების ზედმეტ საბრუნავ საშუალებათა გადანაწილების ვზით.

5. გაზეთმა „სახალხო განათლებამ“ სისტემატურად აწარმოოს გაზეთის ფურცლებზე „საბლიტგამის“ ბეჭდვითი პროდუქციის განხილვა.

საქართველოს სსრ განათლების მინისტრი მ. კუპრაძე

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 3558

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1948 წლის 4 დეკემბერი

სკოლებში საზამთრო არდადეგებისა და მასწავლებელთა
საძალაძო და რაიონული მეთოდური თათბირების ჩატა-
რების შესახებ

1. დაწყებითი, რვაწლიანი და საშუალო სკოლების I-XI კლასებში საზამთრო არდადეგები ჩატარდეს 31 დეკემბრიდან 12 იანვრამდე; სასწავლო მეცადინეობა კლასებში შეწყდეს 31 დეკემბერს, პარასკევს, გაკვეთილების შემდეგ და განახლდეს 1949 წლის 12 იანვარს, ოთხშაბათს.

მუშა და სოფლის ახალგაზრდობისა და მოზრდილთა სკოლებში საზამთრო არდადეგები არ ჩატარდება.

2. განათლების განყოფილებათა გამგეებმა, დაწყებითი, რვაწლიანი და საშუალო სკოლების დირექტორებმა (გამგეებმა) და სკოლის-გარეშე დაწესებულებათა ხელმძღვანელებმა არდადეგების პერიოდში მოსწავლეთათვის კულტურული დასვენებისა და ჯანსაღი გართობის უზრუნველყოფის მიზნით, მოაწყონ ბავშვთა სამხედრო თამაშობანი, ლაშქრობები, ფიზკულტურული შეჯიბრებანი და, სადაც ეს შესაძლებელია, ნაძვის ხე; სკოლებში ჩაატარონ მხატვრული თვითშემოქმედების დილა-სალამოები, ინსცენირებებით, ლიტერატურული დისპუტები, პატრიოტული ხასიათის მოთხრობებისა და ლექსების კითხვით, ბავშვთა გუნდების გამოსვლებითა და სხვ.; სანახაობათა დაწესებულებების ხელმძღვანელებთან დაამყარონ სათანადო კავშირი და მოაწყონ კინოებსა და თეატრებში მოსწავლეთა კოლექტიური სვლა.

3. მთავარ ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში მოეწყოს მეთერთმეტე კლასების მოსწავლეთა შეკრებანი. ამ შეკრებებზე განხილულ იქნეს სიწმიფის ატესტატზე გამოცდებისათვის სამზადისისა და მომავალი პროფესიების შერჩევასთან დაკავშირებული საკითხები.

4. რესპუბლიკის ყველა რაიონსა და ქალაქში. 1949 წლის 5-8 იანვარს მასობრივი, მუშა და სოფლის ახალგაზრდობისა და მოზარდობის სკოლების მასშავლებულთათვის ჩატარდა მასშავლებელთა ორდღიანი სარაიონო და საქალაქო თათბირები, პლენარული და სექციური სხდომები. პლენარულ სხდომებზე განხილულ იქნას შემდეგი საკითხები:

„1948-49 სასწავლო წლის პირველი ნახევრის შედეგები და მეორე-წლიანობის წინაღმდეგ ბრძოლის ღონისძიებანი“.

ამ საკითხზე მომხსენებელმა ანალიზი უნდა გაუკეთოს ცალკეულ საგნების სწავლების დარგში ჩატარებულ მუშაობას, მოწინავე მასწავლებელთა გამოცდილებათა განზოგადოებით და განსაკუთრებით, სკოლების გამოკვლევის მასალების საფუძველზე, ვრცლად გააშუქოს სკოლებში მიჩურინული ბიოლოგიის სწავლების მდგომარეობა, ლენინის სახელობის სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო აკადემიის აგვასტოს სესიის შედეგებისა, აკად. ტ. დ. ლისენკოს მოხსენებისა და „საშუალო სკოლებში მიჩურინული ბიოლოგიის სწავლების შესახებ“ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მითითებების შესაბამისად ნაჩვენები უნდა იქნეს თუ, როგორ გარდაიქმნა სკოლებში მიჩურინული ბიოლოგიის სწავლება, რა მიღწევები და ნაკლი გააჩნია სკოლებს ამ დარგში და დაისახოს კონკრეტული ღონისძიებანი საგნების სწავლებაში არსებულ ნაკლულოვანებათა აღმოსაფხვრელად.

2. „სკოლების სახელმძღვანელო წიგნებით მომარაგების მდგომარეობისა და მოსწავლეთა ცოდნის დონის ამაღლების საქმეში სახელმძღვანელოს როლისა და მნიშვნელობის შესახებ“. ამ საკითხზე მოხსენება უნდა გააკეთოს განათლების განყოფილების გაგმე.

მოხსენებაში ვრცლად იქნეს გაშუქებული: სკოლების სახელმძღვანელო წიგნებით მომარაგების მდგომარეობა:

ა) 1948-49 სასწავლო წლისათვის რაიონისა და ქალაქის სავაჭრო ქსელში რა სახელწოდებისა და რა რაოდენობით იქნა მიღებული სახელმძღვანელოები და როგორ მოეწყო ამ წიგნების მოსწავლეებზე მიყიდვის ორგანიზაცია; რომელი სახელმძღვანელოების დანაკლისი განიცდის სკოლა და რა მიზეზით.

ბ) სკოლების შემოწმების მასალების საფუძველზე გაშუქდეს ცალკეული საგნების სწავლებისას სახელმძღვანელოებით სარგებლობის საკითხები, რამდენად აჩვენებენ მასწავლებლები მოსწავლეებს წიგნზე დამოუკიდებლად მუშაობას, გაკვეთილების სახელმძღვანელოში მოცემული მასალის მოცულობით მომზადებას; რამდენად ითხოვენ მასწავ

ლებლები მოსწავლეებისაგან სახელმძღვანელოში მოცემული დებულებებისა და ფაქტების მეცნიერული სიზუსტით ცოდნას.

კონკრეტული მაგალითების ანალიზის საფუძველზე მოხსენებელმა უნდა ცხადჰქოს, რომ მოსწავლეთა ჩამორჩენილობისა, უწიგნურობისა და მეორეწლიანობის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი წიგნზე დამოუკიდებლად მუშაობის ჩვეების უქონლობაა, — რომ სახელმძღვანელო წიგნების გარეშე მოსწავლეები ეჩვევიან სასკოლო დავალებების ზერელედ და ფორმალურად შესრულებას, გაკვეთილებზე მოუშაადებლად გამოცხადებას, რის შედეგად მოსწავლეებს არ გააჩნია მეცნიერებათა ძირითადი საფუძვლების მტკიცე და სრულუფასოვანი ცოდნა.

გ) მოხსენებაში ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ მთელ რიგ სკოლებში მოსწავლეები არ იძენენ სახელმძღვანელო წიგნებს, როცა სავაჭრო ქაელში ამის შესაძლებლობა არის, არ ატარებენ წიგნებს სკოლაში, სახელმძღვანელოების მიხედვით არ ამზადებენ გაკვეთილებს და გაკვეთილზე მოსმენილით კმაყოფილდებიან.

გამოვლინებული იქნას მოწინავე სკოლები და მასწავლებლები, რომლებსაც საუკეთესოდ აქვთ დაყენებული სახელმძღვანელო წიგნების გამოყენების საქმე და მნიშვნელოვან წარმატებებს აღწევენ მოსწავლეთა ცოდნის დონის ამაღლების დარგში. აგრეთვე მხილებული იქნას ის დირექტორი და მასწავლებელი, რომლებიც უდარდელად ეკიდებიან სწავლაში სახელმძღვანელო წიგნების გამოყენების საქმე და მიეცეს მათ მტკიცე დავალება, რათა ყველა მოსწავლემ შეიძინოს სახელმძღვანელოები და გაკვეთილებზე არ დაუშვან ის მოსწავლეები, რომლებსაც არ ექნება საჭირო სახელმძღვანელო (იხილეთ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1948 წლის დეკემბრის მიმართვა (№ 1968) ამ საკითხზე).

მოხსენებისა და აზრთა გაცვლა-გამოცვლის საფუძველზე თათბირზე დაისახოს კონკრეტული ღონისძიებანი სკოლებში სახელმძღვანელო წიგნებით სარგებლობის გადაჭრით ვაუპიჯოპსების უზრუნველსაყოფად.

5. სექციურ სხდომებზე განხილულ იქნას შემდეგი საკითხი:

1. ცალკე სასწავლო საგნების სწავლებასთან დაკავშირებით სახელმძღვანელო წიგნზე მუშაობა;

2. მუშაობის აგეგმვა 1948-49 სასწავლო წლის მეორე ნახევრისათვის (ცალკე კლასებისა და საგნების მიხედვით).

შენიშვნა: მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლების მასწავლებლები იმუშავებენ საერთო სექციებში, ხოლო სამუშაო გეგმებს აღგენენ ცალკე ამ სკოლებში მუშაობის სპეციფიკის გათვალისწინების საფუძველზე.

საქართველოს სსრ განათლების მინისტრი ვ. კუპრაძე

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 3501

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1948 წლის 25 ნოემბერი

დაწყებით, რვაწლიან და საშუალო სკოლებში სასკოლო ბიბლიოთეკების მოწესრიგების შესახებ

გავეცანი რა კლასგარეშე კითხვის დარგში ქ. ქ. თბილისის, ქუთაისის, ჭიათურის, სამტრედიის, შიდაკოვსკის, წყალტუბოს, მცხეთის, ზესტაფონის, ჭიათურის, სიღნაღისა და წითელწყაროს რაიონების ზოგიერთი დაწყებითი, რვაწლიანი და საშუალო სკოლის მუშაობის გამოკვლევის შედეგებს, აღვნიშნავ, რომ კლასგარეშე კითხვისათვის სათანადო პირობები დასახელებული ქალაქებისა და რაიონების სკოლების მხოლოდ მცირე ნაწილშია შექმნილი.

ამ მხრივ უკეთესად მომუშავე სკოლებიდან პირველ რიგში აღსანიშნავია ქ. თბილისის ქალთა და ვაჟთა პირველი სკოლები, სადაც სასკოლო ბიბლიოთეკები უზრუნველყოფილი არიან შესაფერი ბინით, სისტემატურად ექცევა ყურადღება წიგნობრივი ფონდის შევსებას, არსებული ფონდი წესისამებრ არის აღრიცხული და დამუშავებული, ორგანიზებულია აბონემენტი, შედგენილია კლასგარეშე საკითხავი წიგნების სარეკომენდაციო სია, ბიბლიოთეკას მცოდნე და კვალიფიცირებული პირები ხელმძღვანელობენ და ამის შედეგად ამ სკოლების მოსწავლეთა დიდი ნაწილი ჩაბმულია კლასგარეშე კითხვაში.

ამასთან ერთად, აღვნიშნავ, რომ კლასგარეშე კითხვის საქმე ჯერ კიდევ არაა დამაკმაყოფილებლად დგას მრავალ სკოლაში:

ა) ბევრ სკოლაში ძალზე მცირეა წიგნობრივი ფონდი. მაგალითად, წითელწყაროს რუსულ საშუალო სკოლას 400 წიგნი აქვს, მცირე რაოდენობით გააჩნია წიგნები ზესტაფონის რ. ზედა საქარის რვაწლიან, მცხეთის რ. მისაქციელის საშუალო და სხვ. საშუალო რვაწლიან და დაწყებით სკოლებს;

ბ) ბიბლიოთეკები სათანადო ბინით არ არის უზრუნველყოფილი ჭიათურის რ. მანდაეთის, ამავე რაიონის კაცხი-სალიეთის საშუალო,

სამტრედიის რ. ოქტომბრის რვაწლიან და რესპუბლიკის სხვა მრავალ სკოლაში;

გ) დაუშუშავებელია წიგნობრივი ფონდი ზესტაფონის ქალთა სკოლაში; ველ, მცხეთის საშუალო და ქიათურის რ. ნიგოზეთის საშუალო სკოლებში; ასეთივე მდგომარეობაა წყალტუბოს რ. სოფ. გვიშტიბის რვაწლიან სკოლაში;

დ) მოუწესრიგებელია აბონემენტის მუშაობა ქ. ქიათურის მე-2 საშუალო სკოლაში; ასეთსავე მდგომარეობას აქვს ადგილი სამტრედიის რ. ოქტომბრის რვაწლიან სკოლაშიც;

ე) კლასგარეშე საკითხავი ლიტერატურის სარეკომენდაციო სია არ არის შედგენილი ქ. ქიათურის მე-2 საშუალო სკოლაში, ანალოგიურ მდგომარეობას ადგილი აქვს ქიათურის რაიონის მანდაეთისა და ნიგოზეთის საშუალო სკოლებში;

ვ) ძალზე მცირეა წიგნის ბრუნვა წითელწყაროს რუსულ საშუალო სკოლაში, ამგვარივე მდგომარეობაა სიღნაღის ქალთა საშუალო სკოლაშიც.

კლასგარეშე კითხვის საქმეში არსებული ეს ჩამორჩენა იმის შედეგია, რომ ბიბლიოთეკას სკოლების დიდ ნაწილში არაკვალიფიცირებული პირები ხელმძღვანელობენ, სკოლის დირექტორები და სასწავლო ნაწილის გამგეები კონკრეტულ დანებარებას არ უწევენ კლასგარეშე კითხვის საქმეს და თავის მხრივ განათლების განყოფილებანიც სუსტად ეხმარებიან სკოლებს ამ მიმართულებით.

მ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. წინადადება მიეცეს ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებებს:

ა) 1949 წლის პირველ იანვრამდე გადასინჯონ სკოლის ბაბლიოთეკართა შტატი და ამ თანამდებობაზე საშუალო სკოლებში აღარ დაუშვან ისეთი მუშაკები, რომელთაც სათანადო ცოდნა და გამოცდილება არ გააჩნიათ;

ბიბლიოთეკის ხელმძღვანელობა ჩააბარონ სათანადო სპეციალისტებს, ან პედაგოგიური განათლების მქონე პირებს (პირველ რიგში ლიტერატორებს, ისტორიკოსებს და გეოგრაფებს), რომელთაც უყვართ ეს საქმე და შესწევთ უნარი წინ გაუძღვენ კლასგარეშე კითხვას;

ბ) დროულად მოახდინონ ბიბკოლექტორიდან მიღებული წიგნების განაწილება ცალკეულ სკოლებზე და უკლებრივ უზრუნველჰყონ სკოლები მათი კუთვნილი საბავშვო ლიტერატურით;

გ) მთლიანად გამოიყენონ სასკოლო ბიბლიოთეკების შესავსებად ადგილობრივი ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნობანი და არ დაუშვან მათი სხვა დანიშნულებით დახარჯვა;

დ) სკოლების ყოველი შემოწმებისას გამოარკვიონ სასკოლო ბიბლიოთეკის მუშაობა და გაუწიონ სკოლას ამ მხრივ საჭირო დახმარება;

ე) მიიღონ გადამწყვეტი ზომები, რომ საშუალო და რვაწლიან სკოლებში ბიბლიოთეკისათვის ცალკე ოთახი გამოიყოს, ხოლო იმ რვაწლიან სკოლებში, სადაც ცალკე ოთახის გამოყოფის შესაძლებლობა არ არსებობს, და, აგრეთვე დაწყებით სკოლებში, — გამოყოფილი იქნას კუთხე დასაკეტი კარადებით.

2 დაწყებითი და საშუალო სკოლის სამმართველოს მიერ წარმოდგენილი დაწყებითი, რვაწლიანი და საშუალო სკოლის სასკოლო ბიბლიოთეკების დებულება დამტკიცდეს (თან ერთვის); ამასთანავე მოწონებულ იქნას სასკოლო ბიბლიოთეკების საბიბლიოთეკო ტექნიკის მინიმუმი (აღრიცხვის ფორმები და ინსტრუქცია მათი წარმოების შესახებ);

ა) წინადადება მიეცეს დაწყებით და საშუალო სკოლის სამმართველოს დროულად დაბეჭდოს აღნიშნული დოკუმენტები და დაუგზავნოს რესპუბლიკის ყველა დაწყებით, რვაწლიან და საშუალო სკოლას.

3. დაევალოს დაწყებითი, რვაწლიანი და საშუალო სკოლების დირექტორებსა და გამგეებს:

ა) შეუქმნან ბიბლიოთეკებს ნორმალური მუშაობისათვის სათანადო პირობები, გამოუყონ ბიბლიოთეკას საჭირო ინვენტარი, მხატვრულად და კულტურულად ვაფორმონ ბიბლიოთეკის ბინები და მუშაობაში აქტიურად ჩააბან პედაგოგთა მთელი კოლექტივი;

ბ) სასკოლო ბიბლიოთეკის წიგნობრივი ფონდი აღრიცხონ და დაამუშაონ სასკოლო ბიბლიოთეკების აღრიცხვის შესახებ დამტკიცებული ინსტრუქციის მიხედვით;

გ) სასტიკი ბრძოლა აწარმოონ წიგნების განიავებისა და გაფუჭების წინააღმდეგ, უზრუნველყონ წიგნობრივი ფონდის მთლიანად დაცვა;

დ) ყოველ მეოთხედში ერთხელ პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე განიხილონ საკითხი სასკოლო ბიბლიოთეკის მუშაობის შესახებ.

4. დაევალოს სასკოლო ბიბლიოთეკების გამგეებს:

ა) თაყიანთ მუშაობაში მჭიდრო კავშირი იქონიონ მასწავლებლებთან, მასწავლებელთა დახმარებით სკოლის ბიბლიოთეკაში არსებული წიგნობრივი ფონდის შესწავლის საფუძველზე, ცალკეული ასაკებისათვის (I—II კლ. III—IV კლ. V—VIII კლ. IX—XI კლ. მოსწავლეთათვის) შეადგინონ სარეკომენდაციო სიები და ფართოდ გააცნონ იგი მოსწავლეებს;

ბ) მასწავლებელთა საშუალებით გაშალონ მოსწავლეთა შორის ახსნა-განმარტებითი მუშაობა და ბიბლიოთეკის მუშაობაში ჩააბან ყოველი მოსწავლე;



გ) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მოსწავლეებში წიგნის წესიერად ხმარებისა და წიგნზე დამოუკიდებლად მუშაობის ჩვევათა აღზრდას;

დ) ფართოდ გაშალონ მისობრივი მუშაობა მოსწავლე მკითხველებთან—წიგნის მიმოხილვა, შერჩეული ნაწარმოებების ხამალაღი კითხვა-საუბარი, მკითხველთა კონფერენცია და სხვ.

ე) უფროსი კლასების მოსწავლეებთან ჩაატარონ საუბრები ბიბლიოთეკებიდან წიგნებით სარგებლობის წესების შესახებ, იმ მიზნით, რათა მოსწავლეებს შეეძლოთ სხვა ბიბლიოთეკებიდან დამოუკიდებლად ისარგებლონ წიგნით.

5. დაევალოს დაწყებითი და საშუალო სკოლის სამმართველოს:

ა) 1949 წლის პირველ იანვრამდე დასტაბოს საბიბლიოთეკო კოლექტორის მუშეობით საბიბლიოთეკო აღრიცხვის ფორმები და ამ ფორმებით უზრუნველჭყოს ყველა სკოლა.

ბ) 1949 წლის პირველ სექტემბრამდე დაამუშავოს სასკოლო ბიბლიოთეკებისათვის სახელმძღვანელოები: „სასკოლო ბიბლიოთეკის ორგანიზაცია“ და „ათწილადი კლასიფიკაციის ტაბულები“.

გ) უზრუნველჭყოს სასკოლო ბიბლიოთეკების მუშაობის სისტემატურად შემოწმება და ამ მხრივ მოწინავე სკოლების მუშაობის განზოგადოება.

6. დაევალოს მისწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის დირექციას:

ა) სისტემატურად მოაწყოს ქალაქებსა და რაიონებში სასკოლო ბიბლიოთეკის გამგეთათვის სემინარები;

ბ) ზატეხულის პერიოდში გაითვალისწინოს ერთთვიან კურსებზე არა ნაკლებ 100 სასკოლო ბიბლიოთეკის მღშაკის გადამზადება.

ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1948 წ. 23 ნოემბრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების მინისტრი ვ. კუპრაძე



დამტკიცებულია.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრის მოადგილე მ. ბურჭულაძე
1948 წლის 29 ნოემბერი

I. სასკოლო ბიბლიოთეკების ამოცანები

სასკოლო ბიბლიოთეკა ყალიბდება თითოეულ დაწყებით, რვაწლიან და საშუალო სკოლასთან.

სასკოლო ბიბლიოთეკა ხელს უწყობს მოსწავლეთა გონებრივ განვითარებას, მათ მიერ შეძენილი ცოდნის გაღრმავებას, მათში მაღალმორალურ თვისებათა და ესთეტიკურ გრძნობათა აღზრდას; აჩვენებს მოსწავლეებს წიგნით დამოუკიდებლად სარგებლობას, აყვარებს მათ წიგნს და უხვითარებს მისდამი ფრთხილი მოპყრობის ჩვევას.

II. სასკოლო ბიბლიოთეკების მუშაობა

1. სასკოლო ბიბლიოთეკა მუშაობს დანიშნულ დღეებსა და საათებში სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული განრიგითა და გეგმით. ბიბლიოთეკის სამუშაო გეგმაში გათვალისწინებულია სამუშაოთა შემდეგი სახეები: მუშაობა აბონემენტზე, მუშაობა სამკითხველოში, აქტივთან და მშობლებთან და მასობრივი მუშაობა.

2. ბიბლიოთეკარის მუშაობაში შედის:

ა) წიგნის, ჟურნალისა და გაზეთის გაცემა; მოსწავლეთათვის ახლად შემოსული ლიტერატურის გაცნობა;

ბ) მკითხველის ინტერესის შესწავლა; წაკითხულის შესახებ საუბრის გამართვა, მკითხველთა კონფერენციის მოწყობა და სხვა;

გ) მოსწავლეებზე დახმარება სიტყვარებით და ცნობარების სარგებლობის დროს და აგრეთვე წერიითი და სხვა სამუშაოებისათვის მასალის შერჩევაში, დახმარება წრეობრივი მუშაობის ჩატარებისას;

დ) მასობრივი მუშაობა წიგნით, გაზეთით და ჟურნალით; კითხვის, თბრობის, ლექციის, წიგნის საღამოს და სხვათა ორგანიზება მოსწავლეთათვის;

ე) მოწინავე, კითხვის მოყვარულ, მოსწავლეთაგან აქტივის ჩამოყალიბება იმ მიზნით, რათა ბიბლიოთეკის მუშაკს დახმარება გაეწიოს მოსწავლეთათვის წიგნის შერჩევისა და მათზე წიგნის გაცემის საქმეში, და, აგრეთვე, თვალყურის დევნებაში მოსწავლეთაგან წიგნის დროზე დაბრუნებისა და წიგნის ფაქიზად სმარების მხრივ;

ვ) მოსწავლეთა მშობლებისათვის მოხსენებებისა და კონსულტაციების მოწყობა ბავშვთა კითხვის, საუბრებისა და ხმამაღლი კითხვის საკითხების შესახებ;

ზ) მოსწავლეთათვის ბიბლიოთეკის მნიშვნელობისა და ორგანიზაციის, წიგნით სარგებლობის და წიგნის ფაქიზად ხმარების წესების გაცნობა.

III. ბიბლიოთეკარის უფლება და მოვალეობა

1. ბიბლიოთეკარის თანამდებობა ამტკიცდება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსაგან დამტკიცებული ტიპობრივი შტატების შესაბამისად.

2. რვაწლიან და საშუალო სკოლაში ბიბლიოთეკარის თანამდებობაზე ინიშნება ისეთი პირი, რომელსაც აქვს პედაგოგიური და სპეციალური საბიბლიოთეკო განათლება.

დამოუკიდებელ დაწყებით სკოლაში ბიბლიოთეკის ხელმძღვანელობა ეკისრება ერთ-ერთ მასწავლებელს.

3. ბიბლიოთეკარის შრომის გასამრჯელოს ანაზღაურება ხდება სსრ კავშირის სახ. კომ. საბჭოს 1944 წ. 16.VIII, № 1114 დადგენილების შესაბამისად.

4. ბიბლიოთეკარი ემორჩილება სკოლის დირექტორს, მას აქვს მასწავლებლებთან მჭიდრო კავშირი, სარგებლობს მათი მითითებებით ბიბლიოთეკის წიგნებით შევსებისა და მოსწავლეებზე წიგნების გაცემის დროს.

5. ბიბლიოთეკარი ითვლება პედაგოგიური კოლექტივის წევრად.

6. ბიბლიოთეკარი მოვალეა სისტემატურ კითხვაში ჩააბას ყოველი მოსწავლე, დაეხმაროს თითოეულ მათგანს მისი ასაკისა და მოთხოვნილების მიხედვით აუცილებელი ლიტერატურის შერჩევაში და ამ მუშაობაში იხელმძღვანელოს მასწავლებელთა მითითებით და თავისი საკუთარი დაკვირვებით.

7. იგი მოვალეა სისტემატურად აწარმოოს წიგნის პროპაგანდა გავოფენის, სარეკლამნო სიის, ხმამაღალი კითხვისა და მოხსენების საშუალებით, მოათავსოს კედლის გაზეთში წერილები წიგნის შესახებ.

8. აწარმოოს მიმდინარე მუშაობა, გასცეს წიგნი, ჟურნალი და გაზეთი სახლში ან სამკითხველო დარბაზში წასაკითხად და თვალყური ადევნოს წიგნებისადმი წესიერად მოპყრობას.

9. იქონიოს სრულ წესრიგში მთელი საბიბლიოთეკო მეურნეობა, აწარმოოს წიგნობრივი ფონდის აღრიცხვა საბიბლიოთეკო ტექნიკის მინიმუმის მიხედვით.

11. შეადგინოს კატალოგები, ჩაატაროს ბიბლიოთეკის ინვენტარიზაცია, მიმდინარე მიმოწერა და ანგარიშგება, აწარმოოს საბიბლიოთეკო სტატისტიკა დადგენილი ფორმით.

12. ბიბლიოთეკარი ნივთიერად პასუხისმგებელია საბიბლიოთეკელების დაცვაზე.

13. ბიბლიოთეკარი აღდგენს ანგარიშს ბიბლიოთეკის მუშაობის შესახებ და მისი დირექტორისაგან დამტკიცების შემდეგ გზავნის სახალხო განათლების განყოფილებაში დაწესებულ ვაღაში.

IV. ბიბლიოთეკის შენობა და მოწყობილობა

1. სკოლის ადმინისტრაცია სასკოლო ბიბლიოთეკისათვის გამოაკეთებს შესაფერის, იზოლირებულ ბინას, სადაც ეს შესაძლებელია ორ ოთახს, ერთ-ერთ ოთახს ცალკე სამკითხველოსათვის.

სკოლაში, სადაც მოსწავლეთა რაოდენობა მცირეა და ცალკე ბინა საჭირო არ არის, წიგნები დაცული უნდა იქნას სათანადო დაკრტილ კარადაში.

2. თითოეულ ბიბლიოთეკას უნდა ჰქონდეს მოწყობილობის მინიმუმი: წიგნის კარადა ან თარო, სამუშაო მაგიდა, წიგნის გასაცემი მაგიდა, საგამოფენო ფარი და ვიტრინა, საკატალოგო და მკითხველთა ფორმულარების ჩასაწყობი ყუთები.

3. სამკითხველოში უნდა იდგეს მაგიდები, სკამები მკითხველთათვის, მაგიდა სამკითხველოში მომუშავეთათვის, ყუთი სარეგისტრაციო ბარათებით.

4. ბიბლიოთეკა უზრუნველყოფილი უნდა იყოს საბიბლიოთეკო ტექნიკის ყველა აუცილებელი მასალით: საინვენტარო წიგნით, ბიბლიოთეკის ფონდის მოძრაობის წიგნით, საკატალოგო ბარათებით, მკითხველთა ფორმულარებით, სტატისტიკური ანგარიშის ბლანკებით

V. ბიბლიოთეკის ბიუჯეტი

1. სასკოლო ბიბლიოთეკა ითვლება სკოლის განუყოფელ ნაწილად და ფინანსდება სკოლის ხარჯთაღრიცხვის თანხებით.

2. პასუხისმგებლობა ბიბლიოთეკის მთელ მუშაობაზე, წიგნობრივი ფონდის დაცვაზე, თავის დროზე სახსრების გამოყოფაზე, ბიბლიოთეკის დაკომპლექტებაზე, საბიბლიოთეკო მეურნეობის სწორად მართვაზე (წიგნობრივი ფონდის ინვენტარიზაცია, კატალოგების ორგანიზაცია და სხვა) ეკისრება სკოლის დირექტორს (ვამგეს).

3. სკოლის ხარჯთაღრიცხვის მე-7 პუნქტში მოცემული სახსრები, ბიბლიოთეკის მიერ გამოყენებული უნდა იქნას სკოლის დირექტორის (ვამგეს) ნებართვით წიგნის, ჟურნალის, გაზეთის შესაძენად.

ბიბლიოთეკის მიერ ბიუჯეტით გათვალისწინებულ სახსრებს გარდა, სკოლა იყენებს ბიბლიოთეკის შეფის და სპეციალურ სახსრებს.

სასკოლო ბიბლიოთეკების საბიბლიოთეკო ტიპიკის მინიმუმი (ინსტრუქცია და აღრიცხვის ფორმები)

ბიბლიოთეკის ფონდის აღრიცხვა

1. ბიბლიოთეკაში ყველა ახლად შემოსული წიგნი მიღებული უნდა იქნას თანმხლები დოკუმენტის (ანგარიში, ანგარიშის ასლი, ზედნადები და სხვა) მიხედვით.

ბიბლიოთეკაში უთანმხლებდოკუმენტოდ შემოსულ წიგნზე, მაგალითად, ანგარიშის გარეშე ნაყიდ ან რომელიმე ორგანიზაციისაგან თუ კერძო პირისაგან საჩუქრად გადმოცემულ წიგნზე დგება აქტი (იხ. ფორმა № 1).

შენიშვნა: აღნიშნული წესი არ ვრცელდება იმ ჟურნალებსა და გაზეთებზე, რომლებსაც ბიბლიოთეკა იღებს წინასწარი გამოწერით.

2. თუ წიგნების მისაღებ პარტიაში აღმოჩნდება რაიმე დანაკლისი (დაკლება, ერთი წიგნის შეცვლა მეორით, წიგნის დაზიანება და სხვა), ბიბლიოთეკა ადგენს აქტს ორ ეკზეპლარად, მათგან ერთი ეგზემპლარი რჩება ბიბლიოთეკაში, მეორე გადაეცემა წიგნების გამომგზავნ დაწესებულებას (ბუკოლექტორი, წიგნის მალაზია და სხვა) დანაკლისის, შეცდომით შეცვლილი ან დაზიანებული წიგნის გადმოგზავნის მოთხოვნით (იხ. ფორმა № 2).

შენიშვნა: აქტი არ დგება იმ შემთხვევაში, როცა შესაძლებელია მაშინვე მიღება დანაკლისისა ან გაუგებრობის გამოსწორება.

3. ბიბლიოთეკარი წიგნების მიღებას ხელს აწერს თანმხლებ დოკუმენტზე, აღნიშნავს მასზე მიღების თარიღს, რის შემდეგ თეგავს ყველა წიგნს.

მიღებული წიგნების საინვენტარო წიგნში ჩაწერის შემდეგ თანმხლებ დოკუმენტზე აღინიშნება მათი საინვენტარო ნომრები შემდეგი ფორმით: „წიგნები ჩაწერილია ინვენტარში №№“

4. რეწლიანი და საშუალო სკოლის ბიბლიოთეკები სავალდებულო წესით ატარებენ წიგნობრივი ფონდის ორი სახის აღრიცხვას:

- 1) ჯამობრივს — ბიბლიოთეკის ფონდის მოძრაობის წიგნში და
- 2) ინდივიდუალურს — საინვენტარო წიგნში.

5. ბიბლიოთეკის ფონდის მოძრაობის წიგნის დანიშნულებაა ბიბლიოთეკაში შემოსული და გასული წიგნების, ჟურნალებისა და ბროშურების ჯამობრივი აღრიცხვა. წიგნი შედგება ორი ნაწილისგან: ნაწილი I. წიგნების შემოსვლა; ნაწილი II. წიგნების გარიცხვა (იხ. ფორმა № 3).

6. შემოსული წიგნების ყოველი პარტია, რომელსაც ბიბლიოთეკა მიიღებს ერთი თანხლები დოკუმენტის მიხედვით, დაუყოვნებლივ ჩაიწერება ბიბლიოთეკის ფონდის მოძრაობის წიგნში (ნაწილი I, წიგნების შემოსვლა).

7. ბიბლიოთეკის ფონდის მოძრაობის წიგნის შემოსული ნაწილი იწყება ყოველი ახალი წლიდან № 1.

8. ბიბლიოთეკის მიერ ერთი თანხლები დოკუმენტით მიღებული წიგნების ჩასაწერად განკუთვნილია ერთი სტრიქონი.

9. ჟურნალები და გაზეთები, რომლებიც მიიღებიან ხელისმოწერით აღირიცხება ბიბლიოთეკის ფონდის მოძრაობის წიგნში მათი ინვენტარში ჩაწერის შემდეგ.

10. წიგნთა რაოდენობა და ღირებულება მოსწავლეთათვის და მასწავლებელთათვის აღირიცხება ცალ-ცალკე.

11. ხელისმოწერით მიღებული ჟურნალები და გაზეთები ბიბლიოთეკის ფონდის მოძრაობის წიგნში ჩაიწერება: ჟურნალები კვარტალურად, გაზეთები კვარტალურ ან ნახევარწლიურ კომპლექტად დაყდაების ან აკინძვის შემდეგ.

12. როცა ბიბლიოთეკის ფონდის მოძრაობის წიგნის გვერდი შეივსება, ბიბლიოთეკარი აჯამებს და გადააქვს იგი მეორე გვერდზე.

13. გარიცხული წიგნების აღრიცხვა წარმოებს ბიბლიოთეკის ფონდის მოძრაობის წიგნის მეორე ნაწილში (წიგნების გარიცხვა). გარიცხული წიგნების ჩაწერას საფუძველს შეადგენს აქტა წიგნების ბიბლიოთეკიდან გარიცხვის შესახებ.

თითოეული აქტის ჩასაწერად განკუთვნილია ერთი სტრიქონი. ამასთანავე აქტების ნუმერაცია წლიდან წლამდე გრძელდება შეუწყვეტლივ.

14. სასწავლო წლის დასასრულს და აგრეთვე საბიუჯეტო წლის დასასრულს, ბიბლიოთეკის ფონდის მოძრაობის წიგნის მონაცემები შეჯამდება, ე. ი. დადგინდება რამდენი წიგნი შემოვიდა, გარიცხა და შეადგენს წლის დასაწყისისათვის.

შენიშვნა: 1. ბიბლიოთეკაში, სადაც ბიბლიოთეკის ფონდის მოძრაობის წიგნი არ იყო შემოღებული, უნდა შემოიღონ. ამისათვის საჭიროა გამორკვევა წიგნთა რაოდენობისა და ღირებულებისა და ცოდნის დარგებად განაწილებისა. ამ ცნობების მიღება შეიძლება საინვენტარო წიგნიდან ბიბლიოთეკის შემოწმების შემდეგ. მიღებული მონაცემები ჩაიწერება ბიბლიოთეკის

ფონდის მოძრაობის წიგნის პირველი (წიგნების შემოსვლა) ნაწილის პირველ სტრიქონზე შემდეგნაირად: „ამ რიცხვისათვის ბიბლიოთეკის ფონდი შეადგენს...“, რის შემდეგაც ჩაიწერება წიგნთა მორიგი შემოსვლა.

2. თუ ბიბლიოთეკის ფონდის მოძრაობის წიგნი გასაყიდად არ იწოდება მისი შეცვლა დასაშვებია რვეულით, რომელშიც დაწესებული ფორმის გრაფები იქნება გაკეთებული.

15. ბიბლიოთეკაში შემოსული ყველა გამოცემის წიგნი, ჟურნალი, ბროშურა სავალდებულოა ჩაიწეროს საინვენტარო წიგნში (ფორმა № 4). თითოეული წიგნი ინვენტარში ჩაიწერება ცალკე, მხოლოდ მისთვის განკუთვნილი ნომრით.

16. საინვენტარო წიგნი, როგორც უმნიშვნელოვანესი დოკუმენტი, უნდა დაყდავდეს, გვერდები წინასწარ დაინომროს, გაეყაროს ზონარი, დაილუქოს და შემოწმდეს სკოლის დირექტორის (გამგის) მიერ.

17. საინვენტარო წიგნის განახლება დასაშვებია მხოლოდ რაიონის განათლების განყოფილების ნებართვით.

18. ბიბლიოთეკაში შემოსული ყველა ჟურნალი ჩაიწერება საინვენტარო წიგნში. სტელტანიანი ჟურნალი, როგორცაა მაგალითად „მნათობი“, ჩაიწერება მიღებისთანავე თითოეული ნომერი ცალკე-მცირემოცულობის ჟურნალი, როგორცაა მაგალითად, „დილა“, ჩაიწერება 3 თვიან და 6 თვიან კომპლექტებად დაყდავებული, როგორც „ერთი“ და თითოეულ კომპლექტს დაესმება ცალკე საინვენტარო ნომერი.

კვარტალში ერთხელ საინვენტარო წიგნში ჩაწერის საფუძველზე დგება კვარტალის განმავლობაში შემოსული ჟურნალების მიღების აქტი, რომელიც ჩაიწერება ბიბლიოთეკის ფონდის შემოსულ (პირველ) ნაწილში.

გაზეთები საინვენტარო წიგნში ჩაიწერება კვარტალურ ან ნახევარწლიურ კომპლექტებად დაყდავების ან აკინძვის შემდეგ.

საინვენტარო წიგნში რეგისტრირებული ჟურნალი და გაზეთი ბიბლიოთეკის სააღრიცხვო დოკუმენტებში გათანაბრებულია წიგნთან.

19. ჟურნალის ყველა მორიგი ნომრის თავის დროზე მიღების შესამოწმებლად, მათი მიღება აღინიშნება შემოსულ პერიოდულ გამოცემათა სარეგისტრაციო რვეულში (იხ. რვეულის სანიმუშო ფორმა № 5) ან სპეციალურ კარტოთეკაში, რომელიც შედგება ჟურნალების სარეგისტრაციო ბარათებისაგან. (იხ. ფორმა № 6). ჟურნალის თითოეულ სახელწოდებაზე დგება ცალკე ბარათი. რვეულში რეგისტრაციისას კი ჟურნალის თითოეულ სახელწოდებას განეკუთვნება ცალკე სტრიქონი.

ასეთივე სახის დამატებითი რეგისტრაციის წარმოება საჭიროა ხელის მოწერით მისაღებ სხვა გამოცემაზედაც (თხზულებათა კრებული, ენციკლოპედიები და სხვა).

გაზეთის აღრიცხვა წარმოებს გაზეთის სარეგისტრაციო ბარათზე (იხ. ფორმა № 7).

20. ჟურნალების და სხვა გამოწერილი გამოცემების სარეგისტრაციო ბარათზე აღრიცხვა არ სცვლის მათი საინვენტარო წიგნის აღრიცხვას, ან პირ-ქით.

21. წიგნების სხვა ორგანიზაციებისათვის გადაცემის, მოძველებული გამო მათი ამოღების, მკითხველთაგან წიგნების დაკარგვის და ბიბლიოთეკიდან წიგნის გარიცხვის ყოველ შემთხვევაში დგება აქტი მათი გარიცხვის შესახებ. აქტში შემდეგი ცნობები უნდა იქნას შეტანილი: 1) საინვენტარო ნომერი, 2) ავტორი და სათაური, 3) ფასი, 4) განყოფილება. აქტში უთუოდ დასახელებულ უნდა იქნას გარიცხვის მიზეზი (იხ. ფორმა № 8).

თითოეულ აქტს ხელს აწერს ბიბლიოთეკის გამგე და სკოლის დირექტორი. აქტში აღნიშნული გამოცემანი ამოღებული უნდა იქნას ინვენტარიდან, გრაფაში „აღნიშვნა წიგნის გარიცხვის შესახებ“ ჩაიწერება აქტის თარიღი და ნომერი.

გარიცხული წიგნის საინვენტარო ნომერი საკატალოგო ბარათზე გადაიხაზება, ხოლო თუ ამ სახელწოდების წიგნის უკანასკნელი ეგზემპლარიც გაირიცხება, უნდა ამოღებულ იქნას ამ წიგნზე შედგენილი ყველა ბარათი.

II. ბიბლიოთეკის ფონდის შემოწმება

1. ბიბლიოთეკა, რომელსაც 10.000 ტომამდე აქვს, მოწმდება ყოველწლიურად; 10.000 ცალზე მეტის მქონე კი ორ წელიწადში ერთხელ. შემოწმება ხდება სასწავლო წლის დასრულების შემდეგ.

2. ძირითადი მოთხოვნილებანი შემოწმებისადმი: ა) შემოწმების სიზუსტე, ბ) მისი შედეგების წესიერი გაფორმება.

3. ბიბლიოთეკის ფონდის შემოწმებაში მონაწილეობის მისაღებად დირექტორი აუცილებლად ჰყოფს ერთ მუშაკს (პედაგოგონალიდან), როგორც სკოლის წარმომადგენელს.

4. შემოწმება წარმოებს წიგნობრივი ფონდის საინვენტარო წიგნის ჩანაწერებთან უშუალო შედარებით.

5. ბიბლიოთეკის წიგნობრივი ფონდის შემოწმების შედეგების შესახებ დგება დადგენილი ფორმის აქტი, რომელსაც ამტკიცებს დირექტორი (იხ. ფორმა № 9).

6. ერთი მუშაკისაგან მეორეზე ბიბლიოთეკის გადაცემისას, აუცილებელია სავალდებულო წესით ჩატარდეს წიგნების შემოწმება ინვენტარით შესაფერისი აქტის შედგენით¹⁾. აქტს ხელს აწერს რო-

¹⁾ აქტში წიგნებს გარდა ჩამოთვლილი უნდა იქნას ბიბლიოთეკის სააღრიცხვო დოკუმენტები.

გორც ძველი გადაშარებელი მუშაკი, ისე ახალი ჩამშარებელი მუშაკი.

შენი შენა: ბიბლიოთეკის გადაშარება ახალ მუშაკზე სათანადო განმარტების გარეშე დაუშვებელია, და ასეთ შემთხვევაში დანაკლისის წიგნების თიერი პასუხისმგებლობა ეკისრება სკოლის დირექტორს.

III. წიგნის ბიბლიოთეკური დამუშავება

1. ბიბლიოთეკაში შემოსული ყველა წიგნი ბიბლიოთეკურად უნდა დამუშავდეს: დაითეგოს ოვალური თეგით, დაესვას საინვენტარო ნომერი, დაეწებოს იარლიყი და ჯიბე, დაესვას შიფრი, შედგენილ და დაწებებულ იქნას ვადაზე დაბრუნების ფურცელი, შედგენილ იქნას წიგნის ფორმულარი და საკატალოგო ბარათები.

2. თანმხლებ დოკუმენტთა შეჯერების შემდეგ, თითოეულ წიგნზე უნდა დაისვას ბიბლიოთეკის თეგი სკოლის სახელწოდების და ნომრის აღნიშვნით. თეგი უნდა იყოს ოვალური ფორმისა. წიგნი ითეგება თავფურცელზე და მე 17 გვერდზე. თეგი დაისმის ქვესათაურსა და ბექდილობის ცნობებს შორის. ითეგება აგრეთვე ჩართულ და ცალკე ფურცლებზე მოთავსებული ილუსტრაციებიც, რომლებიც გვერდთა ნუმერაციაში არ შედის. დათეგვით ილუსტრაცია არ უნდა გაფუჭდეს.

შენი შენა: 1. თეგად რგვალი ბექდის ხმარება დაუშვებელია, 2. თეგზე არ უნდა დაიწეროს საინვენტარო ნომერი.

3. ინვენტარის ნომერი იწერება წიგნის ორ ადგილას—თავფურცელსა და წიგნის მე-17 გვერდზე შუა ადგილას ყუის პარალელურად და მისგან ერთი სანტიმეტრის დაშორებით.

4. თითოეულ წიგნზე უნდა შედგეს წიგნის ფორმულარი და უნდა დაეწებოს ჯიბე ყდის ან კანის შიდა მხარეზე ყდის ან კანის ქვედა ნაწილიდან 2 სანტიმეტრის დაშორებით.

5. წიგნის დაბრუნების ვადის აღნიშვნისათვის ფორზაცზე (ფორზაცის არ ქონების შემთხვევაში—ყდის ან კანის შიდა ნაწილზე) უნდა დაეწებოს ვადის საკონტროლო ფურცელი.

6. იარლიყი, რომელზეც იწერება წიგნის შიფრი, დაეწებება ყუის ქვედა ნაწილზე ქვემო მხარიდან 2 სანტიმეტრის დაშორებით, თხელ წიგნზე იარლიყი დაეწებება ყდის (კანის) მარცხენა ზედა კუთხეში.

შენი შენა: იმ შემთხვევაში, როცა იარლიყი წიგნის რაიმე ცნობას ფარავს, იგი ქვევით უნდა გაკეთდეს.

7. ყველა წიგნი უნდა დაყდავდეს. პირველ რიგში დაყდავდება ღილი ბრუნვის ნქონე, ძვირფასი და ღმცროსი ასაკის წიგნები. „ქელი“ ტანის ჟურნალები დაყდავდება ცალკე ხაკვეთებად მცლების მიხედვით,

„თხელი“ ტანის ჟურნალები დაყდავდება ნახევარწლიურ და კვარტალურ (სისქის მიხედვით) კომპლ კტებად.

8. მთელი სამეცნიერო ლიტერატურა უნდა დაკლასიფიცირდეს ე. ი. დაიყოს შესაფერის დარგებად დეციმალური კლასიფიკაციის მიხედვით.

9. მხატვრული ლიტერატურის წიგნები კლასიფიცირდება.

10. წიგნის შიფრი იწერება თავფურცლის მარჯვენა ზედა კუთხეში კიდებხდან 2 სანტიმეტრის დაშორებით წილადის სახით და შედგება დეციმალური კლასიფიკაციის ინდექსისა და კეტერის საავტორო ნიშნისაგან.

11. რეაწლიანი და საშუალო სკოლის ბიბლიოთეკებს უნდა ჰქონდეთ სისტემატური და ანბანური კატალოგები. დიდ სასკოლო ბიბლიოთეკაში სასურველია საგნობრივი კატალოგიც.

შენი შვნა: კატალოგების შედგენისას დასაშვებია გამოყენება ბიბლოგეტორიდან მიღებული ბეჭდური საკატოლოგო ბარათებისა. ბეჭდური ბარათების უქონლობის შემთხვევაში ბარათები უნდა შედგენილ იქნას ბიბლიოთეკური ხელით, ან დაიბეჭდოს საბეჭდო მანქანაზე. სტანდარტული ბარათის ზომა: განი—12, ნ სანტ. სიმაღლე—7,5 სანტ.

12. საკატალოგო ბარათზე წიგნის აღწერა წარმოებს თანახმად წიგნის აღწერის მასობრივ ბიბლიოთეკაში მიღებული წესისა.

13. სისტემატური კატალოგი სრულად უნდა ასახავდეს ბიბლიოთეკის წიგნობრივ შემადგენლობას. თითოეული წიგნის დამუშავებასთან ერთად უნდა დგებოდეს საკატალოგო ბარათებიც.

წიგნის ხმარებიდან გარიცხვისას კატალოგებიდან მაშინვე ამოღებული უნდა იქნას მისი შესაბამისი ბარათები.

14. აღნიშნულის გარდა ბიბლიოთეკის წიგნობრივი ფონდის უკეთესი გამოყენების მიზნით სასურველია შედგეს სარეკომენდაციო სიები და თემატური კატალოგები, შესაბამისად კითხვის ხელმძღვანელობის გეგმისა და აგრეთვე ალბომები უმცროსი კლასის მოსწავლეებისათვის.

15. კატალოგს უნდა ექნეს სათანადო გარეგნული გაფორმება. საჭიროა გამყოფი ბარათების სათანადო რაოდენობა, რომელზეც იწერება ინდექსი და მისი განმარტება—სისტემატურ კატალოგში, ასო ან მარცვალი—ანბანურ კატალოგში. ბარათები საკატალოგო ყუთში უნდა ეწყოს ხალვათად; კატალოგში არ უნდა იყოს გაცვეთილი ბარათები.

16. მკითხველთა შორის საჭიროა კატალოგის პროპაგანდის ყოველმხრივ წარმოება მკითხველთა დაწმარების მიზნით თვალსაჩინო ადგილას უნდა გამოიკრას კატალოგით სარგებლობის წესი.



1. წიგნები თაროზე უნდა გაიწყოს სისტემატურ-ანბანური რიგით დეციმალური კლასიფიკაციის განყოფილებებად და ქვეგანყოფილებებად, ხოლო განყოფილებებსა და ქვეგანყოფილებებში — საავტორო ნიშნის მიხედვით.

2. თუ ბიბლიოთეკური ფონდი გაწყობილია რამდენიმე სტელაჟსა ან კარადაში, მონათესავე განყოფილების წიგნები სასურველია გაიწყოს ერთიმეორის გვერდით, ასე, მაგალითად მიზანშეწონილია ერთმანეთის გვერდით მოთავსდეს განყოფილებანი 1, 2, 3 და 9.

3. ხმარებაში უფრო მეტად ძყოფი და აქტუალური ლიტერატურის შემცველი განყოფილებები უნდა მოთავსდეს გასაცემ ადგილთან ახლოს.

შენიშვნა: დაწყებითი სკოლის ბიბლიოთეკაში დასაშვებია სამეცნიერო წიგნები გაიწყოს კლასიფიკაციის ძირითადი განყოფილების გამომზატველი ინდექსით შემდეგი თანმიმდევრობით:

- ს — საერთო გახყოფილება
- 1 — ფილოსოფია
- 2 — ანტირელიგიური ლიტერატურა
- 3 — საზოგადოებრივ-პოლიტიკური ლიტერატურა
- 4 — ენათმეცნიერება
- 5 — მათემატიკა და ბუნებისმეტყველება
- 6 — ტექნიკა, ძედიცინა, სოფლის მეურნეობა
- 7 — ხელოვნება, სპორტი
- 8 — ლიტერატურა, ლიტერატურათმცოდნეობა და კრიტიკა
- 9 — ისტორია, ეთნოგრაფია, გეოგრაფია.

4. მარქსის, ენგელსის, ლენინისა და სტალინის ყველა ნაწარმოები თავსდება ერთ ადგილას ინდექსით — 3 კ¹ - 3 კ⁴. განყოფილებებში, რომელშიც თავსდება ცალკეული ნაწარმოებნი და მარქსის-ლენინის-ზმის კლასიკოსების თემატური კრებულები, უნდა ჩაიდვას სპეციალური მუყაო ახ ფანერი ამ საკითხზე მარქსის, ენგელსის, ლენინისა და სტალინის შრომების სახელწოდებათა წარწერით.

5. ცალკე გაიწყობა აგრეთვე: 1) წიგნები 1-2 კლასის, 2) მეთოდური ლიტერატურა პედაგოგთათვის, 3) წინა წლების ჟურნალები. მიიღინარე წლის ჟურნალები ინახება გაცემის ახლოს. საცნობო გამოცემა (ენციკლოპედიები, სიტყვარები და მისთანანი) ცალკე გაიწყობა და როგორც წესი გაიცემა მხოლოდ სამკითხველოში.

6. წიგნები თაროზე უნდა გაიწყოს ზემოდან, მარცხნიდან მარჯვნივ, ყოველი თაროს ცოლოს უხდა დატოვებული იქნას თავისუფალი ადგილი დაახლოებით 20-25 სანტ. ახლადშეძენილი ლიტერატურისათვის.

7. წიგნების გვერდზე გადავარდნისაგან დასაცავად, წიგნების რიგის ბოლოს დაიდგმება სპეციალური წიგნსაყენი.

8. თაროებსა და კარადებს უნდა გაუკეთდეს წარწერა, რომელზეც განყოფილებას ან ქვეგანყოფილებას ეკუთვნის ამ თაროებსა და კარადებში მოთავსებული წიგნები. ასეთივე წარწერა უნდა გაკეთდეს თაროების დასაწყისში საბჯენებზე, თვალწვდომის სიმაღლეზე.

9. ერთი განყოფილების, ან ქვეგანყოფილების, წიგნების მეორესაგან გამოსაცალკავებლად განყოფილებასა და ქვეგანყოფილებას შორის სასურველია ჩაიდგას დიქტის, ან მუყაოს გამყოფი, რომელზეც გარკვეულად უნდა იქნას დაწერილი ინდექსი და განყოფილების ან ქვეგანყოფილების სახელწოდება. გამყოფი იდგმება წიგნებ შორის გვერდულად.

10. თუ ბიბლიოთეკას ცალკე ოთახი არა აქვს, წიგნები დაცულ უნდა იქნას დაკეტილ კარადაში.

V. წიგნის სახლში გაცემა (აბონემენტი)

1. ბიბლიოთეკის სამუშაო დღეები და საათები, და აგრეთვე კლასების მიხედვით წიგნების გაცემის განრიგება ნაჩვენები უნდა იყოს ბიბლიოთეკის შესავალ კარებთან საგანგებო აბრაზე.

2. ბიბლიოთეკამ წიგნებით სარგებლობის წესი უნდა გამოაქრას თვალსაჩინო ადგილზე და გააცნოს იგი ჩაწერის დროს თითოეულ მკითხველს (იხ. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი. დამატება № 1).

3. ბიბლიოთეკაში თითოეულ ახლადჩაწერილ მკითხველზე ივსება მკითხველის ფორმულარი (იხ. ფორმა № 10), რომელშიც იწერება სკოლის დასახელება, მკითხველის გვარი, სახელი, მამის სახელი, ეროვნება, მშობლის საქმიანობა, სახლის მისამართი, სქესი, წლოვანება, კლასი, პიონერი, კომკავშირელი, (აღინიშნება ხაზის გასმით).

შენიშვნა: 1. მკითხველის ფორმულარის დაბეჭდილი ფორმა თუ არ იშოვება, დასაშვებია მისი სქელი ქაღალდისაგან გაკეთება.

2. მასწავლებელ მკითხველებზე და სკოლის დანარჩენ მუშაკებზე უნდა გამოყენებულ იქნას მასობრივ ბიბლიოთეკაში დიდ მკითხველებთან მიღებული მკითხველის ფორმულარი.

4. ფორმულარზე დაიწერება რიგითი ნომერი, რომელიც აღნიშნულ მკითხველზე დარჩება სასწავლო წლის ბოლომდე (მკითხველთა ხელახალ რეგისტრაციამდე). ბიბლიოთეკიდან მკითხველის გასვლის შემთხვევაში მისი რიგითი ნომერი დაუკავებელი რჩება და იგი არ შეიძლება მიეკუთვნოს სხვა მკითხველს ხელახალ რეგისტრაციამდე. ბიბლიოთეკა ყოველწლიურად აწარმოებს სასწავლო წლის დასაწყისიდან (1 სექტემბრიდან) მკითხველთა ხელახალ აღრიცხვას.

5. მკითხველზე სახლში გაცემულ წიგნი ჩაიწერება მკითხველის ფორმულარში დაბრუნების ვადის, საინვენტარო ნომრის, განყოფილების ავტორისა და წიგნის სათაურის აღნიშვნით (იხ. ფორმა №10, შენიშვნა მხარე).

6. დღის განმავლობაში ჩატარებული მუშაობის შეჯამების შემდეგ, მკითხველთა ფორმულარები, მასში ჩადებული წიგნთა ფორმულარებით ჩალაგდება კლასების მიხედვით ყუთის შესაფერის ტიხრში. თითოეული კლასის ფორმულარები გაიწყობა მკვი ხველთა გვარების ანბანზე.

7. მკითხველი ვალდებულია ხელი მოაწეროს თავის ფორმულარში თითოეულ მიღებულ წიგნზე. წიგნის დაბრუნებისას მკითხველის ხელმოწერა მისივე თანდასწრებით უქმდება გადახაზვით.

8. წიგნის დაბრუნების ვადა მისი გაცემის დროს აღინიშნება წიგნის დაბრუნების ვადის ფურცელზე. წიგნის ფორმულარში აღინიშნება წიგნის წამლები მკითხველის ფორმულარის ნომერი და წიგნის დაბრუნების ვადა.

9. ბიბლიოთეკამ ყოველდღიურად, სისტემატურად თვალყური უნდა ადევნოს წიგნის დროზე დაბრუნებას.

ბიბლიოთეკის წიგნის დაცვის საქმეში მნიშვნელოვანი როლი მკითხველთა შორის აღმზრდელობითა მუშაობამ უნდა შეასრულოს.

წიგნის დროულად დაბრუნებისათვის ბრძოლას, ბიბლიოთეკარი კლასის ხელმძღვანელთან, პედაგოგებთან და მოსწავლეთა ორგანიზაციებთან ერთად ეწევა.

10. სკოლის ადმინისტრაციამ მოსწავლეებზე და პედაგოგებზე სკოლიდან გასვლის, ან ზაფხულის პერიოდში მოსწავლეთა დასვენების და პედაგოგების შევბუღებაში ყოფნის პერიოდში არ უნდა გასცეს დოკუმენტები, მანამ, სანამ ისინი ცნობას არ წარმოადგენენ ბიბლიოთეკიდან შესახებ იმისა, რომ მათზე წიგნი არ ირიცხება.

წესის დარღვევის შემთხვევაში წიგნებზე ნივთიერი პასუხისმგებლობა დოკუმენტის გამცემ პირს ეკისრება.

VI. წიგნის სამკითხველოში გაცემა

1. სამკითხველოში, სადაც უმეტესად გაზეთები და ჟურნალები იცემა, მკითხველზე ფორმულარი არ ივსება. სპეციალურ რეგულში აღირიცხება მკითხველთა შემოსვლის რაოდენობა და გაცემული ჟურნალების და გაზეთების რაოდენობა.

2. იმ ბიბლიოთეკაში, სადაც სამკითხველოს ცალკე წიგნობრივი ფონდი აქვს, ან სადაც სამკითხველოს მუშაობის ცალკე საათებია

გამოყოფილი, თითოეულ მკითხველზე იესება ჩვეულებრივი, აბონემენტზე მიღებული ფორმულარი. მისწავლე მკითხველის დარბაზში ყოფნისას მის ფორმულარში ჩაიდება წაღებული წიგნის ფორმულარი რომელიც იქ რჩება მკითხველის წასვლამდე. გაცემული წიგნების ჩაწერა წარმოებს უშუალოდ გაცემისას.

3. სამკითხველოს მუშაობის აღრიცხვა წარმოებს ისეთსავე ფორმის ცალკე სტატისტიკურ დღიურში, როგორც აბონემენტზეა.

VII. მუშაობის აღრიცხვა

1. ბიბლიოთეკა მოვალეა აწარმოოს აღრიცხვა: 1) მკითხველის, 2) მომსვლელის, 3) გაცემული წიგნისა და 4) მასობრივი ღონისძიებისა. ამისათვის საჭირო სტატისტიკურ ცნობებს ბიბლიოთეკა იღებს ბიბლიოთეკის დღიურის ყოველდღიურ ჩანაწერებიდან (იხ. ფორმა № 11).

2. მკითხველთა რაოდენობა თითოეულ კლასში, აღრიცხება ამ კლასის მკითხველთა ფორმულარების რაოდენობის მიხედვით.

3. ბიბლიოთეკის თითოეული განყოფილება (აბონემენტი, სამკითხველო) აწარმოებს ცალკე დღიურს, ერთიანი, ბიბლიოთეკისათვის დადგენილი ფორმით. დღიურში მკითხველთა და გაცემულ წიგნთა რაოდენობის აღრიცხვასთან ერთად, ბიბლიოთეკამ ცალკე უნდა აწარმოოს მასობრივ ღონისძიებათა ჩაწერა. ამ ჩანაწერში უნდა აღინიშნოს: მასობრივ ღონისძიებათა ფორმა (ხმამალა კითხვა, თხრობა და სხვა), თემა, დამსწრეთა რაოდენობა.

შენიშვნა: დღიურის დაბეჭდილი ფორმის არ ქონების შემთხვევაში მისი შეცვლა დასაშვებია სათანადოდ გრატირებული რვეულით.

4. დღიურში მკითხველთა აღრიცხვისათვის განკუთვნილი ვრაფების შევსებისას ხელმძღვანელობენ შემდეგი წესით:

ა) აბონემენტის დღიურში „მკითხველად“ აღრიცხება თითოეული ცალკე პირი, რომელსაც წიგნი მიაქვს სახლში, ხოლო სამკითხველოს დღიურში — თითოეული პირი, რომელიც სამკითხველოში გატარებულია, როგორც მკითხველი.

შენიშვნა: 1. მკითხველთა აღრიცხვის დროს ერთმანეთისაგან უნდა გავარჩიოთ „მკითხველი“ „მომსვლელისაგან“. წლის განმავლობაში მოსწავლე რამდენჯერაც არ უნდა შემოვიდეს ბიბლიოთეკაში, ის როგორც „მკითხველი“ აღრიცხება ერთხელ — მისი ფორმულარის შევსების დღეს.

2. გარიცხულ მკითხველებად ითვლებიან ისეთი მოსწავლეები, რომლებიც გავიდნენ ამ სკოლიდან და აგრეთვე მკითხველები, რომლებმაც დროზე დაბარუნეს წიგნი, მაგრამ ამის შემდეგ ბიბლიოთეკით აღარ უსარგებლიათ 3 თვის განმავლობაში.

3. ეს წესი არ ვრცელდება დროებით გასულ მკითხველებზე, ე. ი. ისეთებზე, რომელთაც წინასწარ განაცხადეს განსახლდნენ დროით ბიბლიოთეკით სარგებლობის შემწყვეტის შესახებ.

საქართველო
ბიბლიოთეკა

ბ) თვის ბოლოს მკითხველთა ძველ რაოდენობას მიემატება მიბღინარე თვეში ჩაწერილი ახალი მკითხველების რაოდენობა, მიღებულ რიცხვს გამოაკლდება თვის განმავლობაში გასული მკითხველთა რაოდენობა. ნაშთი გვიჩვენებს შემდეგი თვის დასაწყისისათვის მკითხველთა რაოდენობას.

5. შემოსვლა აღირიცხება აბონემენტზე და სამკითხველოში დღის განმავლობაში შემოსული მკითხველების ფორმულარების რაოდენობის მიხედვით. შემოსვლა მკითხველებისა, რომლებიც მხოლოდ მიმდინარე პერიოდის წასაკითხად მოვიდნენ და აგრეთვე გაცემული ჟურნალები და გაზეთები აღირიცხება აღნიშვნით, რომელთაც ბიბლიოთეკარი სპეციალურ რეგულში აკეთებს.

შემოსვლად მკითხველისაგან ბიბლიოთეკაში თითოეული ცალკე მოსვლა ითვლება.

6. მასწავლებლები, რომელთაც ბიბლიოთეკიდან მიაქვთ წიგნი, აღირიცხება მარტო გრაფაში — „შეადგენს“. მასწავლებელთა ფორმულარები ცალკე ჩაიწყობა.

7. გაცემული წიგნების ბიბლიოთეკის დღიურში ჩაწერა წარმოებს ყოველდღიურად დღის განმავლობაში გაცემული წიგნების ფორმულარების დათვლის საფუძველზე. თვის ბოლოს გვერდის ქვევით ჩაიწერება თვის განმავლობაში გაცემის შეჯამება.

8. ბიბლიოთეკის დღიურში, გაცემის აღრიცხვისათვის განკუთვნილი გრაფის შევსებისას, გაცემული წიგნები და ჟურნალები აღირიცხება ტომებად (ეგზემპლარებად). ტომად ჩაითვლება თითოეული წიგნი ან ჟურნალი, რომელსაც ცალკე საინვენტარო ნომერი უზის.

9. მასწავლებლებზე გაცემულ წიგნთა რაოდენობა აღირიცხება დამატებით, განსაკუთრებულ გრაფაში.

10. წიგნის დავალიანებასთან ბრძოლის მიზნით, ბიბლიოთეკარი კვირაში ერთხელ გადაათვალიერებს აბონემენტს, შეადგენს ვადაგადაცილებულ აბონემენტთა სიას და იღებს ყოველგვარ ზომას წიგნის დაბრუნებისათვის (კლასის ხელმძღვანელის, მოსწავლეთა ორგანიზაციების, სკოლის დირექტორის მეშვეობით და სახლში უწყების გაგზავნის საშუალებით).

ვადათვალიერების შემდეგ, მკითხველთა ფორმულარები ვადაგადაცილებული წიგნებისა, თავსდება ამ კლასის მკითხველთა ფორმულარების უკან ცალკე უჯრაში.

VIII. წიგნების და მუშაობის აღრიცხვა საკლასო მოძრაებებში

1. თუ 1 და მე-2 კლასის მოსწავლეებს მომსახურება ეწევა კლასო მოძრაობის მეშვეობით, წიგნები გაცემული კლასის ხელმძღვანელზე ჩაიწერება საერთო რაოდენობით მის ფორმულარში. კლასის ხელმძღვანელმა, რომელმაც მიიღო მოძრაობა, ხელს აწერს წიგნების მიღებაზე ფორმულარში. კლასის ხელმძღვანელის ფორმულარში ჩაიწყო წიგნებიდან ამოღებული წიგნების ფორმულარები.

2. მასწავლებელი, აწარმოებს რა წიგნის გაცემას კლასში, წერს მას სპეციალურ რეგულში. თითოეულ მოსწავლეზე განკუთვნილია რეგულის ცალკე გვერდი, რომელშიც იწერება მოსწავლის მიერ წაკითხული ყველა წიგნი (იხ. ფორმა № 12).

მეოთხედის დასასრულს მასწავლებელი ამ რეგულის მიხედვით აძლევს ბიბლიოთეკარს ცნობას მეოთხედის განმავლობაში მისი კლასის მიერ წაკითხული წიგნების რაოდენობის შესახებ მეოთხედში. საკლასო მოძრაობაში წაკითხული წიგნების რაოდენობა დღიურში იწერება ცალკე.

საკლასო მოძრაობაში მოსწავლეებზე გაცემულ წიგნთა რაოდენობა გამოხატული უნდა იყოს წლიურ ანგარიშშიც.

3. მასწავლებელთა მიერ კლასში საკითხავად წაღებულ წიგნთა კომპლექტი, ყოველთვის უნდა აღირიცხოს ეგზემპლარებად. კლასში საკითხავად გაცემულ წიგნთა ჯამში შეიტანება ბიბლიოთეკის დღიურის იმავე გრაფაში, სადაც საკლასო მოძრაობაში გაცემული წიგნები შეტანილი.

IX. სააღრიცხვო დოკუმენტების შენახვა

1. ბიბლიოთეკის ყველა სააღრიცხვო დოკუმენტი საჭიროებს გულმოდგინედ დაცვას.

2. შემოსვლის დოკუმენტები (ანგარიშები, აქტები) ბარდება სკოლის ბუხჰალტერიაში. გასვლის დოკუმენტები (აქტები წიგნების გარიცხვის შესახებ) დგება ორ ცალად. 1. ერთი ეგზემპლარი ბარდება ბუხჰალტერს, 2. მეორე ეგზემპლარი რჩება ბიბლიოთეკაში და შეკინძული სახით ინახება კაბრაში, სადაც მათ ეძლევა რიგითი ნომერი.

3. ბიბლიოთეკის ყველა დანარჩენი დოკუმენტები (გეგმა, ანგარიში, ხარჯთაღრიცხვა, სხვადასხვა ორგანიზაციებთან ხელშეკრულებანი, ცენტრიდან მიღებული სახელმძღვანელო მასალები, საქმიანი გიმოწერა და სხვა) უნდა ჩაქვრებული და დაცული იქნას საგანგებო კაბრებში.

4. ყველა სააღრიცხვო წიგნებსა და დოკუმენტებში ჩაწერა წარმოებს მელნით, სუფთად და გარკვევით.

ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი

1. ბიბლიოთეკიდან წიგნით სარგებლობა შეუძლია ყოველ მოსწავლეს. 1 და მე-2 კლასის მოსწავლეებზე წიგნს სცემს მასწავლებელი.¹⁾
2. თითოეული მოსწავლე უნდა გაეცნოს წიგნის გაემის განრიგებას და დაიხსომოს რა დღეს იცემა წიგნი მისი კლასის მოსწავლეებზე.
3. წიგნი იცემა... დღით, თუ წიგნის წაკითხვა მკითხველმა დაწესებულ დროში ვერ მოასწრო, ბიბლიოთეკარს უნდა გააგრძელებინოს ვადა²⁾.
4. წიგნის დაბრუნების ვადაზე გადაცილება ბიბლიოთეკის ნებართვის გარეშე დაუშვებელია. მას სხვები ელოდებიან.
5. წიგნი სკოლის და ჩენი სოციალისტური სახელმწიფოს კუთვნილებაა, მას მოფრთხილება უნდა.
6. წიგნს ფაქიზად მოეპყარი შემოახვიე ქალაღდი, არ გადაკეცო კითხვის დროს, არ გააკეთო მასზე რაიმე შენიშვნა.
7. წაღებისას წიგნი ყურადღებით გადაათვალიერე, თუ აღმოჩნდება მასში ამოხეული ფურცლები, ან დაჯღაბნილი და გაფუჭებული სურათები, ამის შესახებ განუცხადე ბიბლიოთეკარს.
8. დაკარგული ან გაფუჭებული წიგნი უნდა შეიკვალოს ახლით, წინააღმდეგ შემთხვევაში მკითხველს გადახდება წიგნის და ყდის ღირებულება.
9. ბიბლიოთეკაში დაიცავით წესრიგი, სიწყნარე, კითხვის დროს და მუშაობის დროს ხელს ნუ უშლით სხვას.
10. ბიბლიოთეკაში ინახება წინადადებათა წიგნი, სადაც მოსწავლემკითხველებს, მათ მშობლებს, მასწავლებლებს შეუძლიათ ჩასწერონ თავინათი გამოძახილი და წინადადებანი ბიბლიოთეკის მუშაობის გაუმჯობესების შესახებ.

სკოლის დირექტორი
 ბიბლიოთეკის გამგე

¹⁾ სკოლაში, სადაც 1 და მე-2 კლ. გაცემა წარმოებს ბიბლიოთეკარისაგან, ეს ბუნქტი გამოტოვებული უნდა იქნას.

²⁾ წიგნით სარგებლობის ბანგრძლივობას აწესებს ბიბლიოთეკა დირექტორთან შეთანხმებით ერთი ან ორი კვირით.



სანიმუშო ფორმა აქტისა, რომელიც დგება წუთანმხლებდოკუმენტთა
ტოტ შემოსულ გამოცემათა ბიბლიოთეკაში მიღებისას

აქტი №

„ 194 . წ. შედგენილია წინამდებარე აქტი . . .
 სასკოლო ბიბლიოთეკაში შემდეგი
 წიგნების მიღებაზე, რომელთაც არა აქვთ თანმხლები დოკუმენტი.
 წიგნები მალეულია მოქ
 რომელიც ცხოვრობს
 წიგნის რაოდენობით
 მან . და კაბ . საერთო
 თანხის ღირებულებით.

№№ რიგ.	ავტორი და სათაური	ეგზემპლ. რაოდენ.	თანხა	
			მან.	კაბ.

ხელმოწერა ბიბლიოთეკის გამგესა და იმ პირისა, რომელმაც ჩაა.
 ბარა ბიბლიოთეკას აქტში აღნიშნული წიგნები.



აქტი №

„ 194 . წ. შედგენილია წინამდებარე აქტი
სასკოლო ბიბლიოთეკაში, მასზე, რომ წიგნების მიღების
დროს ” 194 . წ. ანგარიშით №
აღმოჩნდა დანაკლისი თანხით მან. და კაპ.
ზედმეტი თანხით მან. და კაპ. დაზიანებული . . .
თანხით მან. და კაპ. სულ წიგნი მან. კაპ.
საერთო ღირებულებისა.

№№ რიგ.	ავტორი და სათაური	ეგზემპ. რაოდენ.	თანხა	
			მან.	კაპ.

ბიბლიოთეკის გამგის ხელმოწერა
აქტის დამადასტურებელი მეორე პირის ხელმოწერა



სასკოლო ბიბლიოთეკის ფონდის მოძრაობის წიგნი ნაწ. I. წიგნების შემოსვლა.

სულ შემოვიდა და წიგნები	შემოსული წიგნების რაოდენობა	შემოსული წიგნების ლიტერატურული		მოსწავლეთათვის შენობის ლიტერატურული	მოსწავლეთათვის შენობის გარეწილებები	რედაქციის და სხვა
		მოსწავლეთათვის	მოსწავლეთათვის			
თანხა	თანხა	მ.	კ.	მ.	კ.	მ.
რედაქციისა და სხვა	რედაქციისა და სხვა	მ.	კ.	მ.	კ.	მ.
საიდან შემოვიდა წიგნები და რა დოკუმენტით	(აკრძალს აკრძალს - ნაწილს) რედაქციის - მისთვის რედაქციისა და სხვა	მ.	კ.	მ.	კ.	მ.
გადმოტანილია	გადმოტანილია	მ.	კ.	მ.	კ.	მ.
შეადგენს	შეადგენს	მ.	კ.	მ.	კ.	მ.
16/VI	16/VI	მ.	კ.	მ.	კ.	მ.
1/1	1/1	მ.	კ.	მ.	კ.	მ.
სულ შემოვიდა:	სულ შემოვიდა:	მ.	კ.	მ.	კ.	მ.
1/1-15/VI	1/1-15/VI	მ.	კ.	მ.	კ.	მ.
15/VI-31/XII	15/VI-31/XII	მ.	კ.	მ.	კ.	მ.
სულ გაირიცხა	სულ გაირიცხა	მ.	კ.	მ.	კ.	მ.
1/1-15/VI	1/1-15/VI	მ.	კ.	მ.	კ.	მ.
15/VI-31/XII	15/VI-31/XII	მ.	კ.	მ.	კ.	მ.

საბიბლიოთეკო დოკუმენტი

სასკოლო ბიბლიოთეკის ფონდის მოძიების ფიგურა II. წიგნების კარიკები

სულ გაი- რიცია წიგნი	თარიღი	გარიკებული წიგნების რაოდენობა	გარიკებული წიგნების ლიტრბულება		მოსწავლ. მასწავლ.	მოსწავლეთათვის სახმარი გარიკებული წიგნების განაწილება შინაარსით	განაწილება გარიკების მიხედვით
	აღწერა		მოსწავლ.	მასწავლ.			
აღწერა	ა	გარკებული წიგნების რაოდენობა	ა	ბ	გ	დ	ე
	ბ		მ	ნ	ა	ბ	გ
	გ		დ	ე	ა	ბ	გ
ადრე	გ	ადრე	ადრე	ადრე	ადრე	ადრე	ადრე
ადრე	დ	ადრე	ადრე	ადრე	ადრე	ადრე	ადრე
ადრე	ე	ადრე	ადრე	ადრე	ადრე	ადრე	ადრე
ადრე	ა	ადრე	ადრე	ადრე	ადრე	ადრე	ადრე
ადრე	ბ	ადრე	ადრე	ადრე	ადრე	ადრე	ადრე
ადრე	გ	ადრე	ადრე	ადრე	ადრე	ადრე	ადრე
ადრე	დ	ადრე	ადრე	ადრე	ადრე	ადრე	ადრე
ადრე	ე	ადრე	ადრე	ადრე	ადრე	ადრე	ადრე
ადრე	ა	ადრე	ადრე	ადრე	ადრე	ადრე	ადრე
ადრე	ბ	ადრე	ადრე	ადრე	ადრე	ადრე	ადრე
ადრე	გ	ადრე	ადრე	ადრე	ადრე	ადრე	ადრე
ადრე	დ	ადრე	ადრე	ადრე	ადრე	ადრე	ადრე
ადრე	ე	ადრე	ადრე	ადრე	ადრე	ადრე	ადრე
ადრე	ა	ადრე	ადრე	ადრე	ადრე	ადრე	ადრე
ადრე	ბ	ადრე	ადრე	ადრე	ადრე	ადრე	ადრე
ადრე	გ	ადრე	ადრე	ადრე	ადრე	ადრე	ადრე
ადრე	დ	ადრე	ადრე	ადრე	ადრე	ადრე	ადრე
ადრე	ე	ადრე	ადრე	ადრე	ადრე	ადრე	ადრე



სულ გარიკებულია:
11-15/VI
16/VI-31/XII

გაზეთების სარეგისტრაციო ბარათი

სათაური 19 წელი ეგზ. რაოდენობა

თვეები	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	21	22	23	24	25	26	27	28	29	30	31
იანვარი																															
თებერვალი																															
მარტი																															
აპრილი																															
მაისი																															
ივნისი																															
ივლისი																															
აგვისტო																															
სექტემბერი																															
ოქტომბერი																															
ნოემბერი																															
დეკემბერი																															



ბიბლიოთეკის წიგნობრივი ფონდის შემოწმების აქტის საინვენტარო
ფორმა.

აქტი

სასკოლო ბიბლიოთეკის წიგნობრივი ქონების შემოწმებისა.

ჩვენ, ქვემოთ ამისა ხელისმომწერლებმა ბიბლიოთეკის გამგემ და სკოლის წარმომადგენელმა

შევადგინეთ წინამდებარე აქტი ქვემოთ მოხსენებულის შესახებ.

ჩვენს მიერ " " 194 წ. ჩატარებულ იქნა სასკოლო ბიბლიოთეკის წიგნობრივი ქონების შემოწმება საინვენტარო წიგნით.

შემოწმებულია შემდეგი დოკუმენტები:

1) საინვენტარო წიგნები

2) ბიბლიოთეკის წიგნობრივი ფონდის ამას წინათ ჩატარებული შემოწმების აქტი

3) აქტები—სიები ინვენტარიდან გარიცხული წიგნებისა წინათ ჩატარებული და ამჟამად მიმდინარე შემოწმებათა შორის არსებულ დროის მონაკვეთში

4) მკითხველთა ფორმულარები

შემოწმების შედეგად დადგენილია:

1. საინვენტარო წიგნში თვის რიცხვისათვის ჩაწერილია ეგზ. წიგნი.

2. აქტებით გარიცხულია ეგზემპლარი

3. საინვენტარო წიგნით 194 წ თვის რიცხვისათვის სახეზეა ეგზემპლარი წიგნი.

აქედან: ა) თაროზეა ეგზ; ბ) მკითხველზე ითვლება ეგზ. (მათ შორის მოსწავლეებზე მასწავლებლებზე ეგზ.); გ) დასაყდავებლადაა ეგზ.; დ) შესაკეთებლადაა ეგზ.; აკლია ეგზ. მან

და კაპ. ღირებული გარდა ამისა თვის რიცხვისათვის აღმოჩნდა ინვენტარში ჩაუწერელი ეგზ. მან. და კაპ. ღირებული

სულ სახეზეა თვის რიცხვისათვის სასკოლო ბიბლიოთეკაში ეგზ. წიგნი მან. და კაპ. ღირებული.

დანაკლისი წიგნების სია თან ერთვის.

ხელის მოწერა:



მკითხველის ფორმულარი

წინა პირი

№

1. სკოლის დასახელება
2. გვარი
3. სახელი და მამის სახელი
4. ეროვნება
5. მშობლის საქმიანობა
6. სახლის მისამართი

ბიბლიოთეკის წესები ვიცი და შევასრულებ, მკითხველის ხელის მოწერა

თარიღი „ 194 . . წ.

ვ.	წლოვანება	კლასი	პიონერი
ქ.			კომკავშირელი

შიგნიტა მხარე

დაბრუნ. ვადა	საინვენტ. № 16	განყოფ.	ავტორი და სათაური	მკითხველის ხელის მოწერა	ბიბლიოთეკა შენიშვნა